

ს | ი | ფ | ე



საერთაშორისო დემოკრატიის ფონდი

„დანაშაულის
პროვოცირების
აკრძალვა“
კვლევა

თბილისი
2017

„დანაშაულის პროვოცირების აკრძალვა“

კვლევა

გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.

ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ
გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის

პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

თბილისი, 2017



კვლევა განხორციელდა საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის
პროექტის „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მხარეთა შეჭიბრებითობის
უზრუნველყოფისათვის რეკომენდაციების შემუშავება“ ფარგლებში.

შინაარსი

I.	პროექტის შესახებ.....	5
1.	პროექტის მიზნები.....	5
2.	ექსპერტები.....	5
3.	კვლევის მეთოდოლოგია და სტრუქტურა.....	6
II.	დანაშაულის პროვოცირების საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში - თინათინ ცხვედიანი.....	7
1.	შესავალი.....	9
2.	„დანაშაულის პროვოცირების“ ცნება.....	11
3.	დანაშაულის პროვოცირების საქმეებზე ევროპული სასამართლოს შეფასების სტანდარტი.....	11
3.1.	მატერიალური ტესტი.....	11
(ა)	განმცხადებლის მიერ დანაშაულებრივი ქმედების დაწყება ან დანაშაულებრივი წინასწარგანწყობა.....	11
(ბ)	დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელი პირის სტატუსი.....	12
(გ)	საგამოძიებო ღონისძიებათა მონაწილეები.....	13
(დ)	დანაშაულის ჩადენის ინიციატივა.....	14
(ე)	განმცხადებლის მიმართ ზეწოლის გამოყენება.....	15
(ვ)	საგამოძიებო ღონისძიებათა მარეგულირებელი წესები.....	15
3.2.	საპროცესო ტესტი.....	16
(ა)	ზოგადი მოთხოვნები ეროვნული სამართალწარმოების მიმართ.....	17
(ბ)	დანაშაულის პროვოცირების საკითხის ეროვნული განხილვის წესი.....	17
(გ)	მტკიცებულებათა ხელმისაწვდომობის პრობლემა.....	18
4.	ევროპული სასამართლოს ცალკეული გადაწყვეტილებები.....	22
4.1.	ტეიშეირა დე კასტრო (Teixeira de Castro) პორტუგალიის წინააღმდეგ.....	22
(ა)	ფაქტობრივი გარემოებების მოკლე მიმოხილვა.....	22
(ბ)	ევროპული სასამართლოს შეფასება.....	23
4.2.	რამანაუსკასი (Ramanauskas) ლიტვის წინააღმდეგ.....	24
(ა)	ფაქტობრივი გარემოებების მოკლე მიმოხილვა.....	24
(ბ)	ევროპული სასამართლოს შეფასება.....	24
4.3.	ბანიკოვა (Bannikova) რუსეთის წინააღმდეგ.....	26
(ა)	ფაქტობრივი გარემოებების მოკლე მიმოხილვა.....	26
(ბ)	ევროპული სასამართლოს შეფასება.....	26
4.4.	ვესელოვი (Veselov) და სხვები რუსეთის წინააღმდეგ.....	28
(ა)	ფაქტობრივი გარემოებების მოკლე მიმოხილვა.....	28
(ბ)	ევროპული სასამართლოს შეფასება.....	29

5.	დასკვნა	31
III.	საერთაშორისო სტანდარტები და ქართული კანონმდებლობა	
	პროვოცირების აკრძალვისა და ფარული საგამოძიებო/ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შესახებ - დავით კვაჭანტირაძე, ალექსანდრე ნოსელიძე	33
1.	საერთაშორისო სტანდარტები და რეკომენდაციები ეროვნულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით	33
2.	სპეციალური საგამოძიებო მეთოდები საქართველოში	38
2.1.	სპეციალური საგამოძიებო მეთოდების სახეები	38
2.2.	ფარული საგამოძიებო მოქმედებები	39
2.3.	ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები	40
3.	დანაშაულის პროვოცირების საკითხის დაყენებისა და სრულყოფილი გამოკვლევის შესაძლებლობები სასამართლო პროცესზე	44
3.1.	დანაშაულის პროვოცირების აკრძალვა ქართულ კანონმდებლობაში	44
3.2.	ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დაცვის მხარისათვის გამჟღავნება	45
3.3.	პროვოცირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხი	46
4.	დასკვნა	49
IV.	საქართველოს სასამართლოებისა და სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკა - დავით კვაჭანტირაძე, ალექსანდრე ნოსელიძე	50
1.	დანაშაულის პროვოცირების ცალკეული საქმეები	50
1.1.	ლ.ნ.-ს ბრალდების საქმე (2015 წ. რუსთავის საქალაქო სასამართლო)	50
1.2.	ლ.ქ.-ს ბრალდების საქმე (2015 წ. თბილისის საქალაქო სასამართლო)	54
1.3.	დ.შ.-სა და გ.ე.-ს ბრალდების საქმე (იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო)	57
1.4.	ო.გ.-ს ბრალდების საქმე (რუსთავის საქალაქო სასამართლო, 2015 წელი)	59
1.5.	თ.ბ.-ს ბრალდების საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო 2015-2016წ.)	61
1.6.	თ.ნ.-სა და ნ.ნ.-ს ბრალდების საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, 2016 წ.)	63
1.7.	ა.გ.-ს ბრალდების საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, 2016 წ.)	65
1.8.	თ.გ.-ს ბრალდების საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, 2016 წ.)	67
1.9.	ო.შ.-ს ბრალდების საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, 2016-2017წ.)	69
1.10.	ნ.მ.-ს ბრალდების საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, 2016-2017წ.)	71
1.11.	ა.დ.-ს და ვ.კ.-ს ბრალდების საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო 2014წ.)	74
1.12.	გ.ს.-ს ბრალდების საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, 2016 წ.)	76
2.	დანაშაულის პროვოცირების საკითხზე მსჯელობა სასამართლო პრაქტიკაში	79
3.	დასკვნა	81
V.	კვლევის საბოლოო შეჯამება	82
VI.	რეკომენდაციები	85

I. პროექტის შესახებ

1. პროექტის მიზნები

საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის სისხლის სამართლის ჯგუფის ინიციატივით და ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით განხორციელდა კვლევა „დანაშაულის პროვოცირების აკრძალვა“, რომლის მთავარი მიზანია საქართველოში დანაშაულის პროვოცირების ამკრძალავი საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა.

პროექტის ამოცანას წარმოადგენდა დანაშაულის პროვოცირების საკითხის კვლევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ასევე ქართული კანონმდებლობისა და სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკის ანალიზი, რეკომენდაციებისა და საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შემუშავება დანაშაულის პროვოცირების აკრძალვასთან მიმართებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ კონკრეტული მეთოდით - კერძოდ, დანაშაულის პროვოცირებით - მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება ეროვნულ სამართალწარმოებაში დაარღვევს მე-6 მუხლს - სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემდგომში სსსკ) და კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ შეიცავს მთელ რიგ საკანონმდებლო ხარვეზებს, რაც საფუძველს ქმნის დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის ევროპული სტანდარტის დარღვევისათვის. შესაბამისად, საქართველოს, როგორც სამართალდამცავი, ისე სასამართლო სისტემის პრაქტიკის განვითარების გზაზე არ არსებობს დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის ეფექტური გარანტიები სასამართლოს კონტროლის საშუალებით.

კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს საკანონმდებლო, სამართალდაცვით თუ სასამართლო პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას და გააძლიერებს დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის ევროპულ სტანდარტს საქართველოს რეალობაში.

2. ექსპერტები

კვლევა განხორციელდა ექსპერტების - დავით კვაჭანტირაძის (იურიდიული ფირმა VBAT– ის პარტნიორი, სიფა-ს სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი), თინათინ ცხვედიანის (იურიდიული ფირმა VBAT, უფროსი იურისტი) და ალექსანდრე ნოსელიძის (ადვოკატი, სიფა-ს სისხლის სამართლის ჯგუფის წევრი) მიერ.

კვლევის პროცესში ჩართულები იყვნენ სიფა-ს აღმასრულებელი დირექტორი თინათინ შულაროვა და სიფა-ს აღმასრულებელი დირექტორის ასისტენტი, თამთა სებისკვერაძე.



3. კვლევის მეთოდოლოგია და სტრუქტურა

კვლევის პროცესში განხორციელდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი დანაშაულის პროვოცირების საკითხზე და გამოიკვეთა ის სტანდარტები, რასაც ევროპული სასამართლო ამ მიმართულებით უწესებს ცალკეული ქვეყნის კანონმდებლობას, სამართალდამცავ ორგანოებსა თუ სასამართლოებს.

კვლევისას, ასევე გაანალიზდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების ნორმები; ადვოკატებისგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია და მასალები სისხლის სამართლის საქმეებზე, სადაც, შესაძლოა ადგილი ჰქონდა დანაშაულის პროვოცირებას. ასევე, შესწავლილ იქნა საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებები.

სულ შესწავლილ იქნა 2014 წლიდან დღემდე წარმოებული სისხლის სამართლის 12 საქმე. თითოეული საქმე განხილულ იქნა ერთი და იმავე სტრუქტურით, თავდაპირველად მოცემულია საქმის მნიშვნელოვანი ფაქტები ხოლო შემდეგ ამ ფაქტების შეფასება მოხდა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციაში განვითარებული მატერიალური და საპროცესო ტესტის საფუძველზე. შესაბამისად, თითოეულ საქმეში გაანალიზებულია, ჰქონდა თუ არა ადგილი დანაშაულის პროვოცირებას სახელმწიფო წარმომადგენლების მრიდან, რამდენად სრულყოფილად გადაამოწმა სასამართლომ მხარის მიერ წარმოდგენილი განაცხადი ასევე, შესწავლილ იქნა საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებები.

კვლევის მიზნით, განხორციელდა შედარებით - სამართლებრივი ანალიზი, რომლის ფარგლებშიც შეფასდა საქართველოს კანონმდებლობისა და მის საფუძველზე განვითარებული სამართალდამცავი თუ სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობა დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის გარანტიის კონვენციისეულ იმ გაგებასთან, რაც დამკვიდრებულია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით.

კვლევის პირველადი შედეგები განხილულ იქნა საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის, ასევე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებთან. შეხვედრა შედგა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებთან.

კვლევა და მის საფუძველზე შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებათა და დამატებათა პაკეტი შეფასდა საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსამართლეები, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

კვლევა რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: პირველ თავში განხილულია დანაშაულის პროვოცირების საკითხი ადამიანის უფლებათა სასამართლო პრაქტიკაში, მეორე თავში გაანალიზებულია საქართველოს კანონმდებლობა დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის მიმართულებით, ხოლო მესამე ნაწილი მოიცავს ცალკეული სისხლის სამართლის საქმეების მაგალითზე საქართველოს სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების პრაქტიკის შეფასებას. კვლევის მეოთხე, დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზების მიზნით.

კვლევის შედეგად მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა და დამატებათა პაკეტი არ შესულა კვლევის წინამდებარე დოკუმენტში. იგი ცალკე დოკუმენტის სახით წარედგინა დაინტერესებულ საზოგადოებას.

II. დანაშაულის პროვოცირების საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში

1. შესავალი

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის¹ (შემდგომში - „კონვენცია“) მე-6 მუხლი ითვალისწინებს უფლებას სამართლიან სასამართლო განხილვაზე, რომელთან დაკავშირებითაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (შემდგომში - „ევროპული სასამართლო“, „სტრასბურგი“) განსაკუთრებით მდიდარი პრაქტიკა განავითარა. ნორმა დაცვის მექანიზმის საკმაოდ დეტალურ სტანდარტს განსაზღვრავს² და ადგენს სამოქალაქო სამართალწარმოებაში - მხარეების, ხოლო სისხლის სამართლის პროცესში - ბრალდებულის ფუნდამენტურ უფლებებს. დღეისათვის დამკვიდრებული ინტერპრეტაციით, მე-6 მუხლი მთელ რიგ, ე.წ. „ნაგულისხმევ“ უფლებებს მოიაზრებს,³ როგორცაა უფლება სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე⁴ თუ უფლება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე.⁵

„სამართლიანობის“ კონვენციისეული კონცეფცია ავტონომიურია ეროვნული კანონმდებლობისაგან - ეროვნული სამართალწარმოების ფარგლებში დაშვებული საპროცესო დარღვევა იმთავითვე არ განაპირობებს სასამართლო განხილვის არასამართლიანობას და პირიქით, ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით განხორციელებული განხილვა არ ნიშნავს აუცილებლად მის მე-6 მუხლთან შესაბამისობას.⁶ ევროპული სასამართლო „სამართლიანად“ მიიჩნევს მხოლოდ ისეთ სამართალწარმოებას, სადაც უზრუნველყოფილია შეჭიბვებითობა, მხარეთა თანასწორობა, დაცვისმხარის მონაწილეობა და საქვეყნოობა. სტრასბურგისათვის მნიშვნელოვანია, განსაზღვროს, მიეცა თუ არა განმცხადებელს ეროვნულ დონეზე სათანადო შესაძლებლობა, დაესაბუთებინა თავისი პოზიცია და გაექარწყლებინა მეორე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები.

ამ კონტექსტში, ევროპული სასამართლოსათვის საინტერესოა არა კონკრეტული მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი, არამედ სამართალწარმოების სამართლიანობა მთლიანობაში.⁷ შესაბამისად, იგი, როგორც წესი, უარს აცხადებს თუნდაც ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობის გადახედვაზე.⁸ უფრო მეტიც, არაკანონიერად მოპოვებულ მტკიცებულებაზე განაჩენის ნაწილობრივ დაყრდნობის ფაქტიც კი, მისთვის *a priori* არ დაადასტურებს სამართლიანი განხილვის პრინციპის დარღვევას.⁹

აღნიშნული ინტერპრეტაცია გამომდინარეობს ე.წ. „მეოთხე ინსტანციის“ დოქტრინიდან, რომლის მიხედვითაც, სტრასბურგი არ წარმოადგენს ეროვნული სასამართლოების ზემდგომ ინსტანციას,

1 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მე-11 და მე-14 ოქმების დამატებებით, 1950 წლის 4 ნოემბერი. საქართველოში ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან.

2 Mahoney P., Right to a Fair Trial in Criminal Matters under Article 6 ECHR (Registrar of the European Court of Human Rights, 2004), ხელმისაწვდომია: www.jsijournal.ie, გვ. 107.

3 Vitkauskas D., Dikov G., Protecting the Right to a Fair Trial under the European Convention on Human Rights (Council of Europe, 2012), ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/>, გვ. 7.

4 გოლდერი (Golder) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი №4451/70, 21.02.1975, §§26-40. ნაშრომში, პირველი ციტირებისას, საქმის სახელწოდება წარმოდგენილია სრულად, ხოლო შემდგომ - მითითებულია მხოლოდ განმცხადებლის სახელი.

5 ჰორნსბი (Hornsby) საბერძნეთის წინააღმდეგ, განაცხადი №18357/91, 19.03.1997, §§40-45.

6 ხანი (Khan) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი №35394/97, 12.05.2000, §§34-40.

7 რამანაუსკასი (Ramanauskas) ლიტვის წინააღმდეგ (დიდი პალატა), განაცხადი №74420/01, 05.02.2008, §52.

8 ბაიკოვი (Bykov) რუსეთის წინააღმდეგ (დიდი პალატა), განაცხადი №4378/02, 10.03.2009, §89; ალანი (Allan) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი №48539/99, 05/11/2002, §42.

9 Right to a Fair Trial Under the European Convention on Human Rights (Article 6) (Interights Manual for Lawyers, 2007), ხელმისაწვდომია: www.interights.org, გვ. 45; შენკი (Schenk) შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი №10862/84, 12.07.1988.

რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა, დაედგინა ფაქტები, განესაზღვრა მტკიცებულებათა დასაშვებობა ან გაეუქმებინა თუ გადაესინჯა მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.¹⁰ მე-6 მუხლი განამტკიცებს ეროვნულ დონეზე დადგენილი ფაქტების სისწორის საკმაოდ ძლიერ პრეზუმფციას, რომელიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ექვემდებარება გადახედვას - როდესაც სამართალწარმოება ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის არსს.¹¹

ამგვარ გამონაკლისს განეკუთვნება ე.წ. დანაშაულის პროვოცირების ("Entrapment") საქმეები, სადაც სტრასბურგი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ კონკრეტული მეთოდით - კერძოდ, დანაშაულის პროვოცირებით - მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება ეროვნულ სამართალწარმოებაში დაარღვევს მე-6 მუხლს.¹² ევროპული სასამართლოს განმარტებით, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საჭარო ინტერესიც კი ვერ გაამართლებს ასეთ მტკიცებულებებზე განაჩენის დაფუძნებას.¹³ ამდენად, დანაშაულის პროვოცირებისაგან დაცვის უფლება, რომელიც მე-6 მუხლში ნაგულისხმევ უფლებად მოიაზრება, აბსოლუტური ხასიათისაა.¹⁴

ზოგადად, ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე აღიარა სპეციალური საგამოძიებო მეთოდების¹⁵ საჭიროება, განსაკუთრებით ნარკოტიკულ დანაშაულსა და კორუფციასთან ბრძოლის ფარგლებში.¹⁶ ამგვარი ღონისძიებების, მათ შორის, ფარული აგენტებისა თუ საკონტროლო შესყიდვების, გამოყენება *per se* არ არღვევს უფლებას სამართლიან სასამართლოზე.¹⁷ გარკვეული წინაპირობებით, სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ მიმართონ განსაკუთრებულ საგამოძიებო მოქმედებებს ისე, რომ აღნიშნული არ გულისხმობდეს ან იწვევდეს დანაშაულის წაქეზებასა თუ პროვოცირებას.¹⁸

დანაშაულის პროვოცირების საკითხზე სტრასბურგმა პირველად იმსჯელა საქმეზე ტეიშეირა დე კასტრო (Teixeira De Castro) პორტუგალიის წინააღმდეგ,¹⁹ სადაც განმარტა, რომ პროვოცირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება ბრალდებულს იმთავითვე და საბოლოოდ

10 საგულისხმოა, რომ „მეთხე ინსტანციის“ დოქტრინა პირველად სწორედ მე-6 მუხლის პირველ ნაწილთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა. მასზე დაყრდნობით, ნორმით გარანტირებული „სამართლიანობა“ გულისხმობს არა „მატერიალურ,“ არამედ „საპროცესო“ სამართლიანობას, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს საქმის განხილვას შეჭიბვრებითობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით (იხ. გარსია რუიზი (Garcia Ruiz) ესპანეთის წინააღმდეგ (დიდი პალატა), განაცხადი №30544/96, §§28-29; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Interlaken Follow-up, 08/07/2010, ხელმისაწვდომია: www.echr.coe.int, გვ. 9-10).

11 Vitkauskas D., Dikov G., გვ. 9, 45; რამანაუსკასი, §§48-74.

12 ხუდობინი (Khudobin) რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადი №59696/00, 26.10.2006, §§133. შეად. შენკი; ხანი; ბაიკოვი, §§88-105.

13 ტეიშეირა დე კასტრო (Teixeira De Castro) პორტუგალიის წინააღმდეგ, განაცხადი №44/1997/828/1034, 09.06.1998, §§35-36; ხუდობინი, §135; ვანიანი (Vanyan) რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადი №53203/99, 15.12.2005, §§46-47, §49; რამანაუსკასი, §§49-54.

14 Vitkauskas D., Dikov G., გვ. 45-46. სისხლისსამართლებრივ კონტექსტში, „ნაგულისხმევ“ მოთხოვნებს ასევე განეკუთვნება დუმილის უფლება და ისეთ ქვეყანაში გაძევების ან ექსტრადირების აკრძალვა, სადაც შესაძლოა პირის მიმართ აშკარად დაირღვეს უფლება სამართლიან სასამართლოზე (იქვე. იხ. ასევე, საუნდერსი (Saunders) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი №19187/91, 17.12.1996; მამატკულოვი და ასკაროვი (Mamatkulov and Askarov) თურქეთის წინააღმდეგ, განაცხადები №46827/99 და 46951/99, 04.02.2005).

15 ევროპული სასამართლო ტერმინს „სპეციალური საგამოძიებო მეთოდები“ ფართო გაგებით იყენებს და მასში მოიაზრებს მთელ რიგ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, როგორიცაა საკონტროლო შესყიდვა, მიყურადება თუ აუდიო-ვიდეო ჩანერა (ლაგუტინი (Lagutin) და სხვები რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადები №6228/09, 19123/09, 19678/07, 52340/08 და 7451/09, მოსამართლეების თანმხედრი მოსაზრება, §1). ამგვარი ინტერპრეტაცია შესაბამეა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით წარმოდგენილ „სპეციალური საგამოძიებო მეთოდების“ კონცეფციას (Rec(2005)10). მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზოგადი სამართლებრივი დეფინიცია, სპეციალური საგამოძიებო მეთოდები თავისი ბუნებით მოტყუებითაა, რადგან მიზნად ისახავს მტკიცებულების მოპოვებას სუბიექტისაგან ისე, რომ მისთვის აღნიშნულის შესახებ ცნობილი არ არის. ამდენად, მხოლოდ ფარულობა ან საიდუმლოობა არ არის საკმარისი იმისათვის რომ კონკრეტული ღონისძიება მიჩნეულ იქნეს „სპეციალურ საგამოძიებო“ მეთოდად - ამ უკანასკნელისთვის აუცილებელია სახეზე იყოს მოტყუების, შენიღბვის დამატებითი ელემენტი (იქვე).

16 ტეიშეირა, §§35-36; ვესელოვი (Veselov) და სხვები რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადები №23200/10, 24009/07 და 556/10, 02.10.2012, §89; იხ. ასევე Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a Fair Trial (Criminal Limb) (Council of Europe/European Court of Human Rights, 2014), ხელმისაწვდომია: www.echr.coe.int, გვ. 27.

17 რამანაუსკასი, §51; ლუდი (Lüdi) შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი №12433/86, 15.06.1992.

18 ტეიშეირა, §36; ხუდობინი, §128.

19 იხ. სქ. 13, §39.

ნაართმევს მე-6 მუხლით გარანტირებულ უფლებებს.²⁰ რამანაუსკასის (*Ramanauskas*)²¹ საქმის შემდგომ კი, დანაშაულის პროვოცირებით მიღებული მტკიცებულებებისაგან თავისუფალი სამართალწარმოება „სამართლიან სასამართლოში“ ნაგულისხმევ მოთხოვნად განიხილება.²²

დღეისათვის, ერთმნიშვნელოვნად დადგენილია, რომ დანაშაულის პროვოცირების შედეგად მოპოვებული ყველა მტკიცებულება უნდა გამოირიცხოს საქმიდან ან დადგეს სხვა ანალოგიური შედეგი.²³ ამგვარი პოზიცია განპირობებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების გადამწყვეტი მნიშვნელობით, რაც, სტრასბურგის განმარტებით, არ იძლევა რაიმე მიზნით სამართლიან სასამართლოზე უარის თქმის შესაძლებლობას.²⁴

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს ევროპული სასამართლოს პრაქტიკა დანაშაულის პროვოცირებასთან დაკავშირებით. დოკუმენტის სტრუქტურა აგებულია სტრასბურგის იურისპრუდენციაში განვითარებული შეფასების ტესტის საფუძველზე. შესაბამისად, ნაშრომის მეორე თავი ეთმობა დანაშაულის პროვოცირების დეფინიციის, მესამე - ტესტის განხილვას, ხოლო მესამე თავში წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელოვანი გადამწყვეტილების ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები. დასკვნის სახით, შეჯამებულია კვლევის შედეგები.

2. „დანაშაულის პროვოცირების“ ცნება

ევროპული სასამართლოს გადამწყვეტილებებში, ტერმინები „დანაშაულის პროვოცირება“ (*“Entrapment”*)²⁵ და „პოლიციის მიერ წაქეზება“ (*“Police Incitement”*) ურთიერთმონაცვლეობითა და ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოიყენება.²⁶ ცნების დეტალური დეფინიცია ასახულია რამანაუსკასის საქმეზე, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის პროვოცირებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე სახელმწიფოს წარმომადგენლები ან მათი მითითებებით მოქმედი კერძო პირები „არ იზღუდებიან დანაშაულებრივი ქმედების გამოძიების არსებითად პასიური მეთოდით, არამედ ისეთ გავლენას ახდენენ სუბიექტზე, რომ აქეზებენ ჩადენას დანაშაულისა, რაც სხვაგვარად არ იქნებოდა ჩადენილი.“²⁷ გარდა ამისა, ამგვარი ქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა დანაშაულის პროვოცირებად, როდესაც იგი მიზნად ისახავს დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას.²⁸

როგორც აღინიშნა, ზოგადად, ევროპული სასამართლო არ აფასებს ეროვნული სამართალწარმოების ფარგლებში კონკრეტული მტკიცებულების დასაშვებობას.²⁹ მიუხედავად

20 რამანაუსკასი, §54; ხუდობინი, §§133-135. შეად. მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით სასამართლოს მსჯელობა საქმეებზე: შენი; ხანი და ბაიკოვი, §§88-105; Vitkauskas D., Dikov G., გვ. 58.

21 იბ. სქ. 7.

22 Vitkauskas D., Dikov G., გვ. 45.

23 ხუდობინი, §§133-135.

24 რამანაუსკასი, §53; ტეიშირა, §36; დელკური (Delcourt) ბელგიის წინააღმდეგ, განაცხადი №2689/65, 17.01.1970, §25.

25 ხუდობინი, §§128-137.

26 რამანაუსკასი; Vitkauskas D., Dikov G., გვ. 46. ცალკეულ საქმეებზე, ანალოგიური შინაარსით, ასევე გამოყენებულია ტერმინი „instigation“ (მაგ., ევროფინაკომი (Eurofinacom) საფრანგეთის წინააღმდეგ (განჩინება), განაცხადი №58753/00, 07.09.2004). ფარულ აგენტთან მიმართებით, სასამართლოს მიერ ასევე აღნიშნულია ტერმინი „Agent Provocateurs“ („აგენტი პროვოკატორი“) (იბ. მაგ., სეკეირა (Sequeira) პორტუგალიის წინააღმდეგ, განაცხადი №73557/01, 06.05.2003).

27 რამანაუსკასი, §55.

28 იქვე.

29 იბ. inter alia, მორარი (Morari) მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ, განაცხადი №65311/09, 08/03/2016, §30; ვან მეხელენი (Van Mechelen) და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, განაცხადები №21363/93, 21364/93, 21427/93 და 22056/93, 23.04.1997, §50; რამანაუსკასი, §52.

ამისა, როდესაც განმცხადებელი მიუთითებს დანაშაულის პროვოცირებიდან გამომდინარე მე-6 მუხლის დარღვევაზე, სტრასბურგი ამონებს დანაშაულის პროვოცირების ფაქტის არსებობასა და ეროვნული სასამართლოების მიერ განხილვის წესს.³⁰ ამგვარ ყოვლისმომცველ კვლევას სტრასბურგი არ მიიჩნევს „მეოთხე ინსტანციის“ სამართალწარმოებად.³¹

საგულისხმოა, რომ ევროპული სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში მსჯელობს დანაშაულის პროვოცირებაზე, როდესაც განმცხადებელს აღნიშნული საკითხი მკაფიოდ და ვადის დაცვით აქვს დაყენებული ეროვნული წარმოების ფარგლებში.³² ბრალდებულის მიერ მინიშნება პროვოცირებაზე, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებაზე, არ არის საკმარისი ამ მიზნებისათვის.³³

იმისათვის, რომ განსაზღვროს, დაცული იყო თუ არა სპეციალური საგამოძიებო მეთოდების გამოყენებისას კონვენციის მოთხოვნები, ევროპული სასამართლო მიმართავს ორეტაპიან ტესტს, რომელიც პირველად ბანიკოვას³⁴ საქმეზე ჩამოყალიბდა. ამ მიმართულებით, სტრასბურგი, უპირველეს ყოვლისა, იკვლევს დანაშაულის პროვოცირების ფაქტის არსებობას („მატერიალური ტესტი“), რომლის ფარგლებშიც ფასდება, რამდენად მოქმედებდნენ სახელმწიფოს წარმომადგენლები „არსებითად პასიურად.“ შემდგომ კი, ევროპული სასამართლო ამონებს, ჰქონდა თუ არა განმცხადებელს ეროვნული სასამართლოს წინაშე პროვოცირების საკითხის დაყენების ეფექტიანი შესაძლებლობა („საპროცესო ტესტი“).³⁵

თუ სტრასბურგი მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულის პროვოცირებას, ხოლო ამ გზით მოპოვებული მტკიცებულება გამოყენებული იქნა ეროვნულ სამართალწარმოებაში, იგი მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას დაადგენს.³⁶ ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული არ გულისხმობს დანაშაულის პროვოცირების შედეგად დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენის არაკანონიერებას ან განმცხადებლის უდანაშაულობას.³⁷ სტრასბურგი საქმის განახლებასა თუ გადასინჯვას მე-6 მუხლის დარღვევის აღმოსაფხვრელ „ყველაზე ადეკვატურ“ მექანიზმად განიხილავს.³⁸ ამ მიზნით, სასჯელის შემსუბუქება არ ჩაითვლება სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებად.³⁹

დანაშაულის პროვოცირებით მოპოვებული მტკიცებულების ეროვნულ სამართალწარმოებაში გამოყენებას ევროპული სასამართლო „სამართლიანობის“ ერთ-ერთ ისეთ უხეშ დარღვევად მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს, კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე, არა მხოლოდ ქონებრივი, არამედ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასაც აკისრებს.⁴⁰

30 ედვარდსი და ლუისი (Edwards and Lewis) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადები №39647/98 და 40461/98, 22.07.2003, §§46-48 (აღნიშნულ საქმეზე დიდმა პალატამ გადაწყვეტილება გამოიტანა 2004 წლის 27 ოქტომბერს და სრულად გაიზიარა პალატის მსჯელობა); მილინიენე (Miliniene) ლიტვის წინააღმდეგ, განაცხადი №74355/01, 24.06.2008, §35.

31 იხ. მილინიენე, §35.

32 იხ. მაგ., ტრიფონოვი (Trifontsov) რუსეთის წინააღმდეგ (განჩინება), 12025/02, 09.10.2012, §34; ასევე, ჰოლი (Hall) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი №65327/01, 19.02.2002; იოვანოვი (Jovanov) მაკედონიის ყოფილი იუგოსლავური სახელმწიფოს წინააღმდეგ, განაცხადი №36117/04, 09.03.2010; ლელიუკინი (Lelyukin) რუსეთის წინააღმდეგ (განჩინება), განაცხადი №70841/10, 25.08.2015; ვალკადოვი (Valkadov) რუსეთის წინააღმდეგ (განჩინება), განაცხადი №25730/06, 06.05.2014, §5; ბაგარიანი (Bagaryan) და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (განჩინება), განაცხადი №3343/06, 12.11.2013; ლიუბჩენკო (Lyubchenko) უკრაინის წინააღმდეგ (განჩინება), განაცხადი №34640/05, 31.05.2016, §33.

33 იხ. მაგ., ვაისერი (Vayser) ესტონეთის წინააღმდეგ, განაცხადი №01/05/7157, 05.01.2010; ტრიფონოვი, §34.

34 ბანიკოვა (Bannikova) რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადი №18757/06, 04.11.2010.

35 იქვე, §37, §51, §§66-79; Vitkauskas D., Dikov G., გვ. 59.

36 რამანუსკასი, §73.

37 იხ. მაგ., ვესელოვი, §136; ხანი, §34.

38 მალინინასი (Malininas) ლიტვის წინააღმდეგ, განაცხადი №10071/04, 01.07.2008, §43; ვესელოვი, §134.

39 ფურხტი (Furcht) გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი №54648/09, 23.10.2014, §§65-71.

40 რამანუსკასი, §§87-88; ტეიმერა, §49; ხუდობინი, §§143-144. შეად. ედვარდსი და ლუისი, §63; ალი (Ali) რუმინეთის წინააღმდეგ, განაცხადი №20307/02, 09.11.2010, §113; პარენიუჩი (Pareniuc) მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ, განაცხადი №17953/08, 01/07/2014,

3. დანაშაულის პროვოცირების საქმეებზე ევროპული სასამართლოს შეფასების სტანდარტი

3.1. მატერიალური ტესტი

მატერიალური ტესტის ფარგლებში, ევროპული სასამართლო აფასებს, მოქმედებდნენ თუ არა გამოძიებისას სახელმწიფოს წარმომადგენლები „არსებითად პასიურად,“ ჩაიდენდა თუ არა განმცხადებელი დანაშაულს მათი ჩარევის გარეშე და, შესაბამისად, ჰქონდა თუ არა ადგილი დანაშაულის პროვოცირებას.⁴¹ ამისათვის, იგი ამოწმებს სპეციალური საგამოძიებო მოქმედებების საფუძვლებსა და განხორციელების პროცესს, რაც მთელი რიგი გარემოებების სრულყოფილ კვლევას გულისხმობს.

(ა) განმცხადებლის მიერ დანაშაულებრივი ქმედების დაწყება ან დანაშაულებრივი წინასწარგანწყობა
დანაშაულის პროვოცირების საქმეებზე მსჯელობისას, ევროპული სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ინტერესდება, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებამდე, ჰქონდათ თუ არა სახელმწიფო ორგანოებს განმცხადებლის მიმართ ეჭვის სათანადო საფუძვლები. ასეთად კი განიხილება განმცხადებლის დანაშაულებრივი წინასწარგანწყობის⁴² ან მის მიერ დანაშაულებრივი ქმედების დაწყების დამადასტურებელი, შემონმბუღი და დოკუმენტირებული, მტკიცებულებები.⁴³ ზოგადი ინფორმაცია დანაშაულში პირის სავარაუდო მონაწილეობის შესახებ არ არის საკმარისი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად.⁴⁴

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ეჭვის სათანადო საფუძვლები სახეზე იყოს სახელმწიფოს წარმომადგენლის განმცხადებელთან პირველი კონტაქტის მომენტისათვის⁴⁵ და ექვემდებარებოდეს დემონსტრირებას გამოძიების ყველა ეტაპზე.⁴⁶ მიუხედავად ამისა, რამდენიმე საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ არ გამორიცხა შესაძლებლობა იმისა, რომ განმცხადებლის წინასწარგანწყობა დაადასტუროს მისმა ქმედებებმა უშუალოდ საგამოძიებო ოპერაციის მსვლელობისას.⁴⁷

წინასწარგანწყობის კვლევის მიმართულებით, სასამართლოსათვის, როგორც წესი, ყურადსაღებია განმცხადებლის სასამართლობის, ან ნარკოტიკული დანაშაულის შემთხვევაში, ნარკოტიკების მოხმარების ფაქტი,⁴⁸ თუმცა მხოლოდ აღნიშნული ვერ გახდება დანაშაულებრივი განზრახვის ინდიკატორი.⁴⁹ მაგალითად, საქმეზე კონსტანტინი და სტოიანი (Constantin and Stoian) რუმინეთის

§46; ტარანეკსი (Taraneks) ლატვიის წინააღმდეგ, განაცხადი №3082/16, 02.12.2014, §125; მორარი, §43.

41 იხ. მაგ., მორარი, §37.

42 Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, გვ. 28; ბანიკოვა, §38; ტეიშერა, §§37-38; ედვარდსი და ლუისი, §46-48; ბულფინსკი (Bulfinsky) რუმინეთის წინააღმდეგ, განაცხადი №28823/04, 01.06.2010, §41; კუზმიცკაია (Kuzmickaja) ლიტვის წინააღმდეგ (განჩინება), განაცხადი №27968/03, 10.06.2008; ლიუბჩენკო, §34; ვ. (V.) ფინეთის წინააღმდეგ, განაცხადი №40412/98, §70.

43 იხ. მაგ., ტრიფონოვი, §30, §33; ფურხტი, §55; მორარი, §37; სეკვირა; ევროფინაკომი.

44 ვანიანი, §49.

45 ფურხტი, §56; ვესელოვი, §91; სეპილი (Sepil) თურქეთის წინააღმდეგ, განაცხადი №017711/07, 12.11.2013, §34.

46 ვანიანი, §49; ხუდობინი, §134; რამანაუსკასი, §§63-64; მალინინასი, §36; სეკვირა; ევროფინაკომი.

47 იხ. მაგ., თორანი და შიმიკი (Toran and Schymik) რუმინეთის წინააღმდეგ, განაცხადი №43873/10, 14.04.2015, §58; შენონი (Shannon) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (განჩინება), განაცხადი №67537/01, 06.04.2004.

48 იხ. მაგ., ტეიშერა, §§37-38; ხუდობინი, §134; კიპრიან ვლადუ და იოან ფლორინ პოპი (Ciprian Vladut and Ioan Florin Pop) რუმინეთის წინააღმდეგ, განაცხადები №43490/07 და 44304/07, 16.07.2015, §85; თორანი და შიმიკი, §58.

49 კონსტანტინი და სტოიანი (Constantin and Stoian) რუმინეთის წინააღმდეგ, განაცხადები №23782/06 და 46629/06, 29.09.2009, §55; ლალასი (Lalas) ლიტვის წინააღმდეგ, განაცხადი №13109/04, 01.03.2011, §46; ბალტინსი (Baltins) ლატვიის წინააღმდეგ, განაცხადი №25282/07, 08.01.2013, §58.

წინააღმდეგ,⁵⁰ სტრასბურგმა არ მიიჩნია განმცხადებლის მიერ ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების ფაქტი მისი წინასწარგანწყობის დამადასტურებელ გარემოებად.⁵¹

ამის საწინააღმდეგოდ, ევროპული სასამართლოსათვის, წინასწარგანწყობა საკმარისად დემონსტრირებული იყო საქმეზე შენონი (Shannon) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.⁵² აქ სასამართლომ განმცხადებლის მიერ ნარკოტიკული ნივთიერებების ფასების ცოდნა, მოკლე პერიოდში მათი მოპოვება და, უარის თქმის არაერთი შესაძლებლობის მიუხედავად, არაკანონიერი გარიგების დადება, ერთობლიობაში დანაშაულებრივი განზრახვის მაჩვენებლად მიიჩნია.⁵³ ანალოგიურად, საქმეზე თორანი და შიმიკი (Toran and Schymik) რუმინეთის წინააღმდეგ,⁵⁴ განმცხადებლების მიერ ფარული აგენტის დაკავშირების შემდეგ მოკლე დროში დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების რამდენიმე საზღვარზე გადატანა, ევროპულმა სასამართლომ წინასწარგანწყობის დამადასტურებელ გარემოებად განიხილა.⁵⁵

(ბ) დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელი პირის სტატუსი

დანაშაულის პროვოცირების საქმეებში, ევროპული სასამართლო სრულყოფილად ამოწმებს სპეციალური საგამოძიებო ღონისძიებების დაწყების ფაქტობრივ წინაპირობებსა და საფუძვლებს. ამ მიმართულებით, იგი ასევე იკვლევს, გამოძიება დაიწყო ანონიმური წყაროს, კერძო პირისა თუ სახელმწიფო ორგანოების საიდუმლო თანამშრომლის (ე.წ. „ინფორმატორის“) მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.⁵⁶ როგორც წესი, ამ უკანასკნელ შემთხვევას სტრასბურგი უკავშირებს დანაშაულის პროვოცირების განსაკუთრებულ რისკს და, შესაბამისად, მის მიმართ შეფასების კიდევ უფრო მაღალ სტანდარტს ავრცელებს.

დადგენილი პრაქტიკით, ევროპული სასამართლო მოითხოვს, გამოძიების კონტექსტში, ინფორმატორის როლი იყოს „მკაცრად პასიური,“ რაც, თავის მხრივ, რთული მისაღწევია, როდესაც იგი საკონტროლო შესყიდვაში მონაწილეობს.⁵⁷ სტრასბურგის განმარტებით, ამგვარი საგამოძიებო ღონისძიება, სადაც ჩართულია ინფორმატორი, საჭიროებს მყარ დასაბუთებას, სათანადო ავტორიზებასა და იმგვარ დოკუმენტირებას, რომ შესაძლებელი იყოს მონაწილეთა ქმედებების შესწავლა.⁵⁸

აღნიშნული მოთხოვნები რელევანტურია მაშინაც, როდესაც საგამოძიებო ღონისძიებათა დაწყების საფუძველი არა სახელმწიფოს წარმომადგენლის ან ინფორმატორის, არამედ კერძო პირის მიმართვაა.⁵⁹ ამ დროს, მნიშვნელოვანია, გამოირიცხოს ყველა შესაძლო პირადი მოტივი და მხედველობაში იქნეს მიღებული გამოძიების დაწყებამდე ინფორმაციის მიმწოდებლის ურთიერთობა განმცხადებელთან.⁶⁰

50 იხ. სქ. 49.

51 იქვე. იხ. ასევე, კიპრიან ვლადუ, §85; სეპილი, §34; ბალტინსი, §58. შეად. შოლერი (Scholer) გერმანიის წინააღმდეგ, განაცხადი №14212/10, 18.12.2014, §85.

52 იხ. სქ. 47.

53 იქვე; ლაგუტინი, §92. იხ. ასევე, დავითიძე (Davitidze) რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადი №8810/05, 30.05.2013, §149; შოლერი, §§88-89; კალაბრო (Calabro) იტალიისა და გერმანიის წინააღმდეგ (განჩინება), განაცხადი №59895/00, 21.03.2002.

54 იხ. სქ. 47.

55 იქვე, §58.

56 მილინიენე, §§37-38; მალინინასი, §37; გორგიევსკი (Gorgievski) მაკედონიის ყოფილი იუგოსლავური რესპუბლიკის წინააღმდეგ, განაცხადი №18002/02, 16/07/2009, §§52-53.

57 ვესელოვი, §102; ხუდობინი, §134.

58 ვესელოვი, §102. იხ. ასევე, ვანიანის საქმე, სადაც, კერძო პირის ჩართვამდე, არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც პოლიციას განმცხადებლის მიერ დანაშაულის ჩადენის საფუძვლიან ეჭვს გაუჩენდა (იხ. სქ. 13, §49).

59 შენონი; ბანიკოვა, §44.

60 იხ. ხუდობინი, §134; მილინიენე, §39; შენონი.

ანონიმური წყაროს შემთხვევაში, ევროპული სასამართლო მოითხოვს, სათანადოდ გადამოწმდეს მიღებული ინფორმაცია და ჩატარდეს წინასწარი მოკვლევის ღონისძიებები, რომლებიც, თავის მხრივ, სრულყოფილად უნდა იყოს დოკუმენტირებული. აღნიშნული კიდევ უფრო აქტუალურია მაშინ, როდესაც პირის დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით სახელმწიფო ორგანოები მანამდე არ იყვნენ ინფორმირებულნი. მაგალითად, ნოსკოსა და ნეფედოვის საქმეზე, პოლიციამ სიმულაციური მოდელი განახორციელა ანონიმური წყაროსაგან ინფორმაციის მიღებისთანავე, ყოველგვარი შემოწმებისა და დამატებითი მოკვლევის გარეშე, რაც სტრასბურგისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.⁶¹

(გ) საგამოძიებო ღონისძიებათა მონაწილეები

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით, საგამოძიებო ღონისძიებათა მსვლელობისას, სახელმწიფოს წარმომადგენლები უნდა მოქმედებდნენ არსებითად პასიურად და არ ახდენდნენ სუბიექტზე მაპროვოცირებელ თუ წამაქეზებელ გავლენას. მე-6 მუხლის მიზნებისათვის, სტრასბურგი მნიშვნელობას არ ანიჭებს, სადავო ქმედება ჩაიდინა სახელმწიფოს წარმომადგენელმა თუ მისი მითითებების ან ზედამხედველობის ქვეშ მოქმედმა კერძო პირმა. მაგალითად, ვანიანის საქმეზე, კერძო პირის მონაწილეობით განხორციელებული საკონტროლო შესყიდვა, რომელიც იგეგმებოდა და კონტროლდებოდა პოლიციის მიერ, მიჩნეულ იქნა დანაშაულის პროვოცირებად.⁶²

ამ მხრივ, ასევე საინტერესოა შენონის საქმე, სადაც ჟურნალისტის მიერ პოლიციისათვის მიწოდებული მტკიცებულებების საფუძველზე, განმცხადებლის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.⁶³ სტრასბურგის შეფასებით, აქ სახელმწიფოს როლი შემოიფარგლებოდა კერძო პირის მიერ გადაცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განმცხადებლისთვის ბრალის წარდგენაში. სადავო ქმედებები განხორციელებული იყო კერძო პირის მიერ, რომელიც არ მოქმედებდა პოლიციის მითითებების საფუძველზე ან მისი კონტროლის პირობებში. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ არ გამოიყენა ამგვარად მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებით სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის შესაძლებლობა და საჭიროდ ჩათვალა, შეეფასებინა ეროვნული სასამართლოების მიერ საქმის განხილვის შესაბამისობა მე-6 მუხლის მოთხოვნებთან.⁶⁴

მილინიენეს⁶⁵ საქმეზე, განმცხადებლის მიერ ქრთამის მოთხოვნის შესახებ ინფორმაციით, პოლიციას მიმართა კერძო პირმა. შედეგად, პროკურატურამ გასცა ნებართვა სიმულაციური მოდელის განხორციელებაზე, რომლის ფარგლებშიც ინფორმაციის მიმწოდებელმა პოლიციისაგან მიიღო სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა განმცხადებელთან საუბრების ჩასაწერად. მიუხედავად იმისა, რომ „პოლიციამ იქონია გავლენა მოვლენათა მსვლელობაზე,“ სასამართლომ მიიჩნია, რომ დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელი იყო არა პოლიციის, არამედ განმცხადებლის ქმედებები. შესაბამისად, სტრასბურგის შეფასებით, პოლიცია მხოლოდ „შეუერთდა“ დანაშაულებრივ ქმედებას და არ ყოფილა მისი ინიციატორი.⁶⁶

61 ნოსკო და ნეფედოვი (Nosko and Nefedov) რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადები №5753/09, 11789/10, 30.10.2014, §59.

62 ვანიანი, §§45-50.

63 შენონი.

64 სტრასბურგმა მიიჩნია, რომ ეროვნული სამართალწარმოება შესაბამებოდა კონვენციის მოთხოვნებს და, ამდენად, მოცემულ საქმეზე, საბოლოო ჯამში, მე-6 მუხლის დარღვევა არ დადგინდა.

65 იხ. სქ. 30.

66 იქვე, §§37-38. იხ. ასევე, ხუდობინი, §134. შეად. მაგ., სეპილი, §§34-41.

მილინიენეს მსგავსად, სანდუს⁶⁷ საქმეზე, კერძო პირმა პოლიციას მიაწოდა ინფორმაცია განმცხადებლის მიერ ქრთამის მოთხოვნის შესახებ, რის საფუძველზეც დაიგეგმა თანხის გადაცემის სიმულაციური მოქმედება. ამ საგამოძიებო ღონისძიებაში პოლიციის თანამშრომლები პირდაპირ არ ყოფილან ჩართულნი, თუმცა ისინი ზედამხედველობდნენ ინფორმაციის მიმწოდებელ პირს, რომელიც მონაწილეობდა სიმულაციურ ღონისძიებაში.

სანდუს საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ, როდესაც პოლიციის ქმედებები შემოიფარგლება კერძო პირის მიერ დანაშაულის ჩანერის ტექნიკური უზრუნველყოფით, პროვოცირების ფაქტის დადგენისათვის, გადამწყვეტია უშუალო მონაწილეთა ქცევა და ეროვნული სასამართლოების მიერ აღნიშნულის სათანადო შეფასება. აქ რიგი გარემოებები და მტკიცებულებები მიაწოდებდა ინფორმაციის მიმწოდებლის სავარაუდო პირად მოტივებზე, რომლებიც, მიუხედავად განმცხადებლის მრავალი მითითებისა, არ იქნა შესწავლილი პოლიციისა და სასამართლოს მიერ. შესაბამისად, სტრასბურგმა მიიჩნია, რომ ეროვნულ დონეზე სათანადოდ არ გამოვლენულა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მოქმედი კერძო პირის სავარაუდო მაპროვოცირებელი ქმედებები. დამატებით, იმის გათვალისწინებით, რომ, ფარული ოპერაციის ჩატარებამდე არ არსებობდა ობიექტური ეჭვის საფუძველი განმცხადებლის დანაშაულებრივ საქმიანობასა თუ წინასწარგანწყობასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელს დაერღვა უფლება სამართლიან სასამართლოზე.⁶⁸

(დ) დანაშაულის ჩადენის ინიციატივა

განმცხადებლის წინასწარგანწყობის არსებობა-არარსებობის მიუხედავად, ევროპული სასამართლო, როგორც წესი, იკვლევს, სახელმწიფოს წარმომადგენლები „შეუერთდნენ“ განმცხადებლის მიერ დაწყებულ დანაშაულებრივ ქმედებას თუ გახდნენ დანაშაულის ჩადენის ინიციატორები.⁶⁹ პირველ შემთხვევაში, მე-6 მუხლის დარღვევას ადგილი არ ექნება.⁷⁰ მაგალითად, საქმეზე სეკეირა (Sequeira) პორტუგალიის წინააღმდეგ,⁷¹ სახელმწიფოს წარმომადგენლები ჩაერთვნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა დანაშაულის მომზადება და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ მათი ქმედება არ გაცდენია კონვენციით დასაშვებ ფარგლებს.⁷²

ამის საწინააღმდეგოდ, საქმეზე კიპრიან ვლადუ და იოან ფლორინ პოპი (Ciprian Vladut and Ioan Florin Pop) რუმინეთის წინააღმდეგ,⁷³ პოლიციის თანამშრომელმა თავად დაგეგმა რამდენიმე დანაშაულებრივი გარიგება, ხოლო განმცხადებელმა მხოლოდ შეასრულა ისინი. იმდენად დიდი იყო დანაშაულის ჩადენაში სახელმწიფოს წარმომადგენლის როლი, მათ შორის, განმცხადებლის მიმართ მუქარისა და ზეწოლის გამოყენებით, რომ ევროპულმა სასამართლომ დანაშაულის პროვოცირების ფაქტი დაადგინა.⁷⁴

67 სანდუ (Sandu) მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ, განაცხადი №16463/08, 11/02/2014, §32.

68 იქვე, §§32-39.

69 მორარი, §36. შეად. ტარანეკსი, სადაც ყველა სატელეფონო საუბარი და შეხვედრა, რომელთა ფარგლებშიც განმცხადებელმა მოითხოვა ქრთამის გადაცემა, განხორციელდა ფარული აგენტების ინიციატივითა და დაჟინებით (იხ. სქ. 40, §65).

70 Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, გვ. 28; მილინიენე, §§37-38; ბუტკევიციუსი (Butkevicius) ლიტივის წინააღმდეგ (განჩინება), განაცხადი №48297/99, 26.03.2002; სეკეირა; ვოლკოვი და ადამსკი (Volkov and Adamskiy) რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადები №7614/09 და 30863/10, 26.03.2015, §41; პრადო ბუგალიო (Prado Bugallo) ესპანეთის წინააღმდეგ (განჩინება), განაცხადი №21218/09, 18.10.2011, §§28-29.

71 იხ. სქ. 26.

72 იქვე.

73 იხ. სქ. 48.

74 იქვე, §§85-87.

(ე) განმცხადებლის მიმართ ზეწოლის გამოყენება

სახელმწიფოს წარმომადგენელთა ქმედების შეფასებისას, ევროპული სასამართლო ამონებს, ხომ არ განხორციელდა განმცხადებელზე ისეთი წნეხი ან ზეწოლა, რამაც მის მიერ დანაშაულის ჩადენა განაპირობა. იურისპრუდენციის ანალიზიდან გამომდინარე, ასეთად განიხილება:

- დანაშაულებრივ ქმედებაში პირის ჩართულობის ან მისი წინასწარგანწყობის ყოველგვარი ობიექტური ეჭვის არარსებობის პირობებში, განმცხადებელთან დაკონტაქტება;⁷⁵
- განმცხადებლის თავდაპირველი უარის მიუხედავად, დანაშაულის ჩადენის განმეორებით შეთავაზება და დაჟინებული წაქეზება;⁷⁶
- საშუალოზე მაღალი ფინანსური სარგებლის დაპირება;⁷⁷
- განმცხადებლის თანაგრძნობის გამოწვევა აბსტინენციის სიმპტომებზე მითითებით.⁷⁸

საქმეზე ნოსკო და ნეფედოვი რუსეთის წინააღმდეგ,⁷⁹ ფარულ საგამოძიებო ოპერაციაში პოლიციამ ჩააბა განმცხადებელთან დაახლოებული პირი. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ქმედებით პოლიციამ ისარგებლა განმცხადებლის ნდობით, რაც, შესაბამისად, ნიშნავდა, რომ სახელმწიფომ იმოქმედა არა პასიურად, არამედ განახორციელა გაუმართლებელი წნეხი განმცხადებელზე.⁸⁰

მალინინასის⁸¹ საქმეზე, ფარული აგენტი თავისი ინიციატივით დაუკავშირდა განმცხადებელს და, ნარკოტიკული ნივთიერებების მიწოდების სანაცვლოდ, მნიშვნელოვანი თანხა შესთავაზა. სტრასბურგის შეფასებით, აღნიშნული წარმოადგენდა „აშკარა კარნახს“ და, შესაბამისად, არ შეიძლებოდა განხილულიყო „არსებითად პასიურ“ საგამოძიებო მოქმედებად.⁸²

(ვ) საგამოძიებო ღონისძიებათა მარეგულირებელი წესები

ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საგამოძიებო ღონისძიებების ავტორიზების, განხორციელებისა და ზედამხედველობის განჭვრეტადი რეგულაციის არსებობას.⁸³ სტრასბურგის განმარტებით, აუცილებელია, ეროვნული კანონმდებლობა შეიცავდეს დანაშაულის პროვოცირების მკაფიო დეფინიციას, მისი პრევენციის სახელმძღვანელოს და, ასევე, კონტროლისა თუ მონიტორინგის ადეკვატურ მექანიზმებს.⁸⁴ წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპული სასამართლოს შეფასებით, წარმოიშობა დანაშაულის პროვოცირების პრეზუმფცია.⁸⁵ საგულისხმოა, რომ ზედამხედველობის ყველაზე მისაღებ ორგანოდ მიჩნეულია სასამართლო, თუმცა, დაცვის შესაბამისი გარანტიების არსებობისას, სტრასბურგი უშვებს სხვა საშუალებით (მაგალითად, პროკურორის მიერ⁸⁶) კონტროლის შესაძლებლობას.⁸⁷

75 მალინინასი, §§36-37.

76 რამანაუსკასი, §67; პარენიუჩი, §39; ფურხტი, §§57-58.

77 მალინინასი, §37.

78 ვანიანი, §11, §49; Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a Fair Trial (Criminal Limb), გვ. 28.

79 იბ. სქ. 61.

80 იქვე, §§58-66.

81 იბ. სქ. 38.

82 იქვე, §37. იბ. ასევე, ლალასი, §45; ბალტინსი, §58. შეად. კალაბრო.

83 ხუდობინი, §135; ვანიანი, §§46-47; ტეიშერა, §38; რამანაუსკასი, §64. შეად. ვოლკოვი და ადამსკი, §36.

84 ვესელოვი, §103; ნოსკო და ნეფედოვი, §73; ლაგუტინი, §93.

85 იბ. მაგ., ნოსკო და ნეფედოვი, §53.

86 იბ. მაგ., ევროფინავომი.

87 მილინიენე, §39.



საქმეზე ვესელოვი (Veselov) და სხვები რუსეთის წინააღმდეგ,⁸⁸ ევროპულმა სასამართლომ გამოიკვლია ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების კანონმდებლობა და დაადგინა, რომ უმრავლესობა ითვალისწინებდა საკონტროლო შესყიდვებისა და მსგავსი საგამოძიებო მოქმედებების მკაცრ რეგულაციებს.⁸⁹ უმეტესობა ქვეყნებისა განსაზღვრავდა მოსამართლის,⁹⁰ პროკურორის⁹¹ ან ორივე მათგანის⁹² მიერ საგამოძიებო მოქმედებათა ავტორიზების აუცილებლობას, ხოლო პოლიციას, როგორც წესი, მოეთხოვებოდა, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წინაშე დაესაბუთებინა ამ ღონისძიებათა აუცილებლობა.⁹³ ამის საწინააღმდეგოდ, რუსული სისტემა, სადაც საკონტროლო შესყიდვები და მსგავსი ღონისძიებები მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ორგანოთა კომპეტენციაში ხვდებოდა, ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე, მიჩნეულ იქნა შეუსაბამოდ მე-6 მუხლის მოთხოვნებთან.⁹⁴

ვესელოვის საქმეზე, საკონტროლო შესყიდვა განხორციელდა ინფორმატორის მიერ მიწოდებული, გადაუმოწმებელი ინფორმაციის საფუძველზე. სახელმწიფო ორგანოების მხრიდან არ შესწავლილა განმცხადებლის სავარაუდო დანაშაულებრივი საქმიანობა და, საკონტროლო შესყიდვამდე, არ გატარებულა ისეთი საგამოძიებო ღონისძიებები, რომელიც დაადასტურებდა პირის დანაშაულებრივ განზრახვას.⁹⁵ საკონტროლო შესყიდვის ასე „არაფორმალურად და სპონტანურად“ ჩატარება ევროპულმა სასამართლომ დაუკავშირა სათანადო სამართლებრივი რეგულირების არარსებობას და მიიჩნია მე-6 მუხლის საწინააღმდეგოდ.⁹⁶

ანალოგიურად, საქმეზე ნოსკო და ნეფედოვი რუსეთის წინააღმდეგ, სტრასბურგმა ყურადღება გაამახვილა ეროვნულ კანონმდებლობაზე, რომელიც არ შეიცავდა ფარული საგამოძიებო ოპერაციების შემთხვევაში დაცვის აუცილებელ გარანტიებს, ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმს. აღნიშნული, ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმთავითვე წარმოშობდა დანაშაულის პროვოცირების მაღალ რისკს. დამატებით, გათვალისწინებით იმისა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ არ შეისწავლეს განმცხადებლის შუამდგომლობა დანაშაულის პროვოცირებაზე, არ გამოიკვლიეს ფარული ოპერაციის დანყების მიზეზები, პოლიციის ხელთ არსებული ინფორმაცია და განმცხადებელთან კონტაქტის ფორმები, საქმეზე მე-6 მუხლის დარღვევა დადგინდა.⁹⁷

3.2. საპროცესო ტესტი

ევროპული სასამართლო სრულყოფილად ამოწმებს ეროვნული სასამართლოების მიერ დანაშაულის პროვოცირების საკითხის განხილვის წესს.⁹⁸ დღეისათვის დადგენილი პრაქტიკით, სტრასბურგი საპროცესო ასპექტების გამოკვლევას აუცილებლად მიიჩნევს მაშინაც კი, თუ მატერიალური ტესტის საფუძველზე იგი ვერ განსაზღვრავს სახელმწიფოს წარმომადგენელთა

88 იხ. სქ. 16.

89 იქვე, §§50-63; §§105-106.

90 მაგალითად, სასამართლო ავტორიზება აუცილებელია ბულგარეთში, ხორვატიაში, ესტონეთში, საბერძნეთში, ლიხტენშტაინში, პოლონეთში, სლოვენიაში და თურქეთში.

91 მაგალითად, ავსტრია და ბელგია.

92 მაგალითად, ჩეხეთი და გერმანია.

93 ვესელოვი, §§50-63; §§105-106.

94 იქვე, §106. იხ. მაგ., ხუდობინის საქმე, სადაც პოლიციის ქმედებები ავტორიზებული იყო ოპერაციის განმახორციელებელი ორგანოს მარტივი ადმინისტრაციული გადაწყვეტილებით, რომელიც შეიცავდა მწირ ინფორმაციას დაგეგმილი საკონტროლო შესყიდვის საფუძველზე. ამასთან, ოპერაცია არ კონტროლდებოდა სასამართლოს ან სხვა დამოუკიდებელი ორგანოს მიერ.

95 ვესელოვი, §108.

96 იქვე, §§126-128.

97 ნოსკო და ნეფედოვი, §§56-75.

98 იხ. inter alia, ბანიკოვა, §51, §63; ედვარდსი და ლუისი, §§46-48; რამანაუსკასი, §§60-61; მალინინასი, §34; ხუდობინი, §133. გამონაკლისია ტეშერას საქმე, სადაც სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა მხოლოდ მატერიალური ტესტის საფუძველზე.

მხრიდან მაპროვოცირებელი ქმედების არსებობას⁹⁹ ან როდესაც მხოლოდ მატერიალური ტესტის შედეგებიც საკმარისია მე-6 მუხლის დარღვევის დასადგენად.¹⁰⁰ ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის სრულყოფილი კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგამოძიებო ღონისძიებათა ავტორიზებისა და ზედამხედველობის სათანადო სამართლებრივი რეგულირების არარსებობის პირობებში.¹⁰¹

(ა) ზოგადი მოთხოვნები ეროვნული სამართალწარმოების მიმართ

ევროპული სასამართლოს განმარტებით, მხოლოდ იმ შემთხვევაშია მე-6 მუხლის მოთხოვნები დაკმაყოფილებული, თუ, ეროვნული სამართალწარმოების ფარგლებში, განმცხადებელს ჰქონდა ეფექტიანი შესაძლებლობა, დაეყენებინა პროვოცირების საკითხი - შუამდგომლობისა თუ სხვა ნებისმიერი ფორმით.¹⁰² ზოგადი საპროცესო გარანტიების უზრუნველყოფა, როგორცაა შეჭიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა, საკმარისი არ არის.¹⁰³

საპროცესო ასპექტი კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმის მასალები არ აძლევს სტრასბურგს შესაძლებლობას, დაზუსტებით განსაზღვროს განმცხადებლის მიმართ დანაშაულის პროვოცირების ფაქტის არსებობა.¹⁰⁴ მაგალითად, საქმეში ლაგუტინი (*Lagutin*) და სხვები რუსეთის წინააღმდეგ,¹⁰⁵ საკონტროლო შესყიდვის დაგეგმვისას, სახელმწიფო დაეყრდნო ოპერატიულ ინფორმაციას, რომლის შინაარსიც ეროვნული სამართალწარმოების ფარგლებში არ გამჟღავნდა. მტკიცებულებათა არარსებობის გამო, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მისთვის შეუძლებელი იყო განესაზღვრა ფარული საგამოძიებო მოქმედებების საფუძვლიანობა და, შესაბამისად, დანაშაულის პროვოცირების ფაქტის დადგენა. ასეთ კონტექსტში, გადამწყვეტი გახდა საპროცესო ტესტი, რომლის მიხედვითაც შემოწმდა ეროვნული სასამართლოს მიერ საქმის განხილვა.¹⁰⁶

(ბ) დანაშაულის პროვოცირების საკითხის ეროვნული განხილვის წესი

ევროპული სასამართლო არ მიუთითებს ეროვნული სასამართლოების მიერ დანაშაულის პროვოცირების შუამდგომლობის განხილვის კონკრეტულ წესზე.¹⁰⁷ მისთვის მთავარია, წარმოება იყოს შეჭიბრებითი, ყოველმხრივი, ამომწურავი და გადამწყვეტი დანაშაულის პროვოცირების საკითხთან დაკავშირებით.¹⁰⁸ ვინაიდან საკონტროლო შესყიდვები და მსგავსი საგამოძიებო მეთოდები ზოგადად ქმნის პოლიციის მიერ დანაშაულის პროვოცირების მაღალ რისკს, სტრასბურგი მოითხოვს, სახეზე იყოს მყარი საპროცესო გარანტიები.¹⁰⁹

99 იხ. თორანი და შიმიკი, §§59-60; სეკვირა; პრადო ბუგალო, §30; ედვარდსი და ლუისი, §46; გ., §72; რამანაუსკასი, §61.

100 მორარი, §38. შეად. შოლერი, სადაც სასამართლომ მე-6 მუხლთან შესაბამისობა დაადგინა მხოლოდ მატერიალური ტესტის საფუძველზე (სქ. 51, §§84-91).

101 ხუდობინი, §§133-135; რამანაუსკასი, §60.

102 Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a Fair Trial (Criminal Limb), გვ. 29.

103 რამანაუსკასი, §69.

104 ედვარდსი და ლუისი, §46; გ., §72; კონსტანტინი და სტოიანი, §§56-57; ბანიკოვა, §52; ალი, §101; ხუდობინი; შენონი.

105 იხ. სქ. 15.

106 იქვე, §114. იხ. ასევე, ბულფინსკი, §43; ალი, §101.

107 მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ საქმეებში, ევროპულ სასამართლოს არ მიუნიჭებია უპირატესობა ინგლისურ სამართალში არსებული რამდენიმე რეგულაციიდან რომელიმესათვის (იხ. მაგ., ედვარდსი და ლუისი, §46). მიუხედავად იმისა, რომ, ინგლისური კანონმდებლობის საფუძველზე, დანაშაულის პროვოცირება არ არის ბრალდების მოხსნის წინაპირობა, იგი აკისრებს მოსამართლეს მოვალეობას, შეწყვიტოს საქმის წარმოება ან გამორიცხოს პროვოცირების შედეგად მოპოვებული ყველა მტკიცებულება (იქვე. იხ. ასევე, რაჯკუმარი (*Rajcoomar*) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი №59457/00, 14.12.2004).

108 ბანიკოვა, §§57-58.

109 ლაგუტინი, §115.

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით, როდესაც ეროვნული სასამართლოს წინაშე პირი აყენებს დანაშაულის პროვოცირების შუამდგომლობას, რაც, თავის მხრივ, არ არის აშკარად დაუსაბუთებელი, დანაშაულის პროვოცირების არარსებობის მტკიცების ტვირთი გადადის ბრალდების მხარეზე.¹¹⁰ აღნიშნულის გათვალისწინებით, ეროვნულმა სასამართლომ სათანადოდ უნდა შეაფასოს გარემოებები, მიიღოს შესაბამისი ზომები თავისი ინიციატივით¹¹¹ და, შეჭიბვრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, „გადადგას ყველა აუცილებელი ნაბიჯი სიმართლის გამოსავლენად.“¹¹² ამ მოვალეობისაგან სასამართლოს არ ათავისუფლებს განმცხადებლის მიერ დანაშაულის აღიარების შემთხვევაც კი.¹¹³

სტრასბურგის იურისპრუდენციაში დადგენილია ის ძირითადი საკითხები, რომლებზეც ეროვნულმა სასამართლომ ამომწურავად უნდა იმსჯელოს დანაშაულის პროვოცირების კონტექსტში:

- საგამოძიებო მოქმედებების საფუძვლები და მათი ჩატარების აუცილებლობა;¹¹⁴
- დანაშაულებრივ ქმედებაში სახელმწიფოს წარმომადგენლების ჩართულობის ინტენსივობა და განმცხადებლის მიმართ განხორციელებული ნაქმედებისა თუ ზენოლის ხასიათი.¹¹⁵

პროვოცირების შუამდგომლობის განხილვისას, ეროვნულმა სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, თუ რა მტკიცებულებებს ფლობდნენ შესაბამისი ორგანოები საგამოძიებო ოპერაციის დაწყებამდე და რა ფორმით ეკონტაქტდნენ მონაწილე პირები ბრალდებულს. მხოლოდ ბრალდებულის ქცევაზე ორიენტირება არ იქნება მისაღები მე-6 მუხლის მიზნებისათვის.¹¹⁶

პროვოცირების დადგენის შემთხვევაში, ეროვნულმა სასამართლომ „კონვენციის შესაბამისი დასკვნები“ უნდა გამოიტანოს.¹¹⁷ უფლების დარღვევის აღიარება ან სასჯელის შემსუბუქება¹¹⁸ საკმარისი არ არის - აუცილებელია, საქმიდან გამოირიცხოს პროვოცირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები ან დადგეს სხვა ანალოგიური შედეგი.¹¹⁹

(გ) მტკიცებულებათა ხელმისაწვდომობის პრობლემა

ხშირ შემთხვევაში, განმცხადებელს არ აქვს დანაშაულის პროვოცირების საკითხის ეროვნული სასამართლოს წინაშე დაყენების შესაძლებლობა, ვინაიდან მისთვის არ არის ხელმისაწვდომი ბრალდების ხელთ არსებული შესაბამისი მტკიცებულებები.¹²⁰ მართალია, უფლება სამართლიან სასამართლოზე მოიცავს დაცვის უფლებას ბრალდების ყველა მტკიცებულების ხელმისაწვდომობაზე,¹²¹ თუმცა, ევროპული სასამართლო უშვებს გამონაკლისს, როდესაც მტკიცებულების გაცემაზე უარი შესაძლოა გამართლებული იყოს უპირატესი საჯარო ინტერესით, როგორიცაა ეროვნული უსაფრთხოება, გამოძიების ცალკეული მეთოდების საიდუმლოებისა თუ სხვა

110 Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a Fair Trial (Criminal Limb), გვ. 29.

111 იხ. მაგ., კონსტანტინი და სტოიანი, §60.

112 რამანაუსკასი, §69-70; ხუდობინი, §133; ლაგუტინი, §120.

113 რამანაუსკასი, §72.

114 იხ. მაგ., ტარანევსკი, §68; სეპილი, §§37-39.

115 რამანაუსკასი, §§71-72; ლაგუტინი, §118.

116 იხ. მაგ., ნოსკო და ნეფედოვი, §65.

117 რამანაუსკასი, §70; სეპილი, §37.

118 იხ. ფურხტი, §§65-71.

119 რამანაუსკასი, §60; ხუდობინი, §§133-135; ბანიკოვა, §54.

120 ბანიკოვა, §58; ედვარდსი და ლუისი, §51.

121 იხ. inter alia, გ., §74; ჯასპერი (Jasper) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (დიდი პალატა), განაცხადი №27052/95, 16.02.2000, §51.

პირის ფუნდამენტური უფლებების დაცვა.¹²² მიუხედავად ამისა, მე-6 მუხლი დარღვევულად მიიჩნევა, თუ ბრალდებულის უფლებათა ამგვარი შეზღუდვა სათანადოდ არ იქნება დაბალანსებული.¹²³

საქმეებში, სადაც მტკიცებულება არ გადაეცა დაცვის მხარეს საჯარო ინტერესების გამო, ევროპული სასამართლო ამონმებს არა აღნიშნულის აუცილებლობას, არამედ ეროვნული სასამართლოების მიერ გადანაცვტილების მიღების პროცესს.¹²⁴ დანაშაულის პროვოცირების კონტექსტში, სტრასბურგისთვის მნიშვნელოვანია, დადგინდეს, ჰქონდათ თუ არა სახელმწიფოს წარმომადგენლებს განმცხადებლის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაცია მასთან პირველად დაკონტაქტებამდე და მიუწვდებოდა თუ არა დაცვის მხარეს მასზე ხელი ეროვნული წარმოების ფარგლებში.¹²⁵ სტრასბურგის განმარტებით, უფლება სამართლიან სასამართლოზე დარღვეულია, თუ, პროვოცირების საკითხთან მიმართებით, ეროვნული სასამართლოს გადანაცვტილება ეფუძნება ბრალდებულისათვის გაუმჟღავნებელ ინფორმაციას.¹²⁶

ედვარდისა და ლუისის საქმეში, განმცხადებლებს არ გადაეცათ მტკიცებულებები, რომელთაც, სავარაუდოდ, პირდაპირი კავშირი და, შესაბამისად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დანაშაულის პროვოცირების საკითხის გასარკვევად.¹²⁷ სადავო მტკიცებულებები დაცვის მხარის მონაწილეობის გარეშე (ე.წ. *ex parte* წესის მიხედვით) წარედგინა საქმის განმხილველ მოსამართლეს, რომელმაც მიიჩნია, რომ აღნიშნული მტკიცებულებები არ იყო დაცვის მხარისათვის ხელსაყრელი და, შესაბამისად, არ არსებობდა მათი გადაცემის საჭიროება. სტრასბურგის განმარტებით, აღნიშნული გადანაცვტილებით განმცხადებლებს წაერთვათ შესაძლებლობა, სრულყოფილად ემტკიცებინათ დანაშაულის პროვოცირების ფაქტი. დაცვის მხარე არ იყო ინფორმირებული სადავო მტკიცებულებათა (სავარაუდოდ მათთვის საზიანო) შინაარსზე, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვანი ყოფილიყო პროვოცირების საკითხის გადანაცვტისათვის. ამდენად, განმცხადებლები ვერ დაუპირისპირდნენ მათთვის ხელმიუწვდომელ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ არგუმენტაციას, რამაც შესაძლოა პირდაპირ განაპირობა ბრალეულობასთან დაკავშირებით მოსამართლის დასკვნები.¹²⁸ ევროპულმა სასამართლომ საქმის ამგვარი განხილვა მე-6 მუხლის მოთხოვნების შესაბამოდ მიიჩნია.¹²⁹

ლაგუტინისა და სხვების საქმეზე, განმცხადებლებს არ მიეცათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ ოპერატიულ ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც, სახელმწიფო ორგანოების მითითებით, შედგა საკონტროლო შესყიდვები. სტრასბურგის შეფასებით, ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ არ გამოიკვლიეს საგამოძიებო მოქმედებათა წინაპირობები და, შესაბამისად, პროვოცირების საკითხი. ევროპული სასამართლოს განმარტებით, როდესაც პოლიცია ეყრდნობა ფარული წყაროს მიერ მიწოდებულ საიდუმლო ინფორმაციას, ეროვნული სასამართლო ვალდებულია,

122 ბანიკოვა, §62; ვან მეხელენი, §58.

123 ბანიკოვა, §62.

124 ჯასპერი, §53; ვ., §§73-81; ო'ფარელი (O'Farrell) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი №31777/05, 05.02.2013, §50; ედვარდის და ლუისი, §54.

125 ლაგუტინი, §121; ბალტინსი, §63.

126 ბალტინსი, §63.

127 შეად. ო'ფარელი, §54, სადაც მტკიცებულების *ex parte* განმხილველმა სასამართლომ დაადგინა, რომ გაუმჟღავნებელი მტკიცებულება საერთოდ არ იყო შემხებლობაში დანაშაულის პროვოცირების ფაქტთან.

128 ედვარდის და ლუისი, §§46-48. შეად. ო'ფარელი, §§48-70.

129 შეად. ჯასპერი, რომელიც არ ეხებოდა დანაშაულის პროვოცირების საკითხს და სადაც ევროპულმა სასამართლომ მისაღებად მიიჩნია ცალკეული მტკიცებულების მოსამართლის მიერ *ex parte* განხილვის წესი. სტრასბურგის განმარტებით, აქ მოსამართლე ჯეროვნად უზრუნველყოფდა ბალანსის დაცვას საჯარო ინტერესსა და ბრალდებულის უფლებებს შორის - დაცვის მხარე სათანადოდ იყო ინფორმირებული და ჩართული გადანაცვტილების მიღების პროცესში, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო გასაიდუმლოებული მტკიცებულებების გადაცემის გარეშე. ჯასპერის საქმეზე, სტრასბურგისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ სადავო მტკიცებულება საბოლოოდ არ გახდა ბრალეულობასთან დაკავშირებით გადანაცვტილების მიმღები ნაფიცი მსაჯულებისათვის წარსადგენი საქმის ნაწილი (იხ. სქ. 121, §§50-58).

სრულყოფილად გამოიკვლიოს ამ ინფორმაციის არსებობა ფარული აგენტისა და ეჭვმიტანილის პირველ კონტაქტამდე, შეაფასოს მისი შინაარსი და გადაწყვიტოს მისი დაცვის მხარისათვის გადაცემის საკითხი.¹³⁰ მოცემულ შემთხვევაში, ევროპული სასამართლოს განცხადებით, პროვოკაციის შუამდგომლობა ვერ იქნებოდა განხილული ოპერატიული ინფორმაციის შესწავლისა და ფარული აგენტების დაკითხვის გარეშე.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ეროვნული საქმის წარმოებისას, სასამართლომ უპირობოდ, ყოველგვარი გადამოწმების გარეშე, გაიზიარა პოლიციის არგუმენტაცია გამოძიების კანონიერ საფუძვლებთან დაკავშირებით და სათანადოდ არ გაანალიზა მტკიცების ტვირთი, რის შედეგადაც დაცვის მხარე აღმოჩნდა ბრალდების მხარესთან შედარებით უარეს მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს განმარტებით, თითოეული განმცხადებლის მიმართ, დაირღვა სამართლიანი სასამართლო განხილვისათვის განუყოფელი შეჭიბრობითობისა და თანასწორობის მოთხოვნები, რამაც გადამწყვეტი გავლენა იქონია დანაშაულის პროვოცირებისა და ბრალეულობის განსაზღვრაზე. ამდენად, ლაგუტინის საქმეზე მე-6 მუხლის დარღვევა დადგინდა.¹³¹

მტკიცებულებათა ხელმისაწვდომობის კონტექსტში, ასევე საინტერესოა საქმე ვ. (V.) ფინეთის წინააღმდეგ.¹³² აქ, ეროვნული სამართალწარმოების ფარგლებში, პოლიციამ უარი განაცხადა, წარედგინა სატელეფონო საუბრების აუდიო-ჩანაწერები, რომელთა საფუძველზეც, განმცხადებლის მტკიცებით, შედგა ნარკოტიკებით ვაჭრობის უკანონო გარიგება. სტრასბურგმა აღნიშნული შეაფასა, როგორც პოლიციის „აშკარა წინააღმდეგობა“, გაემჟღავნებინა თავისი მოქმედებების ფარგლები და სავარაუდოდ მაპროვოცირებელი ხასიათი. ამგვარ შემთხვევაში კი, განმცხადებელს წაერთვა შესაძლებლობა, ეფექტიანად მიეღო მონაწილეობა სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში და დაედასტურებინა თავისი პოზიციის სისწორე, მაშინ, როდესაც არ არსებობდა მტკიცებულების გადაცემაზე უარის თქმის საჭარო ინტერესით განპირობებული საფუძვლები.

ევროპულმა სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ საქმის განმხილველი სასამართლოსათვის არ იყო ცნობილი სატელეფონო საუბრების შინაარსი და, შესაბამისად, მას არ შეეძლო განესაზღვრა თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული ინფორმაცია დაცვის მხარისათვის. გამომდინარე აქედან, სტრასბურგმა მიიჩნია, რომ განმცხადებელს არ მიეცა შესაძლებლობა, სრულყოფილად ემტკიცებინა დანაშაულის პროვოცირების საკითხი ეროვნული სასამართლოს წინაშე, რის გამოც გადაწყვეტილების მიღების წესი არ აკმაყოფილებდა მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული სამართლიანობის მოთხოვნებს.¹³³

ანალოგიურად, საქმეში ლალასი (Lalas) ლიტვის წინააღმდეგ, ეროვნული სამართალწარმოებისას, განმცხადებელს სრულად არ მიენოდა ინფორმაცია მის მიმართ განხორციელებული სიმულაციური მოდელის შესახებ. შესაბამისად, სტრასბურგმა მიიჩნია, რომ მტკიცებულება არ შეფასებულა შეჭიბრობითობის პრინციპის დაცვით და მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა.¹³⁴

ამდენად, ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეროვნული სასამართლო ვალდებულია, სრულყოფილად შეისწავლოს დანაშაულის პროვოცირების შესახებ შუამდგომლობა.¹³⁵ ამ მიზნით, ნებისმიერი რელევანტური ინფორმაცია, განსაკუთრებით ბრალდებულის წარსულ დანაშაულებრივ

130 ლაგუტინი, §121.

131 ლაგუტინი, §§122-124.

132 იბ. სქ. 42.

133 იქვე, §§76-80.

134 ლალასი, §§46-48.

135 ბანიკოვა, §64; მალინინასი, §36; ბულფინსკი; გორგიევსკი, §§52-53.

საქმიანობასთან დაკავშირებით, ღიად უნდა წარედგინოს სასამართლოს და გამოკვლეულ იქნას შეჭიბვრებითობის პრინციპის დაცვით.¹³⁶

(დ) მოწმეები დანაშაულის პროვოცირების საქმეებში

ზოგადი წესის თანახმად, კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი კონკრეტული მოწმის დაკითხვის საჭიროების გადანაცვებას ეროვნული სასამართლოს კომპეტენციას მიაკუთვნებს.¹³⁷ ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნორმა არ მოითხოვს ყველა მოწმის დასწრებასა და დაკითხვას - მისი მთავარი მიზანია, უზრუნველყოფილ იქნეს მხარეთა თანასწორობა და შეჭიბვრებითობა.¹³⁸ მიუხედავად ამისა, დანაშაულის პროვოცირების საქმეებში, სტრასბურგისთვის მნიშვნელოვანია, დაცვის მხარეს მიეცეს შესაძლებლობა, თუნდაც წერილობით დაკითხოს ფარული აგენტები და სხვა პირები, რომელთაც შეუძლიათ ჩვენების მიცემა დანაშაულის პროვოცირებასთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს უნდა წარედგინოს დასაბუთებული უარი შესაბამისი მიზეზებისა და საფუძვლების მითითებით.¹³⁹

თუ განაჩენი მთლიანად ან მნიშვნელოვნად ეფუძნება ჩვენებას მოწმისა, რომლის დაკითხვის შესაძლებლობაც ბრალდებულს არ ჰქონია საგამოძიებო ან სასამართლო ეტაპზე, სტრასბურგი, როგორც წესი, მე-6 მუხლის დარღვევას დაადგენს.¹⁴⁰ მაგალითად, მორარის¹⁴¹ საქმეზე, ეროვნულმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს განმცხადებლის მოთხოვნა, დაკითხულიყვნენ ფარული აგენტები, რაც ევროპული სასამართლოს განმარტებით, „ფუნდამენტური“ იყო პროვოცირების საკითხის გადასაწყვეტად.¹⁴² აღნიშნული ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგებოდა მე-6 მუხლით გარანტირებულ უფლებას სამართლიან სასამართლოზე.

ხუდობინის¹⁴³ საქმეში, ბრალდებულის მოთხოვნის მიუხედავად, ეროვნული სასამართლოს წინაშე არ დაკითხულან საკონტროლო შესყიდვაში ჩართული პოლიციის თანამშრომლები. უფრო მეტიც, სასამართლოს არ მოუხმენია თვითონ განმცხადებლის პოზიცია დანაშაულის პროვოცირების საკითხთან დაკავშირებით. ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული მიუთითებდა, რომ ეროვნული წარმოების ფარგლებში არ გამოკვლეულა შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი ასპექტები, რაც შესაძლებლობას მისცემდა სასამართლოს გაემიჯნა სავარაუდო პროვოცირება კანონიერი საგამოძიებო მოქმედებისაგან. შესაბამისად, ეროვნული სასამართლო განხილვა არ იყო „სამართლიანი“ მე-6 მუხლის მიზნებისათვის.¹⁴⁴

136 ლაგუტინი, §100; ვ., §76; მალინინასი, §36; ბულფინსკი.

137 გორგიევსკი, §47.

138 იხ. მაგ., ვიდალი (Vidal) ბელგიის წინააღმდეგ, განაცხადი №12351/86, 22.04.1992, §33; ბრიკმონტი (Bricmont) ბელგიის წინააღმდეგ, განაცხადი №10857/84, 07.07.1989, §89.

139 ბანიკოვა, §65; სევეირა; შენონი; ბულფინსკი, §45; კუმბიკაია; ალი, §102; კიპრიან ვლადუ, §§89-90; ლიუდი.

140 იხ. მაგ., კალაბრო; ლიუდი. შეად. სევეირა.

141 იხ. სქ. 29.

142 იქვე, §38. შეად. თორანი და შიმიკი, §§60-62; სევეირა.

143 იხ. სქ. 12.

144 იქვე, §§136-137. იხ. ასევე, ლალასი, §46.

4. ევროპული სასამართლოს ცალკეული გადაწყვეტილებები

4.1. ტეიშეირა დე კასტრო (Teixeira de Castro) პორტუგალიის წინააღმდეგ¹⁴⁵

ტეიშეირა დე კასტრო (*Teixeira de Castro*) პორტუგალიის წინააღმდეგ პირველი საქმეა, რომელიც ევროპულმა სასამართლომ დანაშაულის პროვოცირებასთან დაკავშირებით განიხილა. იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ამ მიმართულებით სტრასბურგის მიერ ჩამოყალიბებულ იურისპრუდენციაში, რადგან სწორედ აქ წარმოადგინა ევროპულმა სასამართლომ დანაშაულის პროვოცირების საწყისი კონცეფცია და დაამკვიდრა ე.წ. „არსებითად პასიური მოქმედების“ პრინციპი. ამავე გადაწყვეტილებით, აღიარებულ იქნა, რომ დანაშაულის პროვოცირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების სისხლისსამართლებრივ წარმოებაში გამოყენება იმთავითვე და საბოლოოდ ართმევს ბრალდებულს უფლებას სამართლიან სასამართლოზე.¹⁴⁶ ტეიშეირას საქმეზე განვითარებული მსჯელობა ევროპული სასამართლოს შემდგომ პრაქტიკაში არაერთხელ იქნა ციტირებული.

(ა) ფაქტობრივი გარემოებების მოკლე მიმოხილვა¹⁴⁷

სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პოლიციის ორი თანამშრომელი დაუკავშირდა ნაკლებად მძიმე ნარკოტიკულ დანაშაულში ეჭვმიტანილ პირს და, მისი მიმწოდებლის გამოვლენის მიზნით, განუცხადა, რომ სურდა რამდენიმე კილოგრამი ნარკოტიკული ნივთიერების - ჰაშიშის შეძენა. ეჭვმიტანილი, რომელმაც არ იცოდა, რომ ეს პირები პოლიციის თანამშრომლები იყვნენ, დათანხმდა მიმწოდებლის მოძიებას, თუმცა მან აღნიშნული ვერ მოახერხა.

ამის შემდეგ, პოლიციელებმა ეჭვმიტანილს განუცხადეს, რომ ამჯერად დაინტერესებულები იყვნენ ჰეროინის შეძენით. ეჭვმიტანილმა მათთან საუბარში ახსენა ვინმე ტეიშეირა დე კასტრო, რომელსაც, მისი თქმით, შეეძლო მიმწოდებლის მოძიება. შედეგად, პოლიციელები დაუკავშირდნენ განმცხადებელს, რომელმაც, შუამავლების მეშვეობით, მიაწოდა მათ მოთხოვნილი ჰეროინი. ნარკოტიკული ნივთიერებების გადაცემის მომენტში, პოლიციელებმა ტეიშეირა დე კასტრო დააკავეს.

ეროვნული სამართალწარმოების ფარგლებში, განმცხადებელმა დააყენა დანაშაულის პროვოცირების საკითხი და განაცხადა, რომ მან დანაშაული ჩაიდინა მხოლოდ პოლიციელების ნაქვების შედეგად. სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდებულის პოზიცია და შეუფარდა ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენის თანახმად, ფარული აგენტის ან თუნდაც „აგენტი-პროვოკატორის“ გამოყენება არ ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ კანონმდებლობას, თუ ეს გამართლებული იყო შესაბამისი მიზნებით. აქვე აღინიშნა, რომ პოლიციელების ქმედება არ იყო „გადამწყვეტი“ დანაშაულის ჩადენისთვის. განაჩენი, რომელიც ძირითადად დაეფუძნა პოლიციელთა ჩვენებებს, განმცხადებელმა გაასაჩივრა ზემდგომ ინსტანციაში, თუმცა საჩივარი დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული.

ტეიშეირა დე კასტრომ მიმართა ევროპულ სასამართლოს და განაცხადა, რომ მის მიმართ დაირღვა მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლება სამართლიან სასამართლოზე, რადგან დანაშაული პროვოცირდა პოლიციელების მიერ. მისი განმარტებით, იგი არ ჩაიდენდა

¹⁴⁵ იხ. სქ. 13.

¹⁴⁶ იქვე, §39.

¹⁴⁷ იქვე, §§8-22.

დანაშაულს, რომ არა „აგენტი-პროვოკატორების“ ჩარევა. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ საგამოძიებო მოქმედებებზე არ ხორციელდებოდა სასამართლო მონიტორინგი და, სპეციალურ ღონისძიებათა დაწყებამდე, არ ჩატარებულა წინასწარი მოკვლევა.

(ბ) ევროპული სასამართლოს შეფასება¹⁴⁸

ტეიშერა დე კასტროს განაცხადთან დაკავშირებით მსჯელობის დასაწყისშივე, ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მის კომპეტენციაში შედის არა მტკიცებულებათა დასაშვებობის წესის განსაზღვრა, არამედ დადგენა იმისა, თუ რამდენად იყო ეროვნული სამართალწარმოება, მათ შორის, მტკიცებულების მოპოვების მეთოდი, სამართლიანი მთლიანობაში.

სტრასბურგის განმარტებით, კონვენცია არ გამოიყენებს საგამოძიებო ეტაპზე ანონიმურ ინფორმატორებზე დაყრდნობის შესაძლებლობას, თუმცა მათი განცხადებების სამართალწარმოებაში გამოყენება და მათზე განაჩენის დაფუძნება განსხვავებული საკითხია. ევროპული სასამართლოს განცხადებით, „მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელების უფლებას იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რომ ის არ შეიძლება შეეწიროს მიზანშეწონილობას.“¹⁴⁹ გამომდინარე აქედან, საჯარო ინტერესი ვერ გაამართლებს პროვოცირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებას.

აღნიშნულის შემდეგ, სასამართლომ შეაფასა, თუ რამდენად გაცდა სახელმწიფოს წარმომადგენლების ქმედება დასაშვებ ფარგლებს. ამ მხრივ, მნიშვნელობა მიენიჭა იმ ფაქტს, რომ პოლიციელთა ქმედებები არ იყო ავტორიზებული ან შემოწმებული მოსამართლის მიერ. ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ არ არსებობდა განმცხადებელზე საფუძვლიანი ეჭვის წარმოშობის წინაპირობები, რადგან იგი არ იყო წარსულში ნასამართლევ და მის წინააღმდეგ არ ყოფილა დაწყებული წინასწარი გამოძიება. ევროპული სასამართლოს პოზიციით, საქმეში არ არსებობდა მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელი ფლობდა ნარკოტიკების უფრო მეტ ოდენობას,¹⁵⁰ ვიდრე პოლიციელებმა მოითხოვეს, ან რომ ის წინასწარგანწყობილი იყო დანაშაულის ჩასადენად.

ამის გათვალისწინებით, სტრასბურგმა მიიჩნია, რომ პოლიციის თანამშრომელთა ქმედება გაცდა არსებითად პასიური გამოძიების ფარგლებს და განმცხადებელზე იქონია დანაშაულის მაპროვოცირებელი გავლენა. სასამართლომ დამატებით გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ განაჩენი ძირითადად სახელმწიფოს წარმომადგენელთა განცხადებების საფუძველზე დადგა. ევროპული სასამართლოს განმარტებით, ამგვარმა ჩარევამ და მისი შედეგების სისხლის სამართლის პროცესში გამოყენებამ იმთავითვე და საბოლოოდ დაარღვია განმცხადებლის უფლება სამართლიან სასამართლოზე.

148 იქვე, §§34-39.

149 იქვე, §36.

150 ანალოგიური აქცენტები იხ. საქმეში ვ., §70.



4.2. რამანაუსკასი (*Ramanauskas*) ლიტვის წინააღმდეგ¹⁵¹

(ა) ფაქტობრივი გარემოებების მოკლე მიმოხილვა¹⁵²

რამანაუსკასს, რომელსაც პროკურორის თანამდებობა ეკავა, შუამავლის მეშვეობით, დაუკავშირდა მისთვის მანამდე უცნობი პირი და, ქრთამის სანაცვლოდ, სთხოვა მესამე პირისათვის ბრალის მოხსნა. განმცხადებელმა თავდაპირველად უარი თქვა შეთავაზებაზე, თუმცა რამდენიმე განმეორებითი შეთავაზების შემდგომ - დასთანხმდა მას. ქრთამის შემთავაზებელმა, რომელიც ანტიკორუფციული ერთეულის თანამშრომელი იყო, აცნობა აღნიშნულის შესახებ ზემდგომ პირებს, რომლებმაც გასცეს ნებართვა დანაშაულებრივი ქმედების სიმულაციურ განხორციელებაზე. შედეგად, განმცხადებელმა მიიღო ქრთამი და მის წინააღმდეგ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ რამანაუსკასის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ძირითადად ეფუძნებოდა ფარული აგენტის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებსა და ჩანაწერებს. საქმის მსვლელობისას, განმცხადებელმა აღიარა დანაშაული, თუმცა ასევე მიუთითა პოლიციის მხრიდან პროვოცირებაზე. მიუხედავად ამისა, ეროვნულ სასამართლოს არ უმსჯელია საგამოძიებო მოქმედებების ავტორიზებისა და განხორციელების წესზე. რამანაუსკასმა გაასაჩივრა განაჩენი ზემდგომ ინსტანციებში, თუმცა წარუმატებლად.

ევროპული სასამართლოს წინაშე, განმცხადებელმა დააყენა მის წინააღმდეგ პროვოცირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებისა და, შესაბამისად, სამართლიან სასამართლოზე უფლების დარღვევის საკითხი. სახელმწიფოს განმარტებით, ფარული აგენტები რამანაუსკასს დაუკავშირდნენ პირადი ინიციატივის საფუძველზე, ისე რომ აღნიშნულის შესახებ სახელმწიფო ორგანოები არ იყვნენ ინფორმირებულები. შესაბამისად, სახეზე არ ყოფილა სახელმწიფოს წარმომადგენელთა მაპროვოცირებელი ქმედება.

(ბ) ევროპული სასამართლოს შეფასება¹⁵³

ფაქტობრივი გარემოებების შეფასებამდე, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა ფარული აგენტების, ინფორმატორებისა და სპეციალური საგამოძიებო მეთოდების გამოყენების ზოგად საჭიროებაზე, განსაკუთრებით ორგანიზებულ დანაშაულსა და კორუფციასთან ბრძოლის კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური საგამოძიებო მოქმედებები *per se* არ არღვევს უფლებას სამართლიან სასამართლოზე, სტრასბურგის განცხადებით, მათი გამოყენება მკაფიო ფარგლებში უნდა იყოს მოქცეული. აქვე აღინიშნა, რომ ევროპული სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის კონკრეტული მტკიცებულების მოპოვების გზის არაკანონიერების დადგენა, არამედ განსაზღვრა იმისა, თუ რამდენად დაირღვა ამ „არაკანონიერების“ შედეგად კონვენციით გარანტირებული უფლება.

რამანაუსკასის საქმეზე, სტრასბურგმა ერთგვარად შეაჯამა მანამდე არსებული პრაქტიკა და წარმოადგინა დანაშაულის პროვოცირების დეფინიცია. სასამართლოს განმარტებით, პროვოცირება სახეზეა მაშინ, როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენლები - უსაფრთხოების ძალების წევრები თუ მათი მითითებებით მოქმედი პირები - მოქმედებენ არა არსებითად პასიურად, არამედ ახდენენ პირზე დანაშაულის წამაქვებელ იმგვარ გავლენას, რომლის გარეშეც დანაშაული არ იქნებოდა

151 იბ. სქ. 7.

152 იქვე, §§9-29.

153 იქვე, §§48-74.

ჩადენილი.¹⁵⁴ აღნიშნული კი, თავის მხრივ, ემსახურება დანაშაულის შესახებ მტკიცებულების წარდგენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზნებს.

გადაწყვეტილებაში ევროპული სასამართლო მნიშვნელოვან დასკვნებს აკეთებს კერძო პირთა მიერ დანაშაულის პროვოცირების მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ვერ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ იმ განმარტების საფუძველზე, რომ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, პოლიციის თანამშრომლები მოქმედებდნენ „პირადი“ უფლებამოსილების ფარგლებში. ის ფაქტი, რომ საგამოძიებო მოქმედებების მოდელი შემდგომში ავტორიზდა სახელმწიფოს ორგანოების მიერ, ხოლო ფარული აგენტი გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, გულისხმობს, რომ სახელმწიფომ მოახდინა საგამოძიებო მოქმედებათა მოსამზადებელი ფაზის ლეგიტიმაცია *ex post facto* და გამოიყენა მიღებული შედეგები.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ ეროვნულ დონეზე სათანადოდ არ გამოკვლეულა ფარული აგენტის საკუთარი ინიციატივით განმცხადებელთან დაკავშირების მოტივები ან მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლები. შესაბამისად, მიჩნეულ იქნა, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელი იყო ფარული აგენტის იმ ქმედებებზეც, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საგამოძიებო ღონისძიებათა ფორმალურ ავტორიზებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელი გახდებოდა პოლიციის მიერ ნაქმედების „განკერძოების“ გზით პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება.

სტრასბურგისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შემდეგი გარემოებები:

- განმცხადებელი არ ყოფილა წარსულში ნასამართლევ;
- განმცხადებელსა და ფარულ აგენტს შორის ყველა შეხვედრა შედგა ამ უკანასკნელის ინიციატივით;
- განმცხადებლის მიმართ ადგილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენის „აშკარა კარნახს“ მაშინ, როდესაც არ არსებობდა მისი დანაშაულებრივი განზრახვის დამადასტურებელი მტკიცებულება.

აღნიშნულის საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს წარმომადგენელთა ქმედება სცდებოდა პასიური გამოძიების ფარგლებს. შესაბამისად, გადამწყვეტი იყო, ჰქონდა თუ არა განმცხადებელს ეფექტიანი შესაძლებლობა, ეროვნული წარმოების ფარგლებში დაეყენებინა პროვოცირების საკითხი.

სტრასბურგის მითითებით, მას შემდეგ, რაც ბრალდებული წარადგენს შუამდგომლობას პროვოცირების შესახებ, რომელიც, თავის მხრივ, არ არის აშკარად დაუსაბუთებელი, მტკიცების ტვირთი, რომ პროვოცირებას ადგილი არ ჰქონია. ბრალდების მხარეს გადადის. მტკიცებულების არარსებობის პირობებში, სასამართლომ უნდა შეამოწმოს ფაქტობრივი გარემოებები და გადადგას აუცილებელი ნაბიჯები სიმართლის გამოსავლენად. პროვოცირების დადგენის შემთხვევაში კი, ეროვნულმა სასამართლომ უნდა გამოიტანოს კონვენციის შესაბამისი დასკვნები.

გათვალისწინებით იმისა, რომ რამანაუსკასმა ეროვნული წარმოებისას განაცხადა დანაშაულის პროვოცირების შესახებ, სტრასბურგის განმარტებით, ეროვნულ სასამართლოს სულ მცირე უნდა გაერკვია, გასცდნენ თუ არა ჩართული პირები სიმულაციური მოდელით ავტორიზებულ ფარგლებს. ამ მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოკვლეულიყო საგამოძიებო ოპერაციის საფუძვლები,

154 ტეიშერა, §55. შეად. ევროფინაკომი.



დანაშაულში პოლიციის ჩართულობის ფარგლები, ნაქვების ინტენსივობა და განმცხადებელზე განხორციელებული ზეწოლის ხასიათი. გარდა ამისა, განმცხადებელს უნდა ჰქონოდა რეალური შესაძლებლობა თავისი მოსაზრება წარედგინა ყველა ამ გარემოებასთან დაკავშირებით.

ამის საწინააღმდეგოდ, ეროვნულმა სასამართლომ არ შეისწავლა ფარული აგენტის როლი დანაშაულის ჩადენაში, მისი პირადი ინიციატივის მიზეზები და განაჩენი მთლიანად დააფუძნა მტკიცებულებებს, რომლებიც, განმცხადებლის მოსაზრებით, დანაშაულის პროვოცირების შედეგად იყო მოპოვებული.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ფარულმა აგენტებმა იმოქმედეს მაპროვოცირებლად, ხოლო ამგვარი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების ეროვნულ წარმოებაში გამოყენებით, განმცხადებლის მიმართ დაირღვა უფლება სამართლიან სასამართლოზე. აქვე, სტრასბურგმა აღნიშნა, რომ ბრალდებულის მიერ პროვოცირების შედეგად ჩადენილი დანაშაულის აღიარება ვერ გააქარწყლებს პროვოცირების ფაქტს ან მის შედეგებს.

4.3. ბანიკოვა (*Bannikova*) რუსეთის წინააღმდეგ¹⁵⁵

(ა) ფაქტობრივი გარემოებების მოკლე მიმოხილვა¹⁵⁶

სატელეფონო საუბრებში, რომლებიც ისმინებოდა სახელმწიფო ორგანოების მიერ, განმცხადებელი შეუთანხმდა მესამე პირს მისგან ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენაზე, მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. ამ საუბრების საფუძველზე, ავტორიზდა საკონტროლო შესყიდვის ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც ფარულმა აგენტმა განმცხადებლისაგან შეიძინა ნარკოტიკული ნივთიერებები. საგამოძიებო ოპერაციის შედეგად, განმცხადებელი დააკავეს.

სამართალწარმოების ფარგლებში, განმცხადებელმა აღიარა დანაშაული, თუმცა აღნიშნა, რომ იგი დანაშაულის ჩასადენად ნააქვბა ფარულმა აგენტმა, რომლის მონაწილეობის გარეშეც იგი დანაშაულს არ ჩაიდენდა. უფრო მეტიც, სხვა პირისაგან, რომელიც, მისი თქმით, ასევე ფარული აგენტი იყო, ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ზეწოლასა და მუქარას, რის გამოც იგი იძულებული გახდა ნარკოტიკული ნივთიერებები შეეძინა.

ეროვნულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა განმცხადებლის პოზიცია და შეუფარდა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი ძირითადად დაეფუძნა განმცხადებლის აღიარებას, ნივთიერ მტკიცებულებებსა და ფარული აგენტების ჩვენებებს. განმცხადებლის მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლოს არ გამოუკვლევია საკონტროლო შესყიდვის ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, ასევე, არ დაუკითხავს უშუალოდ სატელეფონო მოსმენაში ჩართული პირი.

(ბ) ევროპული სასამართლოს შეფასება¹⁵⁷

ბანიკოვას საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა დღეისათვის დანაშაულის პროვოცირების შეფასებისას გამოყენებული ორეტაპიანი ტესტი. მატერიალური ტესტის

155 იხ. სქ. 34.

156 იქვე, §§5-15.

157 იქვე, §§66-79.

ფარგლებში, პირველი საკითხი, რომელიც სტრასბურგმა შეისწავლა, იყო სახელმწიფოს წარმომადგენლების ჩარევის გარეშე დანაშაულის ჩადენის ალბათობა. იმისათვის, რომ გაერკვია, იყო თუ არა საგამოძიებო მოქმედებები „არსებითად პასიური,“ სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია, შეემოწმებინა საგამოძიებო ღონისძიებათა საფუძვლები და განმახორციელებელ პირთა ქმედებები. მისთვის მნიშვნელოვანი იყო, განესაზღვრა, არსებობდა თუ არა ობიექტური ეჭვი იმისა, რომ განმცხადებელს დაწყებული ჰქონდა დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელება ან გააჩნდა დანაშაულის ჩადენის წინასწარი განწყობა. შესაბამისად, სტრასბურგმა შეამოწმა, შეიცავდა თუ არა საქმის მასალები საკმარის ინფორმაციას დანაშაულის ჩადენამდე განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ.

ამ მიმართულებით, დადგენილი იყო, რომ განმცხადებლის პირველი კონტაქტი ფარულ აგენტთან შედგა უშუალოდ საკონტროლო შესყიდვამდე. ამ მომენტისათვის, სახელმწიფო ორგანოები უკვე ფლობდნენ ნარკოტიკების შეძენის შესახებ საუბრების ჩანაწერებს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ფარული აგენტი ჩაერთო უკვე მიმდინარე გარიგებაში და, ამდენად, იგი მხოლოდ „შეუერთდა“ დანაშაულებრივ ქმედებას. რაც შეეხება მეორე პირს, რომელიც, განმცხადებლის მითითებით, ასევე ფარული აგენტი იყო და, რომელმაც განახორციელა მასზე გეზოლა არაკანონიერი ქმედების ჩასადენად, ევროპულმა სასამართლომ ვერ შეძლო აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანა საქმის მასალებში შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის გამო.

ამის შემდგომ, სტრასბურგი გადავიდა საპროცესო საკითხების შეფასებაზე - ჰქონდა თუ არა განმცხადებელს ეფექტიანი შესაძლებლობა, დაეყენებინა პროვოცირების საკითხი ეროვნული სამართალწარმოების ფარგლებში და როგორ განიხილეს ეროვნულმა სასამართლოებმა აღნიშნული შუამდგომლობა. ამ მიზნით, ეროვნულ სასამართლოს უნდა გადაედგა აუცილებელი ნაბიჯები სიმართლის დასადგენად, იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაულის პროვოცირების არარსებობის მტკიცების ტვირთი პროკურატურაზე იყო. შესაბამისად, მას უნდა შეესწავლა საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული მასალები და გაერკვია მეორე სავარაუდო აგენტის მონაწილეობის საკითხი.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეროვნული სასამართლოს მიერ განმცხადებლის მიმწოდებელთან სატელეფონო საუბრის ჩანაწერის გადამწყვეტ მტკიცებულებად მიჩნევა შეესაბამებოდა მე-6 მუხლის მოთხოვნებს. სტრასბურგისათვის ასევე მისაღები აღმოჩნდა ეროვნული სასამართლოს უარი დაცვის მხარისათვის საკონტროლო შესყიდვის ჩანაწერების გადაცემაზე, ვინაიდან განმცხადებლის მიერ ნარკოტიკული ნივთიერებების გაყიდვის ფაქტი არ იყო სადავო. ამასთან, ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზეც, რომ განმცხადებელს ჰქონდა რეალური შესაძლებლობა, ფარული აგენტის დაკითხვის დროს, დაესვა მისთვის კითხვები მეორე სავარაუდო აგენტთან დაკავშირებით და, შესაბამისად, განესაზღვრა მისი როლი საგამოძიებო მოქმედებებში.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ დაყენებული დანაშაულის პროვოცირების საკითხი ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ განიხილეს და, შესაბამისად, მათი დასკვნები დაეფუძნა საკმარისი მტკიცებულებების გონივრულ შეფასებას. აქედან გამომდინარე, საქმეზე მე-6 მუხლის დარღვევა არ დადგენილა.



4.4. ვესელოვი (Veselov) და სხვები რუსეთის წინააღმდეგ¹⁵⁸

(ა) ფაქტობრივი გარემოებების მოკლე მიმოხილვა¹⁵⁹

1. ვესელოვი

პოლიციამ მიიღო ინფორმაცია კერძო პირისაგან (ე.წ. „X“), რომ ორი პირი (ე.წ. „რუსლანი“ და განმცხადებელი) ყიდდა ნარკოტიკულ ნივთიერებას - ჰაშიშს. ინფორმაციის მიღებისთანავე, პოლიციამ დაგეგმა საკონტროლო შესყიდვა X-ის მონაწილეობით, რის შედეგადაც განმცხადებელი დააკავეს. პოლიციას არ დაუკავებია რუსლანი ან განმცხადებლის მიმწოდებელი იმ მიზეზით, რომ მათი ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა.

განმცხადებლის განმარტებით, X იყო წარსულში ნასამართლეს, ნარკოტიკების მომხმარებელი და ასევე პოლიციის ინფორმატორი, რომელიც მანამდე სხვადასხვა საქმეში ფიგურირებდა, როგორც საკონტროლო შესყიდვების მონაწილე. ამის დამადასტურებლად, განმცხადებელმა წარადგინა განაჩენები ერთმანეთთან დაუკავშირებელ საქმეებზე, სადაც X, საკონტროლო შესყიდვების ფარგლებში, ნარკოტიკული ნივთიერებების მყიდველად ფიქსირდებოდა.

საქმის განხილვისას, სასამართლომ მოხსნა დაცვის შევითხვები X-ის ნასამართლობასა და მის მიერ ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით. სასამართლომ ასევე მტკიცებულებად არ მიიღო განაჩენები სხვა საქმეებზე, სადაც X მოქმედებდა, როგორც მყიდველი საკონტროლო შესყიდვისას. წარმოების ფარგლებში, არ დაკითხულა რუსლანიც, რომელსაც, განმცხადებლის მითითებით, მნიშვნელოვანი როლი ეკავა საკონტროლო შესყიდვისას.

განმცხადებელმა აღიარა დანაშაული, თუმცა მიუთითა პროვოცირების ფაქტზე. სასამართლომ მის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, სადაც პირდაპირ არ შეუფასებია პროვოცირების საკითხი. განმცხადებელმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება, თუმცა წარუმატებლად. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს ასევე არ უმსჯელია პროვოცირების შუამდგომლობაზე.

2. ზოლოტუხინი

კერძო პირმა (ე.წ. „Y“), რომელიც ნარკოტიკების მომხმარებელი იყო, პოლიციას გადასცა ინფორმაცია განმცხადებლის მიერ მისთვის ნარკოტიკული ნივთიერებების მიწოდების შესახებ. ინფორმაციის მიღებისთანავე, პოლიციამ დაგეგმა საკონტროლო შესყიდვა, რის შედეგადაც განმცხადებელი დააკავეს.

საქმის განხილვისას, განმცხადებელმა ნაწილობრივ აღიარა დანაშაული, თუმცა მიუთითა პროვოცირების ფაქტზე. მისი თქმით, იგი Y-ს წლების განმავლობაში იცნობდა და ამ უკანასკნელს მისი ვალი ჰქონდა. იგი მხოლოდ იმის გამო დათანხმდა ნარკოტიკული ნივთიერებების მიწოდებას, რომ, სანაცვლოდ, Y დაპირდა ვალის გასტუმრებას.

სასამართლოს წინაშე დაიკითხა როგორც Y, ისე საკონტროლო შესყიდვაში მონაწილე პოლიციის თანამშრომლები. დაკითხვისას, Y-მ დაადასტურა სხვა საკონტროლო შესყიდვებში მონაწილეობა და ასევე აღნიშნა, რომ მანამდე მას განმცხადებლისაგან სულ მცირე სამჯერ ჰქონდა ნარკოტიკები შეძენილი.

¹⁵⁸ იბ. სქ. 16.

¹⁵⁹ იქვე, §§5-41.

განმცხადებლის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, სადაც პირდაპირ არ იყო ნამსჯელი პროვოცირების შუამდგომლობაზე. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა ზემდგომმა სასამართლომაც ისე, რომ მას არ განუხილავს პროვოცირების საკითხი.

3. დრუჟინინი

Z-მ, რომელიც, სახელმწიფოს განმარტებით, კერძო პირი იყო, მიაწოდა პოლიციას ინფორმაცია განმცხადებლის მიერ ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღების ფაქტზე. ინფორმაციის მიღებისთანავე, პოლიციამ დაგეგმა საკონტროლო შესყიდვა მისი მონაწილეობით, რის შედეგადაც განმცხადებელი დააკავეს.

განმცხადებლის მიხედვით, იგი წლების განმავლობაში იცნობდა Z-ს და მხოლოდ თანაგრძნობის გამო დათანხმდა მას, დახმარებოდა ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენაში, რადგან ეს უკანასკნელი განიცდიდა აბსტინენციის მძიმე სიმპტომებს და სუიციდის ზღვარზე იყო.

საქმის განხილვისას, განმცხადებელმა აღიარა დანაშაული, თუმცა მიუთითა პროვოცირების ფაქტზე. სასამართლოს წინაშე დაიკითხა Z და საკონტროლო შესყიდვაში მონაწილე პოლიციის თანამშრომლები. განმცხადებლის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც მან გაასაჩივრა ზემდგომ ინსტანციაში. საჩივარი და მასში ასახული შუამდგომლობა პროვოცირების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

(ბ) ევროპული სასამართლოს შეფასება¹⁶⁰

მსჯელობის დასაწყისში, ევროპულმა სასამართლომ წარმოადგინა პრაქტიკაში დამკვიდრებული პრინციპები დანაშაულის პროვოცირების საკითხთან დაკავშირებით და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ინფორმატორის მონაწილეობისას პროვოცირების მაღალ რისკზე. ამ მიმართულებით, სტრასბურგის განცხადებით, გადამწყვეტი იყო, განსაზღვრა იმისა, მზადდებოდა თუ არა კონკრეტული განმცხადებლის მიერ დანაშაულებრივი ქმედება მაშინ, როდესაც წყარომ პოლიციასთან თანამშრომლობა დაიწყო.

სანამ ინდივიდუალურ ფაქტობრივ გარემოებებს შეაფასებდა, სასამართლომ მიუთითა სამივე განმცხადებელთან მიმართებით რელევანტურ ზოგად დასკვნებზე. ყველა მათგანი აღნიშნავდა, რომ საკონტროლო შესყიდვები ჩატარდა არაკანონიერად და მათში მონაწილეობდნენ არა კერძო პირები, არამედ პოლიციის ინფორმატორები. შესაბამისად, სტრასბურგის განმარტებით, სამივე განმცხადებლის შემთხვევაში, ამოსავალი იყო საკონტროლო შესყიდვის განხორციელების გზა.

1. ვესელოვი

ევროპული სასამართლოსათვის საკმარისი აღმოჩნდა განმცხადებლის მიერ წარდგენილი განაჩენები დამადასტურებლად იმისა, რომ X ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თანამშრომლობდა პოლიციასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტრასბურგმა გამიჯნა საქმე ისეთი შემთხვევებისაგან, სადაც დაწყებული დანაშაულებრივი ქმედების შესახებ პოლიციას ინფორმაციას აწვდიდა კერძო პირი.¹⁶¹

ევროპული სასამართლოს განმარტებით, მნიშვნელოვანია, მკაფიოდ დარეგულირდეს ინფორმატორების წყაროდ გამოყენებისა და მათი ფარულ ოპერაციებში ჩართვის საფუძვლები

¹⁶⁰ იქვე, §§88-128.

¹⁶¹ იხ. მაგ., შენონისა და მილინიენს საქმეები, სადაც პოლიცია მოქმედებდა მასზე დაკისრებული ვალდებულების ფარგლებში და ამონებდა უკვე დაწყებული დანაშაულის შესახებ ინფორმაციას.

თუ ფარგლები. ამ პირთა როლი უნდა იყოს მკაცრად პასიური, რათა გამოირიცხოს დანაშაულის პროვოცირება, რაც განსაკუთრებით რთულია, როდესაც ისინი საკონტროლო შესყიდვაში მონაწილეობენ.¹⁶² ასეთი საკონტროლო შესყიდვა საჭიროებს მყარ დასაბუთებას, სათანადო ავტორიზებასა და დოკუმენტირებას, რათა შესაძლებელი იყოს მონაწილეთა ქმედებების შესწავლა.

სტრასბურგმა შეაფასა ეროვნული კანონმდებლობაც და მიიჩნია, რომ იგი არ აკმაყოფილებდა მე-6 მუხლით დადგენილ სტანდარტს. საკონტროლო შესყიდვები ავტორიზებული იყო მარტივი ადმინისტრაციული გადაწყვეტილებით, რომელიც არ შეიცავდა სათანადო ინფორმაციას დაგეგმილი საკონტროლო შესყიდვის საფუძველსა თუ მიზნებზე. გარდა ამისა, ოპერაცია არ ექვემდებარებოდა სასამართლო თუ სხვა ტიპის ზედამხედველობას და მთლიანად ოპერატიულ-სამძებრო ორგანოთა კომპეტენციის ქვეშ ხვდებოდა, რაც ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მიზნებს.

სტრასბურგმა აღნიშნა, რომ პოლიციამ ისე დაგეგმა საკონტროლო შესყიდვა, რომ არ ჰქონია მცდელობა, გადაემოწმებინა X-ის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ან სხვა გზით გამოეკვლია განმცხადებლის შესაძლო დანაშაულებრივი საქმიანობა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფომ არასამართლიანად ისარგებლა საპროცესო გარანტიების არარსებობით. ამ მიზეზით, იგი განსხვავდებოდა ბანიკოვას საქმისაგან, სადაც საკონტროლო შესყიდვას წინ უძღოდა რიგი საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, სასამართლოს მიერ ავტორიზებული სატელეფონო მოსმენა.

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ეროვნული წარმოების ფარგლებში რუსლანის არდაკითხვის ფაქტზეც, რის გამოც, სტრასბურგის შეფასებით, ეროვნულ განხილვას აკლდა პროვოცირების საკითხისათვის შესაძლო გადამწყვეტი ელემენტი. ანალოგიურად, მნიშვნელოვანი იყო, რომ საკონტროლო შესყიდვის მიმდინარეობა არ იქნა ჩანერილი, რასაც მაღალი მტკიცებულების ძალა ექნებოდა განმცხადებლის წინასწარი განწყობის განსაზღვრისათვის. ამდენად, საკონტროლო შესყიდვის დაგეგმვისა და განხორციელების გზა სტრასბურგმა მიიჩნია არასათანადოდ და დაასკვნა, რომ დანაშაულის პროვოცირებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, რის შესახებაც ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ არ იმსჯელეს. ამ გარემოებათა ერთობლიობის გათვალისწინებით, ვესელოვის მიმართ დადგინდა მე-6 მუხლის დარღვევა.

2. ზოლოტუხინი

ზოლოტუხინის, ისევე, როგორც ვესელოვის, შემთხვევაში, საკონტროლო შესყიდვა ინფორმატორის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მასზე იმავე სტანდარტის მიხედვით იმსჯელა. განსხვავებით ვესელოვისაგან, სტრასბურგმა დაუშვა შესაძლებლობა იმისა, რომ პოლიციას ჰქონოდა განმცხადებლის დანაშაულებრივ საქმიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი, თუმცა, საქმის მასალებიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ საკონტროლო შესყიდვა დაიგეგმა ინფორმაციის გადამოწმებისა და სხვა საგამოძიებო მოქმედების გამოყენების გარეშე.

სათანადო ეროვნული რეგულაციებისა და შემოწმებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის არარსებობის, აგრეთვე, ინფორმატორის მონაწილეობის გათვალისწინებით, სტრასბურგმა არ გამორიცხა დანაშაულის პროვოცირების შესაძლებლობა. ამის გათვალისწინებით, მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ეროვნული სასამართლოს მიერ პროვოცირების შუამდგომლობის, მათ შორის, საგამოძიებო მოქმედებათა საფუძველებისა და შესაძლო წაქეზების ინტენსივობის, განუხილველობა. ამ მიზეზებიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ ზოლოტუხინის მიმართ მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა.

¹⁶² იხ. ასევე, ხუდობინი, §134.

3. დრუჟინინი

დანარჩენი ორი განმცხადებლისაგან განსხვავებით, დრუჟინინის საქმეზე ვერ დადასტურდა ინფორმატორის მონაწილეობა. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ შეაფასა საკონტროლო შესყიდვის დაგეგმვა-განხორციელების პროცედურა და მიიჩნია, რომ პოლიციას არ ჰქონდა განმცხადებელზე ეჭვის მითანის სათანადო საფუძველი. სტრასბურგმა აღნიშნა, რომ საკონტროლო შესყიდვა რეალურად, მხოლოდ კერძო პირის განცხადებებზე დაყრდნობით დაიგეგმა და პოლიციამ ვერ შეძლო დაემტკიცებინა განმცხადებლის დანაშაულებრივი განზრახვა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული პირდაპირ დაუკავშირა ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოების, საჭირო დაცვის გარანტიების არარსებობას და განსაზღვრა, რომ სწორედ ხარვეზიანი რეგულირება ქმნიდა პოლიციის თვითნებობის მაღალ რისკს.

სტრასბურგმა ასევე შეაფასა ეროვნული სასამართლოებს მიერ საქმის განხილვის წესი და მიიჩნია, რომ მათ არ გადადგეს აუცილებელი ნაბიჯები დანაშაულის პროვოცირების საკითხის გადასაწყვეტად, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ვალდებულება ეკისრებოდათ კონვენციიდან გამომდინარე. შესაბამისად, დრუჟინინის მიმართაც დადგინდა მე-6 მუხლის დარღვევა.

5. დასკვნა

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სტრასბურგი ერთმნიშვნელოვნად დაუშვებლად მიიჩნევს დანაშაულის პროვოცირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების ეროვნულ სამართალწარმოებაში გამოყენებას. სპეციალური საგამოძიებო მეთოდების საჭიროება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კონტექსტში აღიარებულია, თუმცა, მე-6 მუხლის დაცვის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია ამგვარი ქმედებების სათანადო სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა და ეროვნული სასამართლოების მიერ საკითხის შესაბამისი სტანდარტის მიხედვით განხილვა.

ევროპული სასამართლო დანაშაულის პროვოცირებად აფასებს ნებისმიერ ისეთ შემთხვევას, სადაც სახელმწიფოს წარმომადგენლები სცდებიან არსებითად პასიური გამოძიების ფარგლებს და ახდენენ ისეთ გავლენას, რომლის გარეშეც დანაშაული არ იქნებოდა ჩადენილი. ამგვარი ქმედება, თავის მხრივ, მიზნად ისახავს დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას.

დანაშაულის პროვოცირებისა და, შესაბამისად, მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის მიზნით, სტრასბურგი მიმართავს ორეტაპიან ტესტს, რომლის ფარგლებშიც იკვლევს მატერიალურ და საპროცესო ასპექტებს. პირველი მათგანი გულისხმობს შეფასებას იმისა, თუ რამდენად მოქმედებდა სახელმწიფო „არსებითად პასიურად“ გამოძიებისას, რაც, თავისთავად, სხვადასხვა გარემოებათა შესწავლას მოიცავს. ამ მიმართულებით, სასამართლოსათვის მნიშვნელოვანია, განსაზღვროს, იყო თუ არა პირი წინასწარგანწყობილი დანაშაულის მიმართ ან დანაშაულის ჩადენის ინიციატორი, არსებობდა თუ არა გამოძიების დაწყების სათანადო სამართლებრივი საფუძვლები, ასევე, განხორციელდა თუ არა პირის მიმართ ისეთი ზეწოლა, რამაც განაპირობა მისი მხრიდან დანაშაულის ჩადენა.

მატერიალური ტესტის მიზნებისათვის, სტრასბურგი განსაკუთრებული სიმკაცრით აფასებს საგამოძიებო ღონისძიებების ავტორიზების, განხორციელებისა და ზედამხედველობის ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს. სასამართლო მოითხოვს, არსებობდეს მკაფიო და განჭვრეტადი რეგულაცია ყველა ამ ასპექტთან დაკავშირებით. უპირველესად, მნიშვნელოვანია, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდეს სპეციალური საგამოძიებო მეთოდების



გამოყენების დასაბუთების აუცილებლობას. ამასთან, ეს ღონისძიებები უნდა ექვემდებარებოდეს უწყვეტ კონტროლს სასამართლოს ან, რიგ შემთხვევებში, გამონაკლისის სახით, სხვა ორგანოსა თუ თანამდებობის პირის მხრიდან.

საპროცესო ტესტის ფარგლებში, ევროპული სასამართლო ამონშებს ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის განხილვის წესს. სტრასბურგი არ მიუთითებს კონკრეტულ რეგულაციაზე - მისთვის გადამწყვეტია, სამართალწარმოება იყოს შეჭიბრებითი, ყოველმხრივი და ამომწურავი პროვოცირების საკითხთან დაკავშირებით, თუმცა მხოლოდ ზოგადი გარანტიების უზრუნველყოფა დანაშაულის პროვოცირების შუამდგომლობის განხილვისას საკმარისი არ არის.

მე-6 მუხლის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია, ეროვნულ სამართალწარმოებაში, პირს ჰქონდეს ეფექტიანი შესაძლებლობა, დააყენოს პროვოცირების საკითხი. მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროვოცირების შუამდგომლობისათვის რელევანტური ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც შეჭიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების მიხედვით იქნება გამოკვლეული. საჭარო ინტერესი ვერ გაამართლებს დაცვის მხარისათვის ისეთი მტკიცებულების გადაცემაზე უარს, რომელიც შესაძლოა ბრალეულობის დადგენისათვის განმსაზღვრელი აღმოჩნდეს.

სტრასბურგი მოითხოვს, ეროვნულმა სასამართლომ შეაფასოს საგამოძიებო მოქმედებების საფუძვლები, მათი ჩატარების აუცილებლობა, დანაშაულში სახელმწიფოს წარმომადგენელთა ჩართულობა და პირზე განხორციელებული ზეწოლის ინტენსივობა. მნიშვნელოვანია, რომ ამ მოვალეობისაგან სასამართლოს არ ათავისუფლებს ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარების ფაქტიც. პროვოცირების დადგენის შემთხვევაში, ამ გზით მოპოვებული მტკიცებულებები უნდა გამოირიცხოს ეროვნული სამართალწარმოებიდან ან დადგეს სხვა ანალოგიური შედეგი.

ამდენად, დანაშაულის პროვოცირების საქმეები ერთ-ერთი იმ გამონაკლისთაგანია, სადაც ევროპული სასამართლო იკვლევს ეროვნული სამართალწარმოების ფარგლებში დადგენილი ფაქტების სისწორეს. აღნიშნული გამომდინარეობს დანაშაულის პროვოცირებისაგან დაცვის აბსოლუტური ხასიათიდან, რაც, თავის მხრივ, მე-6 მუხლით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელი ნაწილია.

III.საერთაშორისო სტანდარტები და ქართული კანონმდებლობა პროვოცირების აკრძალვისა და ფარული საგამოძიებო/ოპერატიულ- სამძებრო მოქმედებების შესახებ

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზი ცხადყოფს, რომ დანაშაულის პროვოცირების საკითხის კვლევის პროცესში, კერძოდ კი, მატერიალური ტესტის მიზნებისათვის, სტრასბურგი განსაკუთრებული სიმკაცრით აფასებს საგამოძიებო ღონისძიებების ავტორიზების, განხორციელებისა და ზედამხედველობის ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს. სასამართლო მოითხოვს, არსებობდეს მკაფიო და განჭვრეტადი რეგულაცია ყველა ამ ასპექტთან დაკავშირებით. უპირველესად, მნიშვნელოვანია, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდეს სპეციალური საგამოძიებო მეთოდების გამოყენების დასაბუთების აუცილებლობას. ამასთან, ეს ღონისძიებები უნდა ექვემდებარებოდეს უწყვეტ კონტროლს სასამართლოს ან, რიგ შემთხვევებში, გამონაკლისის სახით, სხვა სახელმწიფო ორგანოსა თუ თანამდებობის პირის მხრიდან.

ასევე, ევროპული სასამართლოს სტანდარტებით, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია, ეროვნულ სამართალწარმოებაში, პირს ჰქონდეს ეფექტიანი შესაძლებლობა, დააყენოს მის მიმართ განხორციელებული პროვოცირების საკითხი. ასეთი შემთხვევებისას, სტრასბურგი მოითხოვს, ეროვნულმა სასამართლომ შეაფასოს საგამოძიებო მოქმედებების საფუძვლები, მათი ჩატარების აუცილებლობა, დანაშაულის პროვოცირებაში სახელმწიფოს წარმომადგენელთა ჩართულობა და პირზე განხორციელებული ზეწოლის ინტენსივობა. მნიშვნელოვანია, რომ ამ მოვალეობისაგან სასამართლოს არ ათავისუფლებს ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარების ფაქტიც. პროვოცირების დადგენის შემთხვევაში, ამ გზით მოპოვებული მტკიცებულებები უნდა გამოირიცხოს ეროვნული სამართალწარმოებიდან ან დადგეს სხვა ანალოგიური შედეგი.

ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს გააჩნდეს ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული მკაფიო და განჭვრეტადი წესები ფარული საგამოძიებო მოქმედებების ავტორიზებისა და ჩატარების პროცესში, ასევე, ეფექტიანი საპროცესო შესაძლებლობები, რათა სასამართლოებმა სრულყოფილად გამოიკვლიონ დანაშაულის პროვოცირების საკითხი.

კვლევის მიზნებისათვის, გაანალიზებულ იქნა სპეციალურ საგამოძიებო მეთოდების საკანონმდებლო რეგულირების საერთაშორისო სტანდარტები. ასევე, შეფასდა საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებს ოპერატიულ-სამძებრო, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების პროცესს და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც ეხება პროვოცირების შესახებ განაცხადის სასამართლო განხილვის ფარგლებსა და შედეგებს.

1. საერთაშორისო სტანდარტები და რეკომენდაციები ეროვნულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით¹⁶³

საქმეზე ლაგუტინი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ ორი მოსამართლის მიერ წარდგენილ თანმხვედრ მოსაზრებაში შეჭამდა საერთაშორისო კონსენსუსი სპეციალური საგამოძიებო მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით და ჩამოყალიბდა ის ძირითადი სტანდარტი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული კანონმდებლობა ამ მიმართულებით. ამის გათვალისწინებით,

¹⁶³ თავი ეფუძნება საქმეზე ლაგუტინი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ წარდგენილ თანმხვედრ მოსაზრებას.

აღნიშნული პოზიცია შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ერთგვარ სახელმძღვანელოდ კანონმდებლებისათვის, ვინაიდან იგი დეტალურად წარმოადგენს მთავარ კრიტერიუმებსა და მახასიათებლებს, რომლის მიხედვითაც ევროპული სასამართლო შეაფასებს დანაშაულის პროვოცირების საქმეებზე შიდა რეგულაციებს. ამ მოსაზრების თანახმად, ეროვნული კანონმდებლობა, სულ მცირე, უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს:

- (1) კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს იმ მძიმე დანაშაულთა ნუსხას, რომელთა გამოძიებისას დასაშვებია სპეციალური საგამოძიებო მეთოდების გამოყენება.¹⁶⁴
- (2) კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სპეციალური საგამოძიებო მეთოდების ნუსხას, როგორიცაა საკონტროლო შესყიდვები, კონტროლირებული იმპორტ-ექსპორტი, კონტროლირებული ტრანზიტი და სხვა ფარული ოპერაციები.¹⁶⁵
- (3) კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ნუსხას იმ პირებისა, რომელთაც აქვთ სპეციალური საგამოძიებო მეთოდების გამოყენების უფლება, როგორიცაა პოლიციის თანამშრომლები, მესაზღვრეები, სხვა სამართალდამცავი პირები ან მათი მითითებებით მოქმედი კერძო პირები.
- (4) კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სპეციალური საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების მაქსიმალურ ვადას, რისი გაგრძელების შესაძლებლობაც უნდა არსებობდეს მხოლოდ კომპეტენტურ პირთა მიერ ფარული საგამოძიებო ოპერაციის საწყისი ეტაპის შეფასების შემდგომ, ნებისმიერ შემთხვევაში, მთლიანი ოპერაციისათვის მაქსიმალური ვადის დანესებით.¹⁶⁶
- (5) კანონმდებლობაში უნდა მიეთითოს სპეციალური საგამოძიებო მეთოდების გამოყენების საფუძვლები, როგორიცაა დანაშაულის პრევენცია და დასჯა.¹⁶⁷
- (6) კანონმდებლობა უნდა მოითხოვდეს პროპორციულობის ტესტის დაცვას¹⁶⁸ შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:
 - (6.1) სპეციალური საგამოძიებო მეთოდი უნდა იყოს მითითებული საფუძვლის პროპორციული, რაც გულისხმობს ეჭვმიტანილის უფლებათა და საგამოძიებო მოქმედებების მიზნებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვას;
 - (6.2) ბალანსის დაცვისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სავარაუდო დაზარალებულთა უფლებები და ინტერესები;
 - (6.3) რაც უფრო მძიმეა დანაშაული დამისი შედეგები, მეტად ინტენსიური დამრავლის მომცველი შეიძლება იყოს სპეციალური საგამოძიებო მეთოდი;
 - (6.4) სპეციალური საგამოძიებო მეთოდის გამოყენებისას, დაცული უნდა იყოს ეჭვმიტანილის ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორიცაა მისი სიცოცხლის უფლება.

¹⁶⁴ გაეროს კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ, მუხლი 2, რომლის მიხედვითაც მძიმეა დანაშაული, რომლისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სულ მცირე ოთხი წლის ვადით ან უფრო მძიმე სასჯელი. აღნიშნულს ეფუძნება მინისტრთა კომიტეტის განმარტებითი ბარათი რეკომენდაციაზე Rec(2005)10.

¹⁶⁵ მინისტრთა კომიტეტის განმარტებითი ბარათი რეკომენდაციაზე Rec(2005)10, §27, მე-6 გაიდლაინი ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებებსა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით.

¹⁶⁶ სისხლისსამართლებრივ საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ ევროპული კონვენციის მეორე დამატებითი ოქმის განმარტებითი ბარათი, §156.

¹⁶⁷ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2005)10, §2, თავი II; რამანაუსკასი, §63; მალინინასი, §36.

¹⁶⁸ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2005)10, §5, თავი II და მისი განმარტებითი ბარათი, §46.

(7) კანონმდებლობა უნდა მოითხოვდეს აუცილებლობის პრინციპის დაცვას¹⁶⁹ შემდეგი წესების მიხედვით:

(7.1) სპეციალური საგამოძიებო მეთოდის გამოყენება უნდა იყოს აუცილებელი, რაც გულისხმობს, რომ ეჭვმიტანილის უფლებებში ჩარევა ადეკვატურად უნდა ემსახუროდეს სათანადო საფუძვლებით განმტკიცებულ მიზნებს და არ სცდებოდეს აუცილებლობის ფარგლებს;

(7.2) სპეციალური საგამოძიებო მეთოდი უნდა იყოს მხოლოდ უკანასკნელი საშუალება, როდესაც მტკიცებულებათა მოპოვება სხვა გზით შეუძლებელია;

(7.3) სპეციალური საგამოძიებო მეთოდი ისე უნდა იყოს გამოყენებული, რომ, შესაძლებლობის ფარგლებში, თავიდან იქნეს აცილებული სამიზნედ იმ პირების აღება, ვინც პასუხს არ აგებს სავარაუდო დანაშაულზე; და

(7.4) ოპერაცია დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს, როდესაც იგი აღარ ემსახურება სათანადო საფუძვლით განმტკიცებულ მიზნებს.

(8) კანონმდებლობა უნდა განსაზღვრავდეს იმ პირთა ნუსხას, რომლებიც უფლებამოსილი არიან, გასცენ სპეციალური საგამოძიებო მეთოდის გამოყენების ბრძანება (მაგალითად, მოსამართლე, პროკურორი, სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირი),¹⁷⁰ შემდეგი წესების შესაბამისად:

(8.1) აუცილებელია, არსებობდეს სპეციალური საგამოძიებო მეთოდის გამოყენების სასამართლო ზედამხედველობა და რეგულარული განხილვა, როდესაც სახეზეა პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევა, როგორიცაა, მაგალითად:

(8.1.1) კერძო საცხოვრებელში შეღწევა და ფარული მოსმენა;

(8.1.2) სასულიერო პირის, ექიმისა და ადვოკატის სამუშაო ადგილზე შეღწევა და ფარული მოსმენა;

(8.1.3) პირადი საცხოვრებლის გარეთ ფარული მოსმენა;

(8.1.4) სატელეფონო საუბრების მოსმენა და ჩანერა;

(8.1.5) სატელეფონო და ელექტრონული კომუნიკაციების მოსმენა და მიღება;

(8.1.6) ფოსტის მიღება;

(8.1.7) აკუსტიკური და ოპტიკური თვალთვალი, ფარული ფოტოგადაღების, აუდიო-ვიდეო ჩანერის გზით;

(8.1.8) გლობალური პოზიციონირების სისტემის (GPS) გამოყენება;

(8.1.9) პერსონალური მონაცემების ავტომატური შედარება, რაც გულისხმობს ეჭვმიტანილის სპეციფიკური პერსონალური მახასიათებლების სკრინინგს იმ მონაცემებთან, რომლებიც არაა შენახული დანაშაულის პრევენციისა თუ დასჯის მიზნით; და

¹⁶⁹ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2005)10, §6, თავი II; სისხლისსამართლებრივ საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ ევროპული კონვენციის მეორე დამატებითი ოქმის განმარტებითი ბარათი, §155.

¹⁷⁰ იხ. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2005)10, თავი II, §1 და §3.



(8.1.10) გრძელვადიანი დაკვირვება, რაც გულისხმობს უწყვეტ დაკვირვებას 24 საათზე ან ორ დღეზე მეტი პერიოდის განმავლობაში, რის შედეგადაც მიიღება ეჭვმიტანილის ცხოვრების „გამოსახულება მოძრაობაში.“

(8.2) გადაუდებელ შემთხვევებში, სპეციალური საგამოძიებო მეთოდი, რომელიც გულისხმობს 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ ჩარევას, შეიძლება ავტორიზდეს პროკურორის მიერ, მაგრამ აუცილებლად მოკლე პერიოდში უნდა დადასტურდეს მოსამართლის მიერ.

(8.3) ისეთი სპეციალური საგამოძიებო მეთოდი, რომელიც არ გულისხმობს 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ ჩარევას, შეიძლება ავტორიზდეს პროკურორის, პოლიციის თანამშრომლის ან სხვა თანამდებობის პირის მიერ.

(8.4) ავტორიზების გამცემი პირი არ უნდა იყოს რაიმე ფორმით ჩართული ოპერაციის განხორციელებაში, მათ შორის, არ უნდა იყოს შემსრულებელი ან ხელმძღვანელი.¹⁷¹

(9) კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სპეციალური საგამოძიებო მეთოდის გამოყენების შესახებ ბრძანების გაცემისა და აღსრულების წესს,¹⁷² რაც მოიცავს შემდეგს:

(9.1) სპეციალური საგამოძიებო მეთოდის გამოყენების შესახებ მოთხოვნა უნდა იყოს გამყარებული ისეთი მტკიცებულებებით, რომლებიც, სულ მცირე, საკმარის საფუძველს იძლევა ეჭვისა, რომ დანაშაული ჩადენილია, ჩადენის პროცესშია ან მომავალში იქნება ჩადენილი. ეს სტანდარტი უფრო დაბალია, ვიდრე მყარი მტკიცებულებისა, მაგრამ უფრო მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივი კეთილსინდისიერების სტანდარტი.¹⁷³

(9.2) კომპეტენტურმა ორგანომ უნდა გასცეს დასაბუთებული გადაწყვეტილება, სადაც მიეთითება ოპერაციის საფუძვლები, მიზნები და ფარგლები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოს წარმომადგენლის (ან მისი მითითებით მოქმედი კერძო პირის) მიერ ყალბი პიროვნების, გაყალბებული დოკუმენტების, დანიშნული ფულისა თუ სხვა არაკანონიერი ქმედებების, მათ შორის, მოჩვენებითი გარიგებებისა თუ სხვა დანაშაულებრივი ქმედებების გამოყენების შესახებ ინფორმაცია (გამონაკლისია დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ).¹⁷⁴

(9.3) სახელმწიფოს წარმომადგენელი (ან მისი მითითებით მოქმედი კერძო პირი) ვალდებულია, დოკუმენტურად, წერილობით ასახოს ყველა შესრულებული მოქმედება და ოპერაციის განხორციელებისას მომხდარი შემთხვევები. მან აღნიშნული დოკუმენტები რეგულარულად უნდა მიაწოდოს ავტორიზების გამცემ ორგანოს.

(10) კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ოპერაციის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების შეფასებისა და სავარაუდო გამორიცხვის სასამართლო წარმოებას,¹⁷⁵ დანაშაულის აღიარების შემთხვევებშიც კი,¹⁷⁶ შემდეგი წესების გათვალისწინებით:

(10.1) სისხლისსამართლებრივი დევნისა და გასამართლებისათვის, შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ (1) პუნქტში აღნიშნულ ნუსხაში მოცემულ დანაშაულთან დაკავშირებული

171 ხუდობინი, §135.

172 ხუდობინი, §135 და რამანაუსკასი, §53.

173 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2005)10, თავი II, §4 და მისი განმარტებითი ბარათი, §44.

174 სევეირა; ევროფინაკომი; ვანიანი, §49, ხუდობინი, §134.

175 სასამართლო განხილვა უნდა ეხებოდეს ფარული ოპერაციის დაწყების საფუძვლებს, დანაშაულის ჩადენაში პოლიციის მონაწილეობის ფარგლებსა და ნაქმედებისა თუ წნეხის ხასიათს (რამანაუსკასი, §71). სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლება, გამორიცხოს მტკიცებულება, რომელიც არ აკმაყოფილებს ფარული ოპერაციის ჩატარების სამართლებრივ მოთხოვნებს (ხუდობინი, §§133-135).

176 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2005)10, თავი II, §7; რამანაუსკასი, §72.

მტკიცებულება. ამ ნუსხის მიღმა სამართალდარღვევებთან დაკავშირებული მტკიცებულება არ შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული;

(10.2) სისხლისსამართლებრივი დევნისა და გასამართლებისათვის, დასაშვები შესაძლოა იყოს მტკიცებულება მხოლოდ იმ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით, რაც არ იყო პროვოცირებული სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ. მტკიცებულება იმ დანაშაულისა, რომელიც პროვოცირებული ან ნაქმეზებული იყო სახელმწიფოს წარმომადგენლის (ან მისი მითითებებით მოქმედი კერძო პირის მიერ) არ შეიძლება იყოს დასაშვები.

(10.3) ტვირთი მტკიცებისა, რომ ადგილი არ ჰქონია დანაშაულის პროვოცირებას ან ნაქმეზებას, უნდა ეკისრებოდეს პროკურატურას;

(10.4) სპეციალური საგამოძიებო მეთოდების გამოყენებით მოპოვებული მტკიცებულებები გამყარებული უნდა იყოს სხვა, მართლზომიერად მოპოვებული მტკიცებულებით და, შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენი არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ან მნიშვნელოვნად ოპერაციის გზით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

(11) კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს მხარეთა მიერ სპეციალური საგამოძიებო მეთოდების გამოყენებით მოპოვებული მტკიცებულების გამოკვლევის სასამართლო წესს,¹⁷⁷ ანიჭებდეს დაცვის მხარეს უფლებას, დააყენოს დანაშაულის პროვოცირების საკითხი,¹⁷⁸ ისე, რომ, საჭიროების შემთხვევაში, დაცული იყოს აგენტის ანონიმურობა, გამოძიების ცალკეული მეთოდები თუ სხვა ინფორმაცია საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. ნებისმიერ შემთხვევაში, დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს საკმარისი მექანიზმები იმისა, რომ შეედავოს და გააქარწყლოს პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები.¹⁷⁹

(12) კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს გასაჩივრების შესაძლებლობას მტკიცებულებათა მოპოვების კანონიერებისა და სანდოობის ეჭვქვეშ დაყენების მიზნით.

(13) კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფოს წარმომადგენლის (ან მისი მითითებებით მოქმედი კერძო პირის) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩადენილი ქმედება გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო ოპერაციის მიზნებისათვის, სათანადოდ ავტორიზებული (9.2)-ის მიხედვით და წარმომადგენელი აკმაყოფილებდა (10.1)-სა და (10.2)-ში მითითებულ მოთხოვნებს. სახელმწიფოს წარმომადგენლის (ან მისი მითითებებით მოქმედი კერძო პირის) მიერ სიცოცხლის ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა შეიძლება მოიხსნას მხოლოდ სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად (მაგალითად, აუცილებელი მოგერიება, თავდაცვა ან მოვალეობათა კონფლიქტი).

¹⁷⁷ სეკვირა; ბანიკოვა, §76.

¹⁷⁸ რამანასუკასი, §69, მე-6 პრინციპი, ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებებსა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით.

¹⁷⁹ ედვარდსი და ლუისი, §46, „ა“ (A) და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (დიდი პალატა), 3455/05, §§205-224; ბანიკოვა, §62-65.

2. სპეციალური საგამოძიებო მეთოდები საქართველოში

2.1. სპეციალური საგამოძიებო მეთოდების სახეები

საქართველოს კანონმდებლობა განასხვავებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებსა და ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას აწესრიგებს საქართველოს 1999 წლის კანონი¹⁸⁰ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ.“ ხოლო ფარული საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე რეგულაციები მოცემულია სსსკ-ში.¹⁸¹

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა არის ამ კანონით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღია თუ ფარული მეთოდით ჩატარებული ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.¹⁸² ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებია:

- პირის გამოკითხვა;
- ცნობების შეგროვება და ვიზუალური კონტროლი;
- საკონტროლო შესყიდვა;
- კონტროლირებადი მიწოდება;
- საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევა;
- პიროვნების იდენტიფიკაცია (გაიგივება);
- დაკავებულის, დაპატიმრებულისა და მსჯავრდებულის კორესპონდენციის ცენზურა;
- ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მოპოვება;
- დადგენილი წესით დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის ჩართვა;
- დადგენილი წესით კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა;
- ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგი.

სსსკ-ს შესაბამისად, ფარული საგამოძიებო მოქმედებებია:

- სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩანერა;
- ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე

180 კანონი ძალაშია 1999 წლის 15 მაისიდან.

181 სსსკ, თავი 16, ფარული საგამოძიებო მოქმედებები.

182 კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, პირველი მუხლი.

დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია;

- გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა (ამოქმედდება 2020 წლის 30 მარტიდან);
- საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი;
- ფარული ვიდეო- და აუდიოჩანერა, კინო- და ფოტო-გადაღება;
- ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.

კანონი „ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის“ შესახებ და სსსკ არ იცნობს დანაშაულის პროვოცირების ცნებას. აღსანიშნავია, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში დანაშაულის პროვოცირების ცნება და მისი აკრძალვა მოცემულია ფარული საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელ კანონმდებლობაში. მაგალითად, ლიტვის „კრიმინალური დაზვერვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი განსაზღვრავს პროვოკაციის ცნებას და კრძალავს ამ მეთოდის გამოყენებას კრიმინალური დაზვერვის განხორციელებისას.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხილვა მხოლოდ დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის ჭრილში და, შესაბამისად, ფარული საგამოძიებო მოქმედებები არ შეფასებულა ადამიანის სხვა უფლებებთან მიმართებით. დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის თვალსაზრისით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ცალკეული სახეები, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ნაკლებად პრობლემურია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებთან შედარებით, რაც უფრო დეტალურადაა განხილული კვლევაში.

2.2. ფარული საგამოძიებო მოქმედებები

ფარული საგამოძიებო მოქმედება შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის საქმეზე, ასევე, სსსკ-ს შესაბამის მუხლში ამომწურავად ჩამოთვლილ ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე.¹⁸³ აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით ფარული საგამოძიებო ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია ისეთ დანაშაულებზე, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4 წლის ან მეტი ვადით. სსსკ-ში კი მითითებულია ზოგიერთი ისეთი ნაკლებად მძიმე დანაშაული, რაც ნაკლები ვადით პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

პროკურორმა შუამდგომლობაში უნდა წარადგინოს „დასაბუთებული ვარაუდი,“ რომ: ა) პირს, რომლის მიმართაც უნდა ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება, ჩადენილი აქვს მძიმე, განსაკუთრებით მძიმე ან ჩამოთვლილ ნაკლებად მძიმე დანაშაულთანგან რომელიმე დანაშაული („დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი“), ან ბ) პირი იღებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას, ან გ) დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს. გარდა აღნიშნულისა, პროკურორის შუამდგომლობაში

183 სსსკ, მუხლი143; 3, მე-2 ნაწილი.



დასაბუთებული უნდა იყოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადაუდებელი საზოგადოებრივი აუცილებლობა და ის, რომ საგამოძიებო მოქმედებით მოპოვებული იქნება ისეთი მტკიცებულება, რომლის მოპოვებაც სხვა საშუალებით შეუძლებელია.¹⁸⁴ ამასთან, საგამოძიებო მოქმედება უნდა იყოს შესაფერისი და პროპორციული საშუალება ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის.¹⁸⁵

აღსანიშნავია, რომ პროკურორის შუამდგომლობის დასაბუთების ვალდებულება და სსსკ-ში მითითებული დასასაბუთებელ გარემოებათა წრე (საზოგადოებრივი აუცილებლობა და საგამოძიებო მოქმედების, როგორც „უკანასკნელი საშუალების“ პრინციპი), ასევე, პროპორციულობის დამტკიცების მოთხოვნა, მნიშვნელოვანი გარანტიაა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კანონიერების შემოწმების პროცესში.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძველია სასამართლოს განჩინება,¹⁸⁶ ხოლო, გადაუდებელ შემთხვევებში, პროკურორის მოტივირებული დადგენილებაც. თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც, მოქმედების კანონიერად ჩატარებაზე ხორციელდება სასამართლო კონტროლი.¹⁸⁷ პროკურორმა ასეთ დროს უნდა ამტკიცოს დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდის, ზემოაღნიშნული გარემოებებისა (აუცილებლობა, პროპორციულობა) და, ასევე, გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა. თავის მხრივ, სასამართლომ თავის განჩინებაში უნდა დაასაბუთოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესაბამისი საფუძვლების არსებობა და ფარული საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინების გარეშე გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობა, ასევე სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, მაგალითად, რა სახის ფარული საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს, სად, დროის რა მონაკვეთში, ვის მიმართ და ა.შ.¹⁸⁸

მოსამართლის განჩინება გაიცემა არაუმეტეს ერთი თვის ვადით. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს სასამართლოს მიერ თითო თვით პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე. მაქსიმალური ვადაა 3 წელი¹⁸⁹.

2.3. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის წარმოებას არ ჭირდება სასამართლოს წინასწარი ნებართვა ან შემდგომი დადასტურება. მათი ჩატარების საფუძველია პროკურორის, გამომძიებლის დავალება, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს თხოვნა-შეკითხვა, სასჯელაღსრულების დანესებულების დირექტორის წერილობითი ბრძანება და სხვ.¹⁹⁰

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების პრინციპებად დასახელებულია: გადაუდებელი საზოგადოებრივი აუცილებლობა და პროპორციულობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვა და პატივისცემა,

184 სსსკ, მუხლი 143³ 3, მე-2 ნაწილი, „ბ“-„დ“ ქვეპუნქტები.

185 სსსკ, მუხლი 143³ 2, მე-3 ნაწილი.

186 სსსკ, მუხლი 143³ 3

187 სსსკ, მუხლი 143³ 3, მე-5 ნაწილი.

188 სსსკ, მუხლი 143³ 3, მე-10 ნაწილი.

189 სსსკ, მუხლი 143³ 3, მე-12 ნაწილი.

190 კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, მუხლი 8.

კანონიერება, კონსპირაციის, ღია და ფარული მეთოდების შეხამება.¹⁹¹

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერი კატეგორიის, მათ შორის ნაკლებად მძიმე დანაშაულის საქმეზე. არ მოითხოვება დასაბუთებული ვარაუდის არსებობა, რომ პირს ჩადენილი აქვს დანაშაული. როგორც აღინიშნა, საერთაშორისო სტანდარტის თანახმად ფარული საგამოძიებო ღონისძიება (სტანდარტი არ განასხვავებს ფარულ საგამოძიებო მოქმედებასა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას ქართული კანონმდებლობის მსგავსად) უნდა განხორციელდეს მხოლოდ მძიმე დანაშაულის საქმეზე (მუხლი უნდა ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთას მინიმუმ 4 წლის ვადით).

კანონი ასევე არ ადგენს პროკურორის ან გამომძიებლის დავალების, (რაც ღონისძიების ჩატარების ერთ-ერთი საფუძველია), დასაბუთების ვალდებულებას. აღსანიშნავია, რომ ფარული ღონისძიების ჩატარების ევროპული სტანდარტი ითხოვს, სპეციალური საგამოძიებო მეთოდი გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ეჭვისა, რომ სერიოზული დანაშაული ჩადენილია, ჩადენის პროცესშია ან მომავალში იქნება ჩადენილი რომელიმე კონკრეტული პირის ან პირების მიერ ან არაიდენტიფიცირებული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ.¹⁹² ეს სტანდარტი უფრო დაბალია, ვიდრე მყარი მტკიცებულებისა, მაგრამ უფრო მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივი კეთილსინდისიერების სტანდარტი.

კანონში პროკურორის ან გამომძიებლის დავალების დასაბუთების ვალდებულების გაუთვალისწინებლობა პრობლემას წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ შეუძლებელი ხდება, მაგალითად, სასამართლოს მიერ გადამოწმება, თუ რამდენად იქნა დაცული ოპერატიული ღონისძიების ჩატარების პრინციპები - პროპორციულობა, გადაუდებელი საზოგადოებრივი აუცილებლობა და სხვა.

კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ მხოლოდ ჩამოთვლის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს და არ ადგენს მათი ჩატარების დეტალურ წესებს. გარდა იმისა, რომ კანონი არ ითვალისწინებს ღონისძიების ჩატარებას კომპეტენტური ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მასში ასევე არ არის დებულება, რომლითაც სახელმწიფოს წარმომადგენელი ვალდებული იქნებოდა დოკუმენტურად, წერილობითი ფორმით აესახა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში განხორციელებული ყველა მოქმედება თუ შემთხვევები.

კანონი უთითებს, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ამ კანონის საფუძველზე და კანონით დადგენილი წესით, საქართველოს მთავარი პროკურორის თანხმობით, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ცალკეულ საკითხებზე გამოსცენ უწყებრივი ნორმატიული აქტები.¹⁹³ კვლევის პროცესში ვერ იქნა მოძიებული უწყებრივი აქტები, რომლებიც აწესრიგებენ ცალკეული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების დეტალურ წესებს. როგორც ჩანს, ასეთ აქტებს, არსებობის შემთხვევაში, მინიჭებული აქვთ გრიფი „საიდუმლო“, გამოიყენებიან მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების შიდა უწყებრივი დანიშნულებით და საზოგადოებისათვის, ასევე, სასამართლო პროცესზე მხარეებისა და სასამართლოსთვის მათი რეგულაციები დაფარულია. მნიშვნელოვანია, რომ ცალკეული ოპერატიული ღონისძიების ჩატარების წესები გათვალისწინებული იყოს არა მხოლოდ შიდა უწყებრივი გამოყენების საიდუმლო დოკუმენტებში, არამედ კანონშიც ან სხვა

191 კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, მუხლი 2.

192 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2005)10, თავი II, §4 და მისი განმარტებითი ბარათი, §44.

193 კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, მუხლი 4.2.



აქტში, რომლის ტექსტიც ხელმისაწვდომი იქნება დანაშაულის პროვოცირების საკითხის განხილვის პროცესში.

ქართული სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკის კვლევამ გამოავლინა, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ამა თუ იმ ფარული ოპერაციის ფარგლებში მთელი რიგი მოქმედებები საერთოდ არ არის რეგულირებული კანონით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ ან სხვა რომელიმე კანონით. მაგალითად, არ არის საკანონმდებლო წესით რეგულირებული ისეთი მოქმედებები, როგორიცაა: ფარული თანამშრომლის მიერ საიდუმლო ოპერაციის ფარგლებში თანხის ან სხვა სარგებლის შეთავაზება საჯარო მოხელისათვის; ფარული თანამშრომლის მიერ პირთან და მის ახლობლებთან დაახლოებისა და მათი ნდობის მოპოვების მცდელობები სხვადასხვა მოგონილი ლეგენდით; თავად ლეგენდის შემუშავების პროცესი და სხვა.

შესაძლებელია, აღნიშნული მოქმედებები დეტალურადაც კი იყოს რეგულირებული ოპერატიული ორგანოების შიდა საიდუმლო ინსტრუქციებით, თუმცა, მათი გადამოწმება შეუძლებელია სასამართლო პროცესზე, სწორედ ამ დოკუმენტების საიდუმლო ხასიათის გამო. ასეთი ვითარება კი პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის საკითხზე, შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, სადაც ქართული კანონმდებლობა ფუნდამენტურ ხარვეზს შეიცავს, ეს არის კონტროლი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებაზე. კანონი აქაც ძალიან ზოგადად განსაზღვრავს, რომ ზედამხედველობას ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებისას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე, აგრეთვე, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე ახორციელებენ საქართველოს მთავარი პროკურორი და მისადმი დაქვემდებარებული პროკურორები.¹⁹⁴ არ არის დეტალურად მოცემული თუ როგორ ხორციელდება ურთიერთობა ზედამხედველ პროკურორსა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გამტარებელ ორგანოს შორის, როგორია პროკურორის ჩართულობა ღონისძიების მიმდინარეობის პროცესში.

ამასთან, კანონი ადგენს, რომ მონაცემები იმ პირებზე, რომლებიც უწევს ან უწევდნენ კონფიდენციალურ დახმარებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს, თანამშრომლობენ ან თანამშრომლობდნენ მათთან, აგრეთვე, ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის ინფორმაციის მოპოვების მეთოდები, ტაქტიკა და ორგანიზაცია არ წარმოადგენს საპროკურორო ზედამხედველობის საგანს.¹⁹⁵ ანალოგიურ დებულებას შეიცავს საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“.¹⁹⁶

ასეთი რეგულირება არ არის შესაბამისი ევროპულ სტანდარტებთან, რომელიც ითხოვს, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელებაზე უნდა ხორციელდებოდეს ეფექტიანი კონტროლი იმ ორგანოს მიერ, რომელიც უშუალოდ არ ასრულებს ღონისძიებას. ხუდობინის საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ოპერატიულ ღონისძიებაზე

194 კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, მუხლი 21.1.

195 კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, მუხლი 21.2.

196 კანონი „პროკურატურის შესახებ“, მუხლი 16: „ამ ფუნქციის განხორციელებისას მონაცემები იმ პირზე, რომელიც უწევს ან უწევდა კონფიდენციალურ დახმარებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს, თანამშრომლობს ან თანამშრომლობდა მასთან, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის მოპოვების ტაქტიკა, ორგანიზება, ოპერატიული დამუშავების საქმე და ოპერატიულ-სამძებრო აღრიცხვის საქმეების საიდუმლო ნაწილი არ არის საპროკურორო ზედამხედველობის საგანი.“

ნებართვის გაცემისა და მასზე შემდგომი ზედამხედველობის განჭვრეტადი, ადექვატური პროცედურის აუცილებლობას¹⁹⁷.

ამდენად, ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოს საქართველოში ასევე უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა კონტროლი გაუწიოს ინფორმაციის მოპოვებისა და კონკრეტული ოპერატიული ღონისძიების განხორციელების მეთოდებსა და ტაქტიკას. ეს ლოგიკური მოთხოვნაა, რამდენადაც ძალიან ხშირად სწორედ მეთოდები და ტაქტიკაა პრობლემური დანაშაულის პროვოცირების საკითხზე. თუმცა, შესაძლებელია და დასაშვები, კონტროლი განხორციელდეს ისე, რომ პირის ვინაობა, რომელიც თანამშრომლობს ან თანამშრომლობდა შესაბამის ორგანოებთან, დარჩეს დაფარული პროკურატურის ორგანოებისათვის.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა სანქცირებისა და კონტროლის თაობაზე კანონის ნორმათა შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, მეტი დეტალიზაცია, დააფუძნებს დანაშაულის პროვოცაციის აკრძალვის პროცედურულ გარანტიებს.

როგორც ევროპული სასამართლოსა და ქართული სასამართლოების პრაქტიკა მოწმობს, დანაშაულის პროვოცირების თვალსაზრისით ყველაზე რისკიანი საგამოძიებო მოქმედებებია საკონტროლო შესყიდვა, კონტროლირებადი მიწოდება, დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის ჩართვა, კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა. ევროპული სასამართლო ითხოვს, დანაშაულის პროვოცირების განაცხადის გაკეთების შემთხვევაში, სასამართლოებმა ეფექტიანად გადაამოწმონ, არსებობდა თუ არა პირის წინასწარგანწყობა დანაშაულის ჩასადენად ან იყო თუ არა იგი დანაშაულის ინიციატორი; ხომ არ განხორციელებულა პირის მიმართ ისეთი წნეხი ან ზეწოლა, რამაც განაპირობა მისი მხრიდან დანაშაულის ჩადენა. ამ საკითხების შეფასებისას ევროპული სასამართლო განსაკუთრებული სიმკაცრით აფასებს საგამოძიებო ღონისძიებების ავტორიზების, განხორციელებისა და ზედამხედველობის წესებს ეროვნულ კანონმდებლობაში. შესაბამისად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს საკმარისად დეტალურად გაწერილ წესებს და რეგულაციებს, რომელთა საშუალებით საქმის განმხილველ სასამართლოს მიეცემა შესაძლებლობა გადაამოწმოს დანაშაულის პროვოცირების განაცხადი.

ევროპული სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს გარკვეული ქმედება არა მხოლოდ კანონის შესაბამისად ხორციელდებოდეს, არამედ თვითონ ეს კანონი იყოს ხარისხიანი. „სასამართლო იმეორებსრომ ფრაზა „კანონის შესაბამისად“ არა მხოლოდ მოითხოვს შესაბამისობას ქვეყნის შიდა კანონმდებლობასთან, არამედ ეხება აღნიშნული კანონმდებლობის ხარისხსაც, მოითხოვს რა მის შესაბამისობას კანონის უზენაესობის პრინციპთან. სახელმწიფო ორგანოების ფარული მეთვალყურეობის კონტექსტში, ..., ქვეყნის შიდა კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს პირის კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში თვითნებური ჩარევისგან დაცვის გარანტიებს. ამასთან, კანონი უნდა იყოს საკმარისად ნათელი და იძლეოდეს ადექვატურ წარმოდგენას იმ გარემოებებისა და პირობების შესახებ, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც სახელმწიფო ორგანოები უფლებამოსილნი არიან ჩაატარონ ფარული ღონისძიებები.“¹⁹⁸ ასევე, როგორც აღინიშნა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ნათელი და განჭვრეტადი პროცედურების, ასევე მათზე სპეციალური კონტროლის აუცილებლობაზე მიუთითებს ევროპული სასამართლო პროვოცაციის აკრძალვის შესახებ განვითარებულ პრეცედენტულ სამართალში.

197 ხუდობინი, &135.

198 ხანი, &26,.



შესაბამისად, შესაძლებელია, ევროპულმა სასამართლომ ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობის დაცვით ჩატარებული ფარული ღონისძიება ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამოდ მიიჩნიოს და კონვენციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დაადგინოს. ასეთი დარღვევა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ დაადგინა კიდევ პროვოცირების აკრძალვის საქმეების განხილვისას, განსაკუთრებით, რუსეთის წინააღმდეგ. ამიტომ, სახელმწიფოსთვის, მისი სამართალდამცავი სისტემისათვის, მნიშვნელოვანია, ფარული საგამოძიებო თუ ოპერატიული საქმიანობა „ხარისხიანი“ და ევროპული სტანდარტის შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე ხორციელდებოდეს. ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ ვერ აკმაყოფილებს ამ სტანდარტს და ეს ვითარება, ადრე თუ გვიან, წარმოაჩენს დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის სისტემურ პრობლემას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან მიმართებით.

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კანონი „ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ“ არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, არ შეიცავს საკმარისად დეტალურ და ეფექტიან წესებს ოპერატიული ღონისძიების ავტორიზების, ჩატარებისა, და კონტროლის განხორციელების პროცესში, რაც თავის მხრივ, პრობლემურია დანაშაულის პროვოცირების აკრძალვისა და პროვოცირების განაცხადის სასამართლოს მიერ შემოწმების მიზნებისთვის.

3. დანაშაულის პროვოცირების საკითხის დაყენებისა და სრულყოფილი გამოკვლევის შესაძლებლობები სასამართლო პროცესზე

3.1. დანაშაულის პროვოცირების აკრძალვა ქართულ კანონმდებლობაში

როგორც აღინიშნა, საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ და სსსკ არ შეიცავენ დანაშაულის პროვოკაციის ცნებასა და ნორმას მისი აკრძალვის შესახებ.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში დანაშაულის პროვოცირების კონცეფცია შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: დანაშაულის პროვოცირებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე სახელმწიფოს წარმომადგენლები ან მათი მითითებით მოქმედი კერძო პირები „არ იზღუდებიან დანაშაულებრივი ქმედების გამოძიების არსებითად პასიური მეთოდით, არამედ ისეთ გავლენას ახდენენ სუბიექტზე, რომ აქვებენ ჩადენას დანაშაულისა, რაც სხვაგვარად არ იქნებოდა ჩადენილი.“¹⁹⁹

ბუნებრივია, რამდენადაც დანაშაულის პროვოცირების აკრძალვა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის - სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილია, დანაშაულის პროვოცირების სუბიექტები ევროპული კონვენციის მიზნებისთვის შეიძლება იყვნენ მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენლები ან მათი მითითებით მოქმედი კერძო პირები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლი დასჯად ქმედებად აცხადებს დანაშაულის პროვოკაციას, ე.ი. სხვის დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მიზნით. აღნიშნული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი 14 წლის ასაკიდან, მნიშვნელობა არ აქვს, კერძო პირია ის თუ სახელმწიფოს წარმომადგენელი.

¹⁹⁹ რამანაუსკასი, §55.

სსსკ-ში არ არის სპეციალური მითითება დანაშაულის პროვოცირებით მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის ან რაიმე მსგავსი შედეგის შესაძლებლობის შესახებ. სსსკ-ს მე-4 მუხლი ჩამოთვლის ადამიანის ნებაზე ზემოქმედების დაუშვებელ მეთოდებს - წამებას, ძალადობას, სასტიკ მოპყრობას, მოტყუებას, სამედიცინო ჩარევას, ჰიპნოზს, სხვა ღონისძიებას, რომელიც ზემოქმედებს ადამიანის მესხიერებაზე ან აზროვნებაზე. აგრეთვე, დაუშვებელია მუქარა ან ისეთი შელავათების დაპირება, რაც კანონით არ არის გათვალისწინებული. პროვოცირების აკრძალვის სპეციალური მითითება არ არის, თუმცა, შესაძლებელია მისი მოაზრება „სხვა ღონისძიებაში, რომელიც ზემოქმედებს ადამიანის აზროვნებაზე.“ სსსკ-ში დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის პირდაპირი მითითება გაზრდის ამ გარანტიის დაცვის პერსპექტივებს. ეს საკითხი ასევე დაკავშირებულია პროვოცირების გზით მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესაძლებლობასთან, რაც მომდევნო თავებში იქნება განხილული.

3.2. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დაცვის მხარისათვის გამჟღავნება

მხარეთა მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და მასალების გაცვლა შეჭიბრებითობასა და თანასწორობაზე აგებული სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია.

დაცვის მხარისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დანაშაულის პროვოცირების შესახებ შუამდგომლობისათვის რელევანტური ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც შეჭიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების მიხედვით იქნება გამოკვლეული. საჯარო ინტერესი ვერ გაამართლებს დაცვის მხარისათვის ისეთი მტკიცებულების გადაცემაზე უარს, რომელიც შესაძლოა ბრალეულობის დადგენისათვის განმსაზღვრელი აღმოჩნდეს. ევროპული სასამართლოს აღნიშნული სტანდარტის²⁰⁰ უზრუნველყოფა შეუძლებელია ქართული კანონმდებლობის, მათ შორის, სსსკ-ის რეგულირების პირობებში.

სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს.“

სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი „დაცვის მხარის უფლება ინფორმაციის მიღებაზე შეიძლება ბრალდების მხარის შუამდგომლობით შეზღუდოს სასამართლომ მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ნაწილში და მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე.“

პრობლემურია სსსკ-ს 83-ე მუხლის პირველი ნაწილის ფორმულირება, რომელიც აღიარებს დაცვის მხარის უფლებას მხოლოდ „ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს.“ შესაბამისად, ბრალდების მხარე ვალდებულია, დაცვის მხარეს გადასცეს არა მის ხელთ არსებული მთელი მასალა ოპერატიულ-სამძებრო და ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, არამედ ამ მასალის მხოლოდ ის ნაწილი, რომლის წარდგენასაც აპირებს სასამართლოში.

ბუნებრივია, კანონის ასეთი ჩანაწერი ტოვებს შესაძლებლობას, დაცვის მხარეს და სასამართლოს

²⁰⁰ ეს სტანდარტი ევროპულმა სასამართლომ განავითარა საქმეში ედვარდსი და ლუისი (Edwards and Lewis) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.



წარედგინოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შესახებ ფრაგმენტული ინფორმაცია, რაც არ წარმოაჩენს სრულად დანაშაულის პროვოცირების გადამოწმებისათვის აუცილებელ გარემოებებს. მაგალითად, შესაძლებელია, დაცვის მხარისთვის ან სასამართლოსთვის გადაცემულ მასალებში არ აღმოჩნდეს ფარული აგენტისა და ბრალდებულის პირველი შეხვედრისა თუ საუბრის ვიდეო/აუდიო ჩანაწერი, საიდანაც გაირკვეოდა დანაშაულის ჩადენის ინიციატორი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.

გარდა ამისა, როგორც „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის ანალიზის დროს გამოიკვეთა, თავად ბრალდების მხარეს ხელი არ მიუწვდება პროვოცირების საკითხის გამოკვლევისათვის მნიშვნელოვან ისეთ ინფორმაციაზე, როგორიცაა ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის მონაცემების მოპოვების მეთოდები, ტაქტიკა და ორგანიზაცია, რამდენადაც აღნიშნული არ წარმოადგენს საპროკურორო გედამხედველობის საგანს. შესაბამისად, ბრალდების მხარე ვერ წარადგენს სასამართლოზე დანაშაულის პროვოცირების გამორიცხვისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. ეს ვითარება ქართული კანონმდებლობის ფუნდამენტურ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის თვალსაზრისით.

3.3. პროვოცირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხი

როგორც კვლევის პირველ ნაწილში აღინიშნა, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, პროვოცირების დადგენის შემთხვევაში, ითხოვს, ამ გზით მოპოვებული მტკიცებულებები გამოირიცხოს ეროვნული სამართალწარმოებიდან ან დადგეს სხვა ანალოგიური შედეგი.

ქართულ სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულების დაუშვებლობის ზოგადი სტანდარტი განსაზღვრულია სსსკ-ის 72-ე მუხლში, რომლის თანახმადაც კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელია. კანონის არსებითი დარღვევა შეფასებითი ცნებაა, დამოკიდებულია დარღვევის ხასიათზე და მას, მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ, ადგენს სასამართლო.

ზოგადი წესის თანახმად, მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხი ძირითადად განიხილება წინასასამართლო ხდომაზე, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, აღნიშნული შესაძლებელია, არსებით სხდომაზეც მოხდეს. სსსკ არსებით სხდომაზე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შემდგომ შესაძლებლობას აწესებს. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ სსსკ-ის 239-ე მუხლით²⁰¹ დადგენილი წესით ახალი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, პროვოცირების განაცხადის შესწავლის პროცესში, სასამართლომ საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს საგამოძიებო მოქმედებების საფუძვლები, მათი ჩატარების აუცილებლობა, დანაშაულში სახელმწიფოს წარმომადგენელთა ჩართულობა და პირზე განხორციელებული ზეწოლის ინტენსივობა. შესაბამისად, ქართულმა სასამართლომ პროვოცირების შესახებ მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას უნდა შეამოწმოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების საფუძვლები, ღონისძიების დასაბუთება და მიმდინარეობის დეტალები, რათა გამოარკვიოს, ჰქონდა თუ არა პირს დანაშაულის ჩადენის წინასწარგანწყობა, სახელმწიფოს წარმომადგენელი დაწყებულ დანაშაულებრივ ქმედებაში ჩაერთო თუ იგი იყო ინიციატორი და თავად გამოიწვია

201 სსსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილი: “საქმის არსებითი განხილვის დროს დამატებითი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში სასამართლო მხარის შუამდგომლობით იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზს, რის საფუძველზედაც იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე მტკიცებულების დაშვება-არდაშვების თაობაზე”.

აკრძალული ქმედება, როგორი იყო სახელმწიფოს სახელით მოქმედი პირის მიერ ბრალდებულზე განხორციელებული წნეხის ხასიათი.

როგორც აღინიშნა, სსსკ-ის თანახმად, სასამართლო შეზღუდულია იმ მასალებით, რაც მხარეთა მიერ არის წარდგენილი. ბრალდების მხარე თავად განსაზღვრავს, რა მასალები წარუდგინოს სასამართლოს და რა მოცულობით. შესაბამისად, შესაძლებელია სასამართლოში წარდგენილ იქნას ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების არა მთელი ისტორია, არამედ მხოლოდ ზოგიერთი მონაკვეთი ამ ისტორიიდან. ამასთან, ბრალდების მხარე თავად არის შეზღუდული ოპერატიული-სამძებრო ხასიათის მოქმედებების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია გენერალის საგანდასურვილის შემთხვევაში კი, ვერ წარუდგენს სასამართლოს პროვოცირების საკითხის გამოკვლევისთვის აუცილებელ სრულ ინფორმაციას. სსსკ არ შეიცავს ნორმებს, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა სრული სურათის შესაქმნელად დამატებითი მასალების გამოთხოვა ბრალდების მხარისაგან ანდა სამართალდამცავი ორგანოებიდან.

ამასთან, მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი. ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის თანახმად, პროვოცირების განაცხადის შემთხვევაში პროვოკაციის არარსებობის მტკიცების ტვირთი გადადის ბრალდების მხარეზე. სსსკ, რომელიც საერთოდ არ იცნობს დანაშაულის პროვოცირების ცნებას, არ ეხება ამ საკითხს. კოდექსი ადგენს მხოლოდ ზოგად პრინციპს, რომლის თანახმადაც, „ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს.“²⁰² ეს ზოგადი რეგულაცია არ უნდა იყოს საკმარისი.

შესაბამისად, არსებული რეგულაციები, პირველ რიგში კი, მხარეთა უფლება წარადგინონ ის მტკიცებულებები სასამართლოში, რაც თავად მიაჩნიათ საჭიროდ, ასევე, სახელმწიფო ბრალდების შეზღუდული წვდომა მნიშვნელოვან ინფორმაციაზე, წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს ხელს შეუშლის პროვოცირების შესახებ შუამდგომლობის სათანადოდ გამოკვლევასა და შეფასებაში. ამასთან, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე არ ახორციელებს მტკიცებულებების გამოკვლევას. ეს გარემოებაც დამატებითი ფაქტორია დანაშაულის პროვოკაციის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხის განხილვის პროცესში.

აღნიშნული მოცემულობის დაძლევა შესაძლებელი იქნება სსსკ-ში პროვოცირების საკითხზე მტკიცების ტვირთის ბრალდების მხარეზე გადატანისა და მის მიერ დამატებითი ინფორმაციის/მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობის შესახებ ჩანაწერის შეტანით. ასეთი ცვლილებით შესაძლებელი გახდება, პროვოცირების განაცხადის ან ამ საფუძველით მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, ბრალდების მხარეს დაეკისროს პროვოცირების უარყოფის ვალდებულება, მათ შორის, დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის გზითაც. დამატებით მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობას სსსკ ითვალისწინებს 239-ე მუხლში, რომლის საფუძველზე შეუძლია იმოქმედოს ბრალდების მხარემ.

ამასთან, სასამართლოს უნდა მიენიჭოს უფლება, მოითხოვოს პროვოცირების განაცხადის ეფექტიანი შემოწმებისათვის რელევანტური ინფორმაცია ბრალდების მხარისგან და ბრალდების მხარესაც მიენიჭოს უფლებამოსილება, კონტროლი განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მეთოდებზე, ტაქტიკასა და ორგანიზაციაზე (რაც დღეს არ წარმოადგენს საპროკურორო ზედამხედველობის საგანს).

მიუხედავად წინასასამართლო და არსებით სხდომაზე მტკიცებულების დაუშვებლობის საკითხის

202 სსსკ, 72-ე მუხლის მე-3 ნაწილი.



სათანადოდ გამოკვლევის შეზღუდული შესაძლებლობისა, სსსკ-ისა და დამკვიდრებული პრაქტიკის²⁰³ თანახმად, სასამართლოს შეუძლია განაჩენში არ გაიზიაროს მტკიცებულება სწორედ დაუშვებლობის საფუძველით. ასევე, სასამართლოს შეუძლია არ გაიზიაროს მტკიცებულება, რომელიც ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს. როგორც აღინიშნა, ევროპული სასამართლოს იურისპრუდენცია არ ითხოვს პროვოცირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების აუცილებლად დაუშვებლად ცნობას, არამედ, მისთვის მისაღებია სხვა ანალოგიური შედეგი. შესაბამისად, ქართული სასამართლოებს აქვთ თეორიული შესაძლებლობა, არ გაიზიარონ მტკიცებულება განაჩენში მისი დაუშვებლობის ან არაუტყუარობის საფუძველით. თუმცა, პროცესის ასეთი განვითარებაც რთული მისაღწევი იქნება პრაქტიკაში სსსკ-სა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მარეგულირებელი კანონმდებლობის დღევანდელი ჩანაწერების პირობებში.

მტკიცებულების დაუშვებლობის ანალოგიური შედეგის დადგენას ასევე ხელს შეუშლის ის, რომ სსსკ-ს თანახმად, რთულია პროვოცირების საკითხის ეფექტიანი გამოკვლევა, განსაკუთრებით, როგორც აღინიშნა, პროვოცირების ცნების არარსებობისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ინიცირების და მიმდინარეობის დეტალების გადამოწმების სირთულის გამო.

გარდა ამისა, სასამართლოსთვის დამაბრკოლებელი იქნება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მწირი რეგულაციები. როგორც აღინიშნა, ეს უკანასკნელი არ მოითხოვს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების აუცილებლობის სათანადო დასაბუთებას, არ ავალდებულებს ღონისძიების ჩამტარებელ ორგანოს, ზუსტად აღწუხოს მის მიერ განხორციელებული ნაბიჯები და შემდგომში ეს მასალები წარუდგინოს სასამართლოს. თუ ღონისძიება ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის ფორმალური დაცვით, არც კანონმდებლობის არსებით დარღვევას ექნება ადგილი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის დასადგენად ან მისი არგაზიარებით. შესაბამისად, ქართული კანონმდებლობა ქმნის შესაძლებლობას, კანონის ფორმალურად დაცვის შემთხვევაში (რეალურად კი დანაშაულის პროვოცირების არსებობისას), შეუძლებელი გახდეს დანაშაულის პროვოცირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა ან სასამართლოს განაჩენში მათი არგაზიარება დაუშვებლობის საფუძველით.

ამასთან, სასამართლოსთვის დამაბრკოლებელი იქნება პროვოცირების სპეციალური ცნების და მასთან დაკავშირებული რეგულაციების არარსებობა სსსკ-ში ან/და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მარეგულირებელ კანონმდებლობაში. მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობის არსებობა, პირიქით, შეიძლება შემაფერხებელი იყოს სასამართლოსთვის პროვოცირების განაცხადის გადამოწმების პროცესში. მუდმივად იარსებებს არგუმენტი, რომ კონკრეტული პირისთვის - პროვოკატორისთვის, ჯერ მსჯავრი არ დაუდიათ სსკ-ით 145-ე მუხლით დადგენილი დანაშაულისთვის - დანაშაულის პროვოკაციისთვის და მანამდე შეუძლებელია სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისათვის სასამართლომ იმსჯელოს და დაადგინოს ამ პირის მხრიდან დანაშაულის პროვოცირების ფაქტი.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის ოპერატიულ-სამძებრო და სისხლის სამართლის საპროცესო საკითხები აგენტ-პროვოკატორის

203 ამგვარი პრაქტიკის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოცემულმა სახელმძღვანელო წინადადებებმა, რომლებიც განკუთვნილია საერთო სასამართლოების მოსამართლეების მიმართ. ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად, „შესაძლებელია, რომელიმე მტკიცებულებამ ისე გადალახოს დასაშვებობის ეტაპი, რომ დაუშვებლად არ იქნეს ცნობილი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ნიშანი იყოს გამოხატული მისი დაუშვებლად ცნობისათვის. მოსამართლემ ეს მტკიცებულება განაჩენით არ უნდა ცნოს დაუშვებლად, მაგრამ სწორედ ამ მოტივით არ უნდა გაიზიაროს იგი და აღნიშნოს, რომ მისი მოპოვებისას ისეთი ხარისხით დაირღვა კანონი, რომ მასზე დაყრდნობით რაიმე ფაქტის დადასტურება ან უარყოფა არაგონივრული და მიზანშეუწონელია.“ (სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, გვ.45, 2015 წ.)

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მატერიალურ-სამართლებრივი საკითხისგან. ევროპული სტანდარტი ითხოვს დანაშაულის პროვოცირების განაცხადის ეფექტიან გადამოწმებას პროცესის წარმმართველი მოსამართლის მიერ, მათ შორის, პროვოცირების დადგენის შემთხვევაში, ამ უკანონო მეთოდის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას ან სხვა ანალოგიური შედეგის დაყენებას. ქართული სასამართლოც არ უნდა დაელოდოს პროვოკატორის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხის გადაწყვეტას და მის მსჯავრდებას დანაშაულის პროვოკაციისთვის. დანაშაულის პროვოცირების საკითხის განხილვის პროცესში სასამართლოს უნდა გააჩნდეს ეფექტიანი სისხლის სამართლის საპროცესო ბერკეტები პროვოცირების აკრძალვის გარანტიის უზრუნველსაყოფად, პროვოცირების გზით მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობისა ან/და სხვა ანალოგიური შედეგის მისაღებად.

4. დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობა იცნობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებსა და ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს. იგი ადგენს მათი ავტორიზაციისა და ჩატარების განსხვავებულ წესებსა და საფუძვლებს. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძველია სასამართლოს განჩინება, ხოლო გადაუდებელ შემთხვევებში პროკურორის მოტივირებული დადგენილებაც. თუმცა, ასეთ დროს, მოქმედების კანონიერად ჩატარებაზე ხორციელდება სასამართლო კონტროლი .

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობების წარმოებას არ სჭირდება სასამართლოს წინასწარი ნებართვა ან შემდგომი დადასტურება. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების პირობების შეფასება ევროპული სტანდარტის შესაბამისად შეუძლებელია, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მწირი რეგულაციების, ავტორიზაციისა და კონტროლის არაეფექტიანი, ევროპულ სტანდარტებთან შეუსაბამო მექანიზმების გამო.

დანაშაულის პროვოცირების ცნების არარსებობა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონში დასსკ-ში, ასევე პროვოცირების არსებობის საკითხის შესაფასებლად საჭირო გარემოებების გამოკვლევის შეზღუდული საკანონმდებლო შესაძლებლობები ამცირებენ სასამართლოების ეფექტიანობას დანაშაულის პროვოცირებით მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობისა ან სხვა ანალოგიური შედეგის დაყენების თვალსაზრისით.

სასამართლოს უნდა გააჩნდეს სისხლის სამართლის საპროცესო ეფექტიანი შესაძლებლობები დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის უზრუნველსაყოფად, პროვოცირების გზით მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობისა ან/და სხვა ანალოგიური შედეგის მისაღებად.



IV. საქართველოს სასამართლოებისა და სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკა

კვლევის ამ ნაწილში აღწერილია და შეფასებულია ქართული სასამართლოებისა და სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკა დანაშაულის პროვოცირების საკითხზე. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ბოლო ორი წლის განმავლობაში მიმდინარე 12 სისხლის სამართლის საქმე, სადაც შესაძლოა ადგილი ჰქონოდა დანაშაულის პროვოცირებას.

თითოეული საქმე განხილულია ერთი და იმავე სტრუქტურით: თავდაპირველად მოცემულია საქმის მნიშვნელოვანი ფაქტები, ხოლო შემდეგ, ამ ფაქტების შეფასება ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციაში განვითარებული მატერიალური²⁰⁴ და საპროცესო²⁰⁵ ტესტის საფუძველზე. შესაბამისად, თითოეულ საქმეში გაანალიზებულია, ჰქონდა თუ არა ადგილი დანაშაულის პროვოცირებას სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან და რამდენად სრულყოფილად გადაამოწმა სასამართლომ პროვოცირების შესახებ მხარის მიერ წარდგენილი განაცხადი.

ზოგიერთ საქმეში, დაცვის მხარეს სასამართლოს წინაშე არ დაუყენებია დანაშაულის პროვოცირების განაცხადი. შესაბამისად, ამ შემთხვევებში სასამართლოს არ განუხილავს პროვოცირების საკითხი. ამიტომაც, კვლევაში ასეთი საქმეები მხოლოდ მატერიალური ტესტის საფუძველზეა შეფასებული. რამდენიმე საქმეზე შესწავლილ იქნა მხოლოდ განაჩენები და ვერ მოხერხდა მასალების სრულად გაცნობა. ამ საქმეებში გართულდა მატერიალური ტესტის საფუძველზე გარემოებათა შეფასება - ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას. თუმცა, ამავედროულად, შესაძლებელი გახდა საპროცესო ტესტზე მსჯელობა განაჩენებში პროვოცირების საკითხზე მოსამართლეთა მსჯელობის ანალიზის საფუძველზე.

1. დანაშაულის პროვოცირების ცალკეული საქმეები

1.1. ლ-ნ-ს ბრალდების საქმე (2015 წ. რუსთავის საქალაქო სასამართლო)

საქმის აღწერა

ლ-ნ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18, 179-ე მუხლით - ყაჩაღობის მომზადება.

ბრალდების ფაქტობრივი ფაბულის მიხედვით, პირთა ჯგუფმა განიზრახა ერთ-ერთი კომპანიის (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება) ოფისის დაყაჩაღება. განზრახვის აღმოცენებას წინ უსწრებდა ოფისის დარაჯის მიერ მისი ნაცნობისთვის ინფორმაციის მიწოდება კომპანიის ოფისში თანხის მიტანის შესახებ. დარაჯის ნაცნობი თავის მხრივ დაუკავშირდა კიდევ ერთ პირს (ქურდობისთვის არაერთგზის ნასამართლევს).

²⁰⁴ მატერიალური ტესტის ფარგლებში, ევროპული სასამართლო აფასებს, მოქმედებდნენ თუ არა გამოძიებისას სახელმწიფოს წარმომადგენლები „არსებითად პასიურად,“ ჩაიდენდა თუ არა განმცხადებელი დანაშაულს მათი ჩარევის გარეშე და, შესაბამისად, ჰქონდა თუ არა ადგილი დანაშაულის პროვოცირებას.

²⁰⁵ საპროცესო ტესტის ფარგლებში, ევროპული სასამართლო სრულყოფილად ამოწმებს ეროვნული სასამართლოების მიერ დანაშაულის პროვოცირების საკითხის განხილვის წესს.

აღნიშნულმა ორმა პიროვნებამ, ამ საქმესთან დაკავშირებით მიმართეს პოლიციას და გააუქმეს ინფორმაცია. პოლიციაში დაიგეგმა საგამოძიებო ოპერაციის ფარული აუდიო-ვიდეო გადაღება. დასახელებული ორი პიროვნება დაუკავშირდა მოქალაქე ლ. ნ.-ს და შესთავაზეს ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობის მიღება. მრავალი მოლაპარაკებისა და „დიდი“ თანხით დაინტერესების შედეგად, ლ.ნ. ჩათრეულ იქნა ჯგუფში. სამართალდამცავი ორგანოს მიერ შემუშავებული ლეგენდის თანახმად, ყველამ დაიწყო მომზადება დანაშაულის ჩასადენად. მზადების ბოლო ეტაპზე, ლ.ნ. შეყოყმანდა და უარს აცხადებდა დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე იმ მიზეზით, რომ ცოლი ჰყავდა ორსულად. თუმცა, პოლიციასთან „მოთანამშრომლე“ ჯგუფის ერთ-ერთი წევრის მტკიცებით სწორედ ამიტომ დასჭირდებოდა მას თანხა. საბოლოოდ, ლ.ნ. დაიყოლიეს დანაშაულებრივ ჯგუფში დარჩენაზე.

პოლიციის შესაბამისი უწყების ორგანიზებით ჯგუფის ოთხი წევრიდან ორს სხეულზე დამონტაჟებული ჰქონდა გადასაღები ტექნიკური აღჭურვილობა. მათ მიერ გადაღებულ ფარულ ვიდეო კადრებში კარგად ჩანს, რომ ლ.ნ. თავს იკავებს დანაშაულის ჩადენისაგან იმ მოტივით, რომ ახალი დაქორწინებულია და ელოდება შვილს. სხვადასხვა დროს გამართული რამდენიმე შეხვედრისას გადაღებულ ვიდეო მტკიცებულებებში ჩანს თუ როგორ აქეზებენ მას, ეუბნებიან თუ როგორი მშობარაა და როგორ გაუმჯობესდება მისი ფინანსური მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის შედეგად. აქვე დაფიქსირებულია ლ.ნ.-ს პასუხიც, რომ შვილს ელოდება და „შარი არ უნდა.“

ყაჩაღობის განხორციელების დღეს, შეთანხმების მიხედვით, ჯგუფის ყველა წევრი უნდა შეკრებილიყო მეტრო ვარკეთილთან დათქმულ დროს, თუმცა, ლ.ნ. აგვიანებს დაახლოებით ერთი საათით. ჯგუფის ერთ-ერთი, პოლიციასთან მოთანამშრომლე წევრი, ურეკავს ლ.ნ.-ს ტელეფონზე (რაც ასახულია ვიდეო მასალაში) და აგრესიული ტონით ეუბნება შემდეგს: „ხომ არ გადაირიე, რას ჰქვია გადაიფიქრე, ყველაფერი მზად არის, საქმეს გაგირჩევ, რომ გვაგდებ ამ მნიშვნელოვან მომენტში.“ ასევე, ისმის მსგავსი შინაარსის ზემოქმედების სხვა ფრაზებიც.

ჯგუფის დაკავება ხდება ლ.ნ.-ს მანქანაში მათი ჩასხდომის მომენტიდან 15 წუთში.

წინასასამართლო სხდომაზე პროვოცირებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ დამდგარა, თუმცა, ბრალდების მხარის აღნიშნული მტკიცებულებები სადავოდ იქნა ცნობილი.

საქმის არსებითი განხილვისას დაცვის მხარემ არაერთხელ განაცხადა პროვოცირების არსებობის შესახებ. უშუალოდ ბრალდებულმაც მიმართა ბრალდების მხარეს შემდეგი სიტყვებით: „ხომ მისმენდით, რომ ვყოყმანობდი, როგორც მოქალაქეთა დამცველები რატომ აკეთებდით ყველაფერს, რომ დანაშაული ჩამედინა.“

სასამართლოს დაცვის მხარის მიერ დაყენებულ პროვოკაციის საკითხზე რეაგირება არ მოუხდენია. საბოლოოდ, ლ.ნ.-ს მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, რომელსაც საფუძვლად დაედო შემდეგი მტკიცებულებები: პოლიციის მიერ დაქირავებული აგენტების (კერძო პირების) ჩვენებები და აუდიო-ვიდეო გადაღებები შესაბამისი ე.წ. კრებსებით. სასამართლოს განაჩენში საერთოდ არ უმსჯელია პროვოცირების თაობაზე. განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო წესით, თუმცა პროკურატურასა და ბრალდებულს შორის მომდევნო ეტაპზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

საქმის შეფასება

- მატერიალური ტექსტი

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, ლ.ნ.-ს საქმე შეიძლება

ჩაითვალოს სახელმწიფოს სახელით მოქმედი ფარული აგენტების მხრიდან პროვოცირების კლასიკურ შემთხვევად.

როგორც აღინიშნა კვლევის პირველ ნაწილში, მატერიალური ტესტის საფუძველზე უნდა შემოწმდეს მოქმედებდნენ თუ არა სახელმწიფოს წარმომადგენლები არსებითად პასიურად და ჩაიდნდა თუ არა პირი დანაშაულს მათი ჩარევის გარეშე, ე.ი. ადგილი ჰქონდა თუ არა პროვოკაციას. ამ საკითხის გარკვევის პროცესში მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებების გამოკვლევა და შეფასება: (ა) პირის წინასწარგანწყობა, ანუ ჰქონდათ თუ არა სახელმწიფო ორგანოებს ეჭვის სათანადო საფუძვლები; (ბ) დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელი პირის სტატუსი; (გ) დანაშაულის ჩადენის ინიციატივა; (დ) განმცხადებლის მიმართ გეწოლის გამოყენების ინტენსივობა; (ე) ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა მარეგულირებელი წესები.

(ა) ჰქონდათ თუ არა სახელმწიფო ორგანოებს ეჭვის სათანადო საფუძვლები ლ.ნ.-ს მიმართ

ლ.ნ. ნასამართლობის არმქონე იყო. სხვა გარემოება, რომელიც მიუთითებდა, რომ ლ.ნ. აქტიურად იყო ჩართული დანაშაულის მოსამზადებლად საქმეში არ მოიპოვება.

(ბ) დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელი პირის სტატუსი

ევროპული სასამართლო პროვოცირების აკრძალვის სტანდარტს სრულად ავრცელებს, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლებზე (ოფიციალური ორგანოების თანამშრომლებზე ან ფარულ აგენტებზე), ისე სახელმწიფოს სახელით მოქმედ კერძო პირებზე. საქმის მასალების მიხედვით, ინფორმაცია პოლიციას მიაწოდა კერძო პირმა, რომელმაც შემდეგ სხვა კერძო პირთან ერთად სახელმწიფო ორგანოების ინიცირებულ ფარულ ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებებში მიიღო მონაწილეობა. როგორც შემდეგ გაირკვა, კერძო პირებს, რომლებიც თანამშრომლობდნენ შსს-თან, ამ საქმემდეგ ჰქონდათ მიღებული დაგეგმილ ოპერაციაში მონაწილეობა. სავარაუდოდ, ამ პირებს ამოძრავებდათ გარკვეული ფინანსური დაინტერესება და ასეთი საქმეების „გახსნის“ შედეგად ისინი იღებდნენ ანაზღაურებას.

(გ) დანაშაულის ჩადენის ინიციატივა

დანაშაულებრივ ჯგუფში ლ.ნ.-ს ჩართვის ინიციატივა მოდიოდა სახელმწიფოს სახელით მოქმედი კერძო პირებისგან, რომლებიც ახორციელებდნენ ფსიქოლოგიურ წნეხს ლ.ნ.-ზე. ინიციატივა გამოიხატებოდა შემდეგში: დანაშაულის ჩადენის დაგეგმვის პერიოდშივე, ლ.ნ. იკავებს თავს და გამოთქვამს წინააღმდეგობას, თუმცა დანარჩენი წევრების მხრიდან ისმენს ორი სახის წინადადებებს, პირველი ის, რომ დანაშაულის შედეგად მისი და მისი ახლადშექმნილი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდება, და მეორე - „ძველბიჭურად“ გაურჩევენ საქმეს, რადგან საქმის ბოლომდე მიყვანის წინ ადგილი აქვს ღალატს. ლ.ნ. სხვა წევრებთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდაა და აქვე მოქმედებს ის გარემოება, რომ, მის გარდა, ჯგუფის ყველა წევრი (მათ შორის აგენტებიც) არიან ნასამართლეთ.

(დ) განმცხადებლის მიმართ გეწოლის გამოყენების ინტენსივობა

ლ.ნ.-ს საქმეში სახელმწიფოს მითითებით მოქმედი კერძო პირები პასიურად კი არ ჩაერთნენ დანაშაულის გამოძიების პროცესში, არამედ აქტიური ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინეს ლ.ნ.-ზე, რათა მას ჩაედინა დანაშაული. ფსიქოლოგიური ზემოქმედება და წნეხი გამოიხატა როგორც პირდაპირ მუქარაში ლ.ნ.-ს მიმართ, (არ მიეტოვებინა ჯგუფი, თორემ „საქმეს გაურჩევდნენ“), ისე მატერიალური უზრუნველყოფით პერმანენტულ დაინტერესებაში. ეს პროცესი თვალსაჩინოდ არის ასახული სისხლის სამართლის საქმის მასალებში არსებულ ფარულ ვიდეო-ჩანაწერებში.

(ე) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შეფასება

საქმის მასალებში არ მოიპოვება ინფორმაცია აგენტის მოქმედების მარეგულირებელ დავალებებსა ან აგენტის მიერ გამოყენებულ ხერხებზე. შესაბამისად, შეუძლებელია გადამოწმდეს რა რეგულაციის ფარგლებში მოქმედებდნენ აგენტები, როდესაც ჯერ შესთავაზეს, ხოლო შემდეგ სხვადასხვა ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდის გამოყენებით დაიყოლიეს ლ.ნ. დანაშაულის ჩასადენად.

- საპროცესო ტესტი

საპროცესო ტესტის ფარგლებში გამოკვლეულ უნდა იქნას, ჰქონდა თუ არა ბრალდებულს ეფექტიანი შესაძლებლობა, დაეყენებინა პროვოცირების საკითხი - შუამდგომლობისა თუ სხვა ნებისმიერი ფორმით. ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით, როდესაც ეროვნული სასამართლოს წინაშე პირი აყენებს დანაშაულის პროვოცირების შუამდგომლობას, რაც, თავის მხრივ, არ არის აშკარად დაუსაბუთებელი, დანაშაულის პროვოცირების უარყოფის მტკიცების ტვირთი გადადის ბრალდების მხარეზე.²⁰⁶

ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციაში დადგენილი სტანდარტით, სასამართლომ ამომწურავად უნდა იმსჯელოს პროვოცირების კონტექსტში შემდეგ საკითხებზე:

- საგამოძიებო მოქმედებების საფუძვლები და მათი ჩატარების აუცილებლობა;
- დანაშაულებრივ ქმედებაში სახელმწიფოს წარმომადგენლების ჩართულობის ინტენსივობა და განმცხადებლის მიმართ განხორციელებული წაქეზებისა თუ ზეწოლის ხასიათი.

როგორც აღინიშნა, ლ.ნ.-ს საქმეზე, წინასასამართლო სხდომაზე, პროვოცირებისა და მის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის საკითხი არ დამდგარა. სასამართლოს არსებით სხდომაზე კი დაცვის მხარემ არაერთგზის მიუთითა ლ-ნ-ს მიმართ პროვოცირების არსებობაზე. ამასთან, ეს განაცხადი არ იყო აშკარად დაუსაბუთებელი. პროვოცირების შესაძლო არსებობაზე მიუთითებდა საქმეში არსებული ბრალდების მხარის მტკიცებულებებიც.

სასამართლოებში დამკვიდრებული პრაქტიკა არსებით სხდომაზე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შეზღუდულ შესაძლებლობას აწესებს. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ სსსკ-ის 239-ე მუხლით დადგენილი წესით ახალი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში. მიუხედავად სასამართლოს არსებით სხდომაზე მტკიცებულების დაუშვებლობის საკითხის დაყენების ამ შეზღუდული შესაძლებლობისა, სსსკ-ისა და დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სასამართლოს შეუძლია განაჩენში არ გაიზიაროს ესა თუ ის მტკიცებულება სწორედ დაუშვებლობის საფუძვლით. ასევე, სასამართლოს შეუძლია განაჩენში არ გაიზიაროს მტკიცებულება, რომელიც ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს. როგორც აღინიშნა, ევროპული სასამართლოს იურისპრუდენცია არ ითხოვს პროვოცირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების აუცილებლად დაუშვებლად ცნობას, არამედ მისთვის მისაღებია სხვა ანალოგიური შედეგი. შესაბამისად, ქართული სასამართლოების შესაძლებლობა, არ გაიზიარონ მტკიცებულება განაჩენში მისი დაუშვებლობის ან არაუტყუარობის საფუძვლით, მისაღებ განვითარებად შეიძლება ჩაითვალოს პროვოცირების დადასტურების შემთხვევებში.

ლ.ნ-ს საქმეზე სასამართლოს წინაშე დადგა დანაშაულის პროვოცირების განაცხადი, რომელიც არ იყო აშკარად დაუსაბუთებელი. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო ვალდებული იყო, მხარეთა

²⁰⁶ Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a Fair Trial (Criminal Limb), გვ. 29.



შევიტრებთობისა და თანასწორობის ფარგლებში, პროვოცირების უარყოფის მტკიცების ტვირთი დაეკისრებინა ბრალდების მხარისთვის და სრულყოფილად გამოეკვლია პროვოკაციის დადგენისა ან უარყოფისათვის აუცილებელი გარემოებები, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების საფუძვლები და აუცილებლობა, სახელმწიფოს სახელით მოქმედი პირების ჩართულობის ინტენსივობა და ლ.ნ.-ზე განხორციელებული წნეხისა და ზეწოლის ხასიათი.

პროვოცირების დადგენის შემთხვევაში სასამართლოს უნდა გამოერიცხა ამ გზით მოპოვებული მტკიცებულებები ეროვნული სამართალწარმოებიდან ან დაეყენებინა სხვა ანალოგიური შედეგი.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ლ.ნ.-ს საქმეში, სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია პროვოცირების არსებობაზე, რომლის თაობაზეც დაცვის მხარე და სასამართლო პროცესზე გამოკვლეული ბრალდების მხარის მტკიცებულებები (მათ შორის ფარული ვიდეო-ჩანაწერები) აშკარად მიუთითებდნენ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ლ.ნ.-ს საქმეში ადგილი ჰქონდა პირის პროვოცირებას სახელმწიფოს სახელით მოქმედი პირების მხრიდან. აღნიშნულის შესახებ დაცვის მხარის მიერ გაკეთდა განაცხადი სასამართლოს არსებით სხდომაზე, რაც არ გამოკვლეულა სასამართლოს მიერ.

1.2. ლ.ქ.-ს ბრალდების საქმე (2015 წ. თბილისის საქალაქო სასამართლო)

საქმის აღწერა

ლ.ქ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სსკ-ს 223¹ მუხლით (ქურდული სამყაროს წევრობა). მას ხშირი კომუნიკაცია ჰქონდა ძმასთან, რომელიც სასჯელს იხდიდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში (შემდგომში ს.ა.დ.-ის დაწესებულება). მათი კონტაქტი ხორციელდებოდა როგორც სატელეფონო, ასევე ვიდეო პაემნების მეშვეობით. მათივე თხოვნით, ლ.ქ. ხშირად განათავსებდა ოჯახის ახლობლების, ნათესავების და მეგობრების თანხებს თავისი ძმის საკრედიტო ბარათზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურატურამ დაასკვნა, რომ ლ.ქ. აქტიურად იყო ჩართული ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობაში და დაიწყო მისი თვალთვალი, ასევე, სატელეფონო მოსმენები.

გარკვეულ ეტაპზე, პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება, პოლიციასთან შეთანხმებით, ჩაენერგათ ოპერატიული თანამშრომელი შესაბამისი აღჭურვილობით. ამ უკანასკნელმა რამდენჯერმე დაურეკა ლ.ქ.-ს და საბოლოოდ დაითანხმა შეხვედრაზე. საიდუმლო ოპერაციის გეგმის მიხედვით, ამ შეხვედრაზე ოპერატიულ თანამშრომელს უნდა გადაეცა თანხა ე.წ. „ქურდულ საერთოში“ გადასაცემად.

შეხვედრისას, ლ.ქ.-მ აუხსნა ახალ გაცნობილს, რომ არავითარი შეხება არ ჰქონდა მსგავს „ინსტიტუტთან“ და ვერ გამოართმევდა თანხას. თუმცა, წინასწარ მოფიქრებული ლეგენდით, ოპერატიული თანამშრომლის დაჟინებული არაერთგზის თხოვნით, რომ თანხები გადაეცა „გაჭივრებული“ პატიმრებისთვის, გამოართვა აღნიშნული თანხა. ლ.ქ.-მ თანხის ნაწილი ჩაურიცხა თავის ძმას, მეორე ნაწილი კი გადასცა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ახალგათავისუფლებულ ონკოლოგიური დაავადების მქონე პიროვნებას.

ოპერატიულ თანამშრომელსა და ლ.ქ.-ს შორის საუბარი, აგრეთვე, გადაღებული მასალა საქმეში გამოყენებული იქნა, როგორც მტკიცებულება ლ.ქ.-ს ქურდული სამყაროს წევრობის სამტკიცებლად, ჯერ ბრალდების წარდგენის დროს, ხოლო შემდეგ კი, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას. საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, დაცვის მიერ დაყენებულ იქნა დანაშაულის პროვოცირების

არსებობის შესახებ, რაც საბუთდებოდა ბრალდების მხარის მიერ განხორციელებული ფარული ვიდეო ჩანაწერებით. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ გაამახვილა ყურადღება პროვოცირების საკითხზე და გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლად სხვა მტკიცებულებებთან ერთად გამოიყენა მითითებული ვიდეო მასალა და ოპერატიული თანამშრომლის ჩვენება.

განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო წესით, თუმცა, ძალაში იქნა დატოვებული. საკასაციო ინსტანციამ საჩივარი ცნო დაუშვებლად.

საქმის შეფასება

- მატერიალური ტესტი

ლ.ქ.-ს საქმეც ასევე შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს სახელით მოქმედი ფარული აგენტების მხრიდან დანაშაულის პროვოცირებად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით.

(ა) ჰქონდათ თუ არა სახელმწიფო ორგანოებს ეჭვის სათანადო საფუძვლები ლ.ქ.-ს მიმართ

ერთადერთი ეჭვი, რაც გამოძიებას გააჩნდა იყო ის, რომ ლ.ქ.-ს ძმასთან, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იხდიდა სასჯელს, ჰქონდა აქტიური კავშირი და მისი ძმის მეგობრები, პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ აკითხავდნენ ლ.ქ.-ს. შსს-ს მიზანი იყო აღმოეჩინათ, როგორც ე.წ. „ქურდული საერთო“ (ფულადი თანხა), ასევე ამ თანხის შემნახველი და შენახვის ადგილი. საქმეში არსებული არც ერთი გარემოება არ მიუთითებდა, რომ ამ საქმიანობაში ჩართული იყო ლ.ქ.

(ბ) დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელი პირის სტატუსი

ევროპული სასამართლო პროვოცირების აკრძალვის სტანდარტს სრულად ავრცელებს სახელმწიფოს წარმომადგენლებზე (ოფიციალური ორგანოების თანამშრომლებზე ან ფარულ აგენტებზე). საქმის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ფარული აგენტის ჩართვის მიზანი იყო გავკონტროლებინათ გადაცემული თანხის მოძრაობა, რათა ლ.ქ.-ს მიმართ გაჩენილიყო მტკიცებულება მის მიმართ ბრალის წაყენების მიზნით. ასეც მოხდა - აღნიშნული გარემოება ბრალდების მიერ გამოყენებული იქნა, როგორც ძირითადი მტკიცებულება ლ.ქ.-ს მიმართ.

(გ) დანაშაულის ჩადენის ინიციატივა

ლ.ქ.-სთვის თანხის გადაცემის ინიციატივა მოდიოდა სახელმწიფოს სახელით მოქმედი შსს-ს თანამშრომლებისგან, რომლებიც ახორციელებდნენ ფსიქოლოგიურ წნეხს ლ.ქ.-ზე.

საქმეში არსებული სატელეფონო საუბრების მიხედვით აგენტმა სამჯერ დაურეკა ლ.ქ.-ს შეხვედრის თხოვნით. პირველ და მეორე შემთხვევაში, ლ.ქ. თავს იკავებდა შეხვედრისაგან, თუმცა მესამე ჯერზე დათანხმდა შეხვედრაზე, რადგან, ლეგენდის თანახმად, აგენტმა მას თავი გააცნო როგორც მისი ძმის ახლობლის (რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფებოდა) მეგობარმა. ლ.ქ. შეხვედრაზე დათანხმდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოესმინა, რა სურდა მისგან ამ პიროვნებას.

(დ) ლ.ქ.-ს მიმართ გეწოლის გამოყენების ინტენსივობა

ლ.ქ.-ს საქმეში სახელმწიფოს მითითებით მოქმედი კერძო პირი პასიურად კი არ ჩაერთო დანაშაულის



გამომძიების პროცესში, არამედ აქტიური ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინა ლ.ქ.-ზე, რათა მას აეღო თანხა.

შეხვედრისას (რაც ფარულ ვიდეო ჩანაწერზეა ასახული), ოპერატიული თანამშრომელი სთავაზობს ლ.ქ.-ს თანხას და სთხოვს აღნიშნული თანხის „ქურდულ საერთოში“ გადაცემას, თუმცა, ლ.ქ. არ ართმევს მას ამ თანხას და პასუხობს, რომ მას არანაირი შეხება და ინფორმაცია არ აქვს, თუ ვინ ან სად უნდა მიიტანოს ასეთი თანხა. გადაღებულ ფირზე რამდენჯერმე ისმის ლ.ქ.-ს ხმა, რომ მას არ აქვს შეხება ე.წ. „ქურდულ საერთოსთან და რა შუაშია იგი.“ ფარულ ვიდეო-ჩანაწერში ისმის, თუ როგორი აქტიურია აგენტი და როგორი დაჟინებით სთხოვს იგი ლ.ქ.-ს აღნიშნული მიზნით თანხის აღებას, თუმცა, მაინც იღებს უარს. უარის შემდეგ კი, ფარული თანამშრომელი აგრძელებს თანხის გადაცემის მცდელობას, ცვლის ტაქტიკას და აქცენტს აკეთებს გაჭირვებული პატიმრებისთვის თანხის გადაცემის აუცილებლობაზე. ფარული თანამშრომელი ლ.ქ.-ს დაყოლიებას ახდენს სწორედ გაჭირვებული პატიმრების დახმარების აუცილებლობასა და შესაძლებლობაზე აქცენტირებით.

ე) ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა შეფასება

საქმის მასალებში არ მოიპოვება ინფორმაცია, თუ რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე მოქმედებს ფარული თანამშრომელი და რა სახის ფარულ ღონისძიებას წარმოადგენს მის მიერ ლ.ქ.-სთან ურთიერთობისას გამოყენებული ხერხები.

- საპროცესო ტესტი

წინასასამართლო სხდომაზე, პროვოცირებისა და მის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის საკითხი არ დამდგარა. სასამართლოს არსებით სხდომაზე კი, დაცვის მხარემ არაერთგზის მიუთითა ლ.ქ.-ს მიმართ პროვოცირების არსებობაზე. ამასთან, ეს განაცხადი არ იყო აშკარად დაუსაბუთებელი. პროვოცირების შესაძლო არსებობაზე მიუთითებდა საქმეში არსებული ბრალდების მხარის მტკიცებულებებიც (ვიდეო მასალა, ფარული თანამშრომლის ჩვენება, ბრალდებულის ჩვენება, გამომძიებლის ჩვენება).

ასეთ შემთხვევაში, სასამართლო ვალდებული იყო, მხარეთა შეჭიბრებითობისა და თანასწორობის ფარგლებში, პროვოცირების უარყოფის მტკიცების ტვირთი დაეკისრებინა ბრალდების მხარისთვის და სრულყოფილად გამოეკვლია პროვოცირების დადგენისა ან უარყოფისათვის აუცილებელი გარემოებები, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების საფუძვლები და აუცილებლობა; სახელმწიფოს სახელით მოქმედი პირების ჩართულობის ინტენსივობა და ლ.ქ.-ზე განხორციელებული წნეხისა და ზეწოლის ხასიათი.

პროვოცირების დადგენის შემთხვევაში, სასამართლოს უნდა გამოერიცხა ამ გზით მოპოვებული მტკიცებულებები ეროვნული სამართალწარმოებიდან ან დაეყენებინა სხვა ანალოგიური შედეგი.

ამის საწინააღმდეგოდ, სასამართლოს საერთოდ არ უმსჭვლია პროვოცირების არსებობაზე, რომლის თაობაზეც დაცვის მხარე და სასამართლო პროცესზე გამოკვლეული ბრალდების მხარის მტკიცებულებები (მათ შორის, ფარული ვიდეო-ჩანაწერები) აშკარად მიუთითებდნენ.

1.3. დ.შ.-სა და გ.ე.-ს ბრალდების საქმე (იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო)

საქმის აღწერა

დ.შ.-სა და გ.ე.-ს ბრალი წარედგინათ სსკ-ს 221-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის (კომერციული მოსყიდვა).

ბრალდებულები იყვნენ ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ააიპ-ის (მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი) თანამშრომლები. შსს-ს მიერ სპეციალურად შექმნილი ლეგენდის თანახმად, დ.შ.-ს და გ.ე.-ს დაუკავშირდნენ „ბიზნესმენები“ (რეალურად კი ფარული ოპერატიული თანამშრომლები) და სთხოვეს დახმარება საბავშვო ცენტრის გახსნის საქმეში, რაც შექმნიდა რაიონში გართობისა და დასაქმების ახალ ადგილს. აღნიშნულზე დ.შ.-მ და გ.ე.-მ უარი განაცხადეს. რამდენიმე მცდელობის შემდეგ, „საქმეში“ ჩაერთო სხვა „ბიზნესმენი“ - ინდივიდუალური მენარმე (ასევე ფარული თანამშრომელი), რომელიც თითქოს წარმოადგენდა ქვეკონტრაქტორს, რომელსაც საბავშვო ცენტრის დიზაინის საკითხები ევალეობოდა. ცენტრის გახსნაში დახმარების სანაცვლოდ შეთავაზებული იქნა მატერიალური ანაზღაურება.

სწორედ აღნიშნულმა ინდივიდუალურმა მენარმემ (შემდგომში - ი/მ) საბოლოოდ დაარწმუნა ბრალდებულები საბავშვო ცენტრის გახსნის მიზანშეწონილობაში და წააქეზა ჩაედინათ სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედება - კომერციული მოსყიდვა, კერძოდ, აეღოთ თანხა საბავშვო ცენტრის გახსნის სანაცვლოდ.

ბრალდების მხარემ არ შეიყვანა აღნიშნული ი/მ ბრალდების მხარის მონმეთა სიაში. დაცვის მხარემ დააყენა წინასასამართლო სხდომაზე შუამდგომლობა, რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულის პროვოცირებას და მოითხოვა მონმის, ი/მ - ის სასამართლოში გამოძახება. ბრალდების მხარის კატეგორიული უარის მიუხედავად, სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და ჩართო ეს უკანასკნელი დაცვის მხარის მონმეთა სიაში. მიუხედავად ამისა, წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ არ გამოიკვლია პროვოცირების საკითხი, არ დააკისრა ბრალდების მხარეს დანაშაულის პროვოცირების არარსებობის მტკიცების ტვირთი და არ იმსჯელა პროვოცირებით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობაზე.

ამჟამად საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს არსებითი განხილვის ეტაპზეა, სადაც დაცვის მხარე აპელირებს შსს-სთან მოთანამშრომლე „ბიზნესმენების“ მიერ დანაშაულის ჩადენის პროვოცირების ფაქტზე.

საქმის შეფასება

- მატერიალური ტესტი

მოცემულ საქმეშიც არის გარემოებები, რაც მიუთითებს დ.შ.-ს და გ.ე.-ს მიმართ დანაშაულის პროვოცირების ნიშნებზე ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით.

(ა) პირის წინასწარგანწყობა, ანუ ჰქონდათ თუ არა სახელმწიფო ორგანოებს ეჭვის სათანადო საფუძვლები

აღნიშნულ საქმეში არ მოიპოვება არცერთი მტკიცებულება, რომ საბავშვო ცენტრის გახსნის ინიციატივა ჰქონდათ ბრალდებულებს და ამ საკითხით ისინი გარკვეული ოდენობის უკანონო გასამრჯელოს მიღებას ვარაუდობდნენ. მეტიც, საქმის მასალების მიხედვით, არც სხვა მსგავსი დანაშაულებრივი საქმიანობის ეჭვი არ ჰქონდა სამართალდამცავ ორგანოს. საქმის მასალებში იკვეთება, რომ შს

სამინისტროს ეგიდით მოქმედი პირები პირდაპირ მოქმედებას იწყებენ სამართალდამცავ ორგანოში დამუშავებული ლეგენდით, რომლის თანახმად, ფარული თანამშრომლები სთხოვენ შემდგომში ბრალდებულებს ცენტრის გახსნას.

(ბ) დანაშაულის ჩადენის ინიციატივა

ფარული ოპერაციის ლეგენდა, რომლის თანახმად, თითქოს, უნდა გახსნილიყო საბავშვო ცენტრი, შემუშავდა შსს-ში და აღნიშნული იდეა ფარული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში მიანოდეს ბრალდებულებს. მათი უარის შემდეგ საქმეში ჩაერთო კიდევ ერთი სახელმწიფოს სახელით მოქმედი ფარული აგენტი, ე.წ. „ი/მ“ (რომელსაც ჰქონდა პრაქტიკა ამ ტიპის საქმეებში), თითქოსდა ი/მ იყო ქვეკონტრაქტორი და სწორედ მან, რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, დაიყოლია მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომლები დანაშაულის ჩასადენად.

(გ) განმცხადებლის მიმართ ზეწოლის გამოყენების ინტენსივობა

თავდაპირველად, ბრალდებულთან რამდენიმე შეხვედრა ჰქონდათ პირველი შპს-ს წარმომადგენლებს, რომლებიც, როგორც აღინიშნა, სამართალდამცავი ორგანოს მიერ შემუშავებული ლეგენდით მოქმედებდნენ. მათ თანამშრომლებს შესთავაზეს, გაეხსნათ საბავშვო ცენტრი თანხის გადაცემის სანაცვლოდ, რაზედაც მიიღეს მტკიცე უარი. შემდეგ ბრალდებულებთან რამდენიმე შეხვედრა გამართა სხვა ფარულმა თანამშრომელმა (ლეგენდის მიხედვით, თავდაპირველი კომპანიის ქვეკონტრაქტორი ი/მწარმე) და მისი დაჟინებული მოთხოვნით, რომ უკვე მომზადებულია ახალი საბავშვო ცენტრის მორთულობები და გაწეული აქვს საამისო ხარჯები, მოხდა პირების დაყოლიება. უფრო კონკრეტულად, ამ უკანასკნელმა სიტუაცია აღწერა შემდეგნაირად - თითქოს იყო დიზაინერი და ჰქონდა ხელშეკრულება თავდაპირველ ბიზნესმენებთან საბავშვო ცენტრის დიზაინის მოწყობის მიზნით, გაწეული ჰქონდა ხარჯები და თუ ცენტრი არ შეიქმნებოდა, „დაიღუპებოდა“ და მძიმე ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდა. სიტუაციის ამგვარი წარმოჩენით, მან მოახერხა ცენტრის თანამშრომლების დაყოლიება ცენტრის გახსნისა და სარგებლის მიღებაზე. აღსანიშნავია, რომ არც ერთი სატელეფონო ზარი ან შეხვედრის ინიციატივა არ მოდიოდა ბრალდებულების მხრიდან.

(დ) ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა მარეგულირებელი ნესები

ლეგენდების შექმნისა და ფარული თანამშრომლების მოქმედებების მარეგულირებელი ნორმების შესახებ მითითება საქმის მასალებში არ არის. ამიტომ, შეუძლებელია გადამოწმდეს, შსს-ს მიერ შემუშავებული ოპერაციისა და ლეგენდის დეტალები, მათში ჩართული პირების უფლებამოსილებები და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები, რაზედაც მიუთითებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი დანაშაულის პროვოცირების საქმეებზე.

- საპროცესო ტექსტი

წინასასამართლო სხდომაზე, დაცვის მხარემ წარადგინა პროვოცირების განაცხადი, კერძოდ, შუამდგომლობა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მოთხოვნით, სადაც დაცვის მხარემ იმსჯელა პროვოცირებისა და ფარული თანამშრომლის მიერ დანაშაულის პროვოცირებით მოპოვებული მტკიცებულებების არსებობის შესახებ. შუამდგომლობა არ იყო აშკარად დაუსაბუთებელი.

შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო, მხარეთა შეჭიბრებითობისა და თანასწორობის

ფარგლებში, პროვოცირების უარყოფის მტკიცების ტვირთი დაეკისრებინა ბრალდების მხარისთვის და სრულყოფილად გამოეკვლია პროვოცირების დადგენისა ან უარყოფისათვის აუცილებელი გარემოებები, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების საფუძვლები და აუცილებლობა, სახელმწიფოს სახელით მოქმედი პირების ჩართულობის ინტენსივობა და განხორციელებული წნეხისა და ზეწოლის ხასიათი.

პროვოცირების დადგენის შემთხვევაში, სასამართლოს უნდა გამოერიცხა ამ გზით მოპოვებული მტკიცებულებები ეროვნული სამართალწარმოებიდან ან დაეყენებინა სხვა ანალოგიური შედეგი.

აღნიშნულ საქმეში, მოსამართლეს არ უმსჯელია პროვოცირების არსებობაზე, რომლის თაობაზე დაცვის მხარე მიუთითებდა.

ამჟამად, საქმე არსებითი განხილვის პროცესშია. დაცვის მხარის მიერ დაგეგმილია დანაშაულის პროვოცირების საკითხის გამოკვეთა.

1.4. ო.გ.-ს ბრალდების საქმე (რუსთავის საქალაქო სასამართლო, 2015 წელი)

საქმის აღწერა

ო.გ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სსკ-ს 221-ე მუხლით (კომერციული მოსყიდვა).

საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში, ძალოვან დანაყოფში დაგეგმილი ოპერაციის ფარგლებში შემუშავდა ლეგენდა, რომლის მთავარ განმახორციელებელს წარმოადგენდა ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრირებული მოქალაქე. ოპერაცია მიმართული იყო აღნიშნული რეგიონის მუნიციპალიტეტის ააიპ-ის სამსახურის (ერთ-ერთი კომუნალური სამსახური) უფროსის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის ინიცირებისათვის. ლეგენდის თანახმად, კერძო პირს, თითქოს ინდივიდუალურ მენარმეს, უნდა დაეთანხმებინა სამსახურის უფროსი ხელშეკრულების გარეშე მომსახურებაზე. ამ მიზნით, იგი დაუკავშირდა ო.გ.-ს მოადგილეს და დაამყარა მასთან ნაცნობობა. აგენტს დასჭირდა რამდენიმე შეხვედრის მოწყობა, რათა მოადგილის კეთილგანწყობა და ნდობა მოეპოვებინა.

საბოლოოდ, როდესაც „ახლობლობა“ შედგა, აგენტმა სთხოვა სამსახურის უფროსის მოადგილეს სამსახურის კუთვნილი მანქანის გამოყენების ნებართვა ბილბორდის მონტაჟისთვის. ამ შეთავაზებაზე სამსახურის უფროსის მოადგილემ განუცხადა, რომ ამ საკითხს მოაგვარებდა უფროსთან. აღსანიშნავია, რომ შერჩეული იქნა ისეთი დრო, როდესაც სამსახურის უფროსის მოადგილეს ძალიან უჭირდა მატერიალურად. აგენტმა კი თავად შესთავაზა, რომ გადაიხდიდა მანქანის ქირას ხელშეკრულების გარეშე.

შესაბამისად, ფარული თანამშრომლის ინიციატივითა და უკვე ნაქმრებული მოადგილის დახმარებით, შედგა ფარული თანამშრომლის შეხვედრა სამსახურის უფროსთან. შეხვედრაზე შეთანხმდა მანქანის გაქირავების შესაძლებლობა და ხანგრძლივობა. საუბარი შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა, ავტომანქანით სარგებლობის ვადა, მძღოლის საჭიროება, სად უნდა მომხდარიყო ავტომანქანის სანვავით უზრუნველყოფა და ა.შ.

მომდევნო დღეებში აგენტმა ავტომანქანის ქირის თანხა გადასცა სამსახურის უფროსის მოადგილეს ხელშეკრულების გარეშე. ორივე პირი - სამსახურის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე დაკავებულ იქნა.



დაცვის მხარის განმარტებით, საქმეზე გამოვლინდა დანაშაულის პროვოცირება სახელმწიფოს სახელით მოქმედი კერძო პირის მხრიდან. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული ფარული თანამშრომელი დაფიქსირებულია საქართველოში წარმოებულ არაერთ სისხლის სამართლის საქმეში. ეს გარემოება დაცვის მხარის მიერ მიეთითა ბრალდების მხარეს გამოძიების ეტაპზე, თუმცა რეაგირებას ადგილი არ ჰქონია.

ბრალდების მხარემ, პროვოცირებასთან დაკავშირებით, დაცვის პოზიციების გაგების შემდგომ, შესთავაზა ბრალდებულს საპროცესო შეთანხმება, რაზედაც ბრალდებული დათანხმდა. შესაბამისად, წინასასამართლო სხდომაზე სასამართლომ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება პროკურატურასა და ბრალდებულს შორის.

საქმის შეფასება

- მატერიალური ტექსტი

(ა) პირის წინასწარგანწყობა, ანუ ჰქონდათ თუ არა სახელმწიფო ორგანოებს ეჭვის სათანადო საფუძვლები

საქმეში არ მოიპოვება რაიმე ინფორმაცია, რომ ო.გ. გეგმავდა დანაშაულის ჩადენას. ბრალდების მხარის მტკიცებულებას წარმოადგენდა მხოლოდ ფარული თანამშრომლის ჩვენება, რომელმაც განმარტა, რომ სამსახურის უფროსის მოადგილემ მას შესთავაზა მანქანის გაქირავება ხელშეკრულების გარეშე. თუმცა, ბრალდებულების ჩვენების თანახმად მოხდა პირიქით და ფარულმა თანამშრომელმა შესთავაზა მას აღნიშნული. ამასთან, საქმის მასალებში, სამსახურის უფროსის ინიციატივაზე საერთოდ არ არის რაიმე ინფორმაცია. არსებობს მხოლოდ ფარული გადაღება, სადაც არკვევენ მანქანის გამოყენების დეტალებს. შესაბამისად, ეს მტკიცებულება ეხება უკვე იმ დროს, როდესაც სამსახურის უფროსი დათანხმდა ფარული თანამშრომლის შემოთავაზებას.

(ბ) დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელი პირის სტატუსი

დანაშაულის თაობაზე გამოძიებას აცნობა კერძო პირმა და მანვე მიიღო მონაწილეობა ფარულ ღონისძიებაში სამსახურის უფროსის და მისი მოადგილის მიმართ. შესაბამისად, ეს პირი ჩაითვლება დანაშაულის პროვოცირების სუბიექტად ევროპული სტანდარტების შესაბამისად. დაცვის მხარემ გაარკვია, რომ, ამ საქმის გარდა, ეს პირი ჩართულია ან მონაწილეობას იღებდა რამდენიმე სხვა სისხლის სამართლის საქმეში, სადაც, დაცვის მხარის მტკიცებით, მისი მხრიდან ასევე დანაშაულის პროვოცირებას ჰქონდა ადგილი.

(გ) დანაშაულის ჩადენის ინიციატივა

ინიციატივა მომდინარეობდა კერძო პირის მხრიდან, რომელიც თანამშრომლობდა გამოძიებასთან. სამართალდამცავი ორგანოს მიერ შექმნილი იყო ლეგენდა, რომლის განხორციელებაში ჩართული იყო ინდ.მენარმედ რეგისტრირებული კერძო პირი. ამ პირმა სამართალდამცავ ორგანოში შემუშავებული ლეგენდის თანახმად დაიწყო მოქმედება, რაც მიზნად ისახავდა სამსახურის უფროსისა და მისი მოადგილის დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად.

(დ) განმცხადებლის მიმართ გენოლის გამოყენების ინტენსივობა

ფარული თანამშრომლის მიერ მოწყობილი იქნა რამდენიმე შეხვედრა სამსახურის უფროსის მოადგილესთან, მოხდა ჯერ მასთან დაახლოება და მისი დაყოლიება. ფარულმა თანამშრომელმა

თავი გააცნო ბიზნესმენად და დაარწმუნა, რომ სტირდებოდა სპეციალური მანქანა, რომლითაც ბილბორდზე განათავსებდა რეკლამას. ხოლო, შემდეგ მოადგილე იქნა გამოყენებული, რათა შემდგარიყო შეხვედრა სამსახურის უფროს ო.გ.-სთან. ფარული თანამშრომლის მიერ გამოყენებული იქნა ის დრო, როდესაც სამსახურის უფროსის მოადგილეს ძალიან უჭირდა მატერიალურად. საქმეში არ მოიპოვება მასალა, რომლითაც დასტურდება აღნიშნული მატერიალური გაჭირვება, თუმცა ბრალდებულების ჩვენების ანალიზით ირკვევა, რომ მოადგილეს ჰქონდა დიდი სესხი აღებული ბანკში, ფარულმა თანამშრომელმა იცოდა ამის შესახებ და სწორედ სესხის დაფარვის პერიოდში მოხდა თანხის შეთავაზება აგენტის მიერ.

(ე) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შეფასება

ფარული ვიდეო გადაღების, როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედების დაკანონება მოხდა სსსკ-ით გათვალისწინებული წესით, თუმცა ფარული თანამშრომლის მიერ ლეგენდის განხორციელების დეტალები, შეხვედრების ორგანიზება, თანხის შეთავაზება და გადაცემა რა ღონისძიებისა და რეგულირების ფარგლებში მოხდა, ეს საქმიდან არ ჩანს. ამიტომ, შეუძლებელია გადამოწმდეს, შსს-ს მიერ შემუშავებული ოპერაცია თუ ლეგენდის დეტალები, მათში ჩართული პირების უფლებამოსილებები და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.

- საპროცესო ტესტი

როგორც აღინიშნა, გამოძიების მიმდინარეობისას დაცვის მხარემ განაცხადა, რომ საიდუმლო თანამშრომელი მიაჩნდა პროვოკატორად, რომელსაც არაერთ საქმეში მიუღია მსგავსი მონაწილეობა და პროვოცირების თაობაზე აპირებდა წინასასამართლო სხდომაზე პოზიციის აგებას. დაცვის მხარის მოსაზრებით, სწორედ ამიტომ შესთავაზა ბრალდების მხარემ ბრალდებულს საპროცესო შეთანხმება, რომელიც წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ იქნა დამტკიცებული.

1.5. თ.ბ.-ს ბრალდების საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო 2015-20165.)

საქმის აღწერა

თ.ბ.-ს ბრალი წარედგინა სსკ-ს 338-ე მუხლით (ქრთამის აღება) გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

თ.ბ. მუშაობდა საჯარო რეესტრის სააგენტოში ქ. სიღნაღში. მას დაუკავშირდა პიროვნება, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, წარმოადგენდა ფარულ ოპერაციაში ჩართულ კერძო პირს. აღნიშნული პიროვნება დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ცდილობდა დაახლოებოდა საჯარო მოხელეს, რომელსაც თავი გააცნო ბიზნესმენად. მათ შორის გარკვეული პერიოდის შემდეგ კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა, რა დროსაც ფარულ თანამშრომელს თანხაც გადაუცია სესხად მოხელისთვის. ფარულმა თანამშრომელმა არაერთხელ შესთავაზა დაეტოვებინა მოხელეს საჯარო სამსახური, მოხელის ცოდნისა და გამოცდილების ბიზნესში გამოყენების მიზნით. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს „ახლობლობა“ იყო დაგეგმილი სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

დაახლოებით ერთი წლის მანძილზე გრძელდებოდა აღნიშნული ურთიერთობა. ამის შემდეგ, ფარული თანამშრომელი უკავშირდება თ.ბ.-ს და სთხოვს დახმარებას გარკვეული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. პირველ ეტაპზე, თ.ბ.-მ კონსულტაცია გაუწია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყოველგვარი სარგებლის გარეშე, შემდეგ კი შეპირდა დახმარებას იმ საბუთების მომზადებაში, რაც მის უფლება-მოვალეობაში შედიოდა.



ფარულმა თანამშრომელმა წინასწარ შესთავაზა თ.ბ.-ს საჩუქრის სახით თანხა, რაზეც მოხელემ უარი განაცხადა. აღსანიშნავია, რომ თ.ბ. წარსულში არ ყოფილა შემჩნეული ქრთამის ან და რაიმე საჩუქრის მოთხოვნაში თავის სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, რამდენჯერმე უარის გაცხადების შემდეგ, მოხელემ მაინც აიღო საჩუქრის სახით ფულადი თანხა. ეს პროცესი გადაღებულ იქნა სპეციალურად დამონტაჟებული ვიდეო-აღჭურვილობით ფარული თანამშრომლის მიერ, რაც წარმოადგენდა ბრალდების მხარის მტკიცებულებას.

ამჟამად საქმე დამთავრებულია. საქმის არსებით სხდომაზე ბრალდებულთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების დადების გამო, პროვოცირების თემაზე დაცვის მხარეს არ გაუმახვილებია სასამართლოში ყურადღება.

საქმის შეფასება

- მატერიალური ტესტი

თ.ბ.-ს საქმეზეც არსებობს დანაშაულის პროვოცირების ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით.

(ა) პირის წინასწარგანწყობა, ანუ ჰქონდათ თუ არა სახელმწიფო ორგანოებს ეჭვის სათანადო საფუძვლები

აღნიშნულის დასასაბუთებლად საქმეში წარმოდგენილი არ იყო არცერთი გარემოება თუ ინფორმაცია. ბრალდების მხარე არ ასაბუთებდა (როგორც ჩანს, ასეთის არარსებობის გამო) ბრალდებულის წინასწარ განწყობას დანაშაულის ჩასადენად.

(ბ) დანაშაულის ჩადენის ინიციატივა

წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ნაქმეზე მოხდა ფარული თანამშრომლის მიერ. ის არაერთხელ დაუკავშირდა ბრალდებულს, ჯერ ვერ დაითანხმა და გამოიყენა სხვადასხვა ხერხი დანაშაულის ჩადენის წასაქმებლად.

(გ) განმცხადებლის მიმართ ზეწოლის გამოყენების ინტენსივობა

როგორც აღინიშნა, ბევრი შეხვედრის შემდეგ, რა დროსაც ბრალდებული უარს აცხადებდა გარკვეული სამსახურის სანაცვლოდ უკანონო ანაზღაურების მიღებაზე, ფარული თანამშრომლის მიერ აქცენტი გაკეთდა შემდეგზე: „მილიონი უნდა ჩადოს ინვესტორმა ამ მიწაზე და შენ თუ არა სხვა მაინც გააკეთებს, თანაც საქმის გამკეთებლის სახელსაც დაიმკვიდრებს შენგან განსხვავებით.“ აღსანიშნავია, რომ თანხის შეთავაზებას წინ უძღოდა მოხელესთან დაახლოების ხანგრძლივი პროცესი, ანუ დანაშაულის ჩადენისთვის ხელსაყრელი გარემოს განზრახ შექმნა.

(დ) ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა მარეგულირებელი წესები

ფარული ვიდეო-გადაღების, როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედების დაკანონება მოხდა სსსკ-ით გათვალისწინებული წესით, თუმცა ფარული თანამშრომლის მიერ ლეგენდის განხორციელების დეტალები, შეხვედრების ორგანიზება, თანხის შეთავაზება და გადაცემა რა ღონისძიებისა და სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში მოხდა, საქმიდან არ ჩანს. ამიტომ, შეუძლებელია,

გადამოწმდეს, შსს-ს მიერ შემუშავებული ოპერაციისა თუ ლეგენდის დეტალები, მათში ჩართული პირების უფლებამოსილებები და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.

- საპროცესო ტესტი

წინასასამართლო სხდომაზე, პროვოცირების საკითხი არ დამდგარა. მოცემულ საქმეში ბრალდებულთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება არსებით სხდომაზე, სადაც პროვოცირების საკითხი არ დასმულა.

1.6. თ.ნ.-სა და ნ.ნ.-ს ბრალდების საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, 2016 წ.)

საქმის აღწერა

თ.ნ.-ს და ნ.ნ.-ს ბრალი წარედგინა სსკ-ს 338-ე მუხლით (ქრთამის აღება) გათვალისწინებული დანაშაულისთვის.

თ.ნ. და ნ.ნ. სამსახურებრივ უფლება-მოვალეობებს ასრულებდნენ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ვალეს საბაჟო-გამშვებ პუნქტზე. საქმის მასალების მიხედვით, სამართალდამცავი ორგანოების მიერ შეიქმნა ლეგენდა, რომლის თანახმად, თითქოს გარკვეულ მოქალაქეთა ჯგუფს სურდათ საქართველოს საზღვარზე დიდი ოდენობით ოქროს გადმოტანა საბაჟო წესების დარღვევით.

ლეგენდის პირობების შესაქმნელად, თ.ნ.-ს, საერთო ნაცნობების მეშვეობით, არაერთხელ დაუკავშირდა შსს-სთან მოთანამშრომლე კერძო პირი და სთხოვა შეხვედრა. თ.ნ. შეხვედრაზე არ თანხმდებოდა.

შეხვედრის ორგანიზების არაერთი მცდელობის მიუხედავად, შეხვედრა არ შედგა თ.ნ.-სა და ნ.ნ.-ს კატეგორიული უარის გამო. ამის შემდეგ, ფარული თანამშრომლები უახლოვდებიან ამ პირების ნათესავებს და მათთან აწარმოებენ ოქროს გადმოტანასთან დაკავშირებით მოლაპარაკებას და ითხოვენ შუამავლობას თ.ნ.-სთან. ამასთან, სთავაზობენ გარკვეულ თანხას მებაჟეებისთვის გადასაცემად. ნათესავები შეპირდნენ დახმარებას და თანხის მებაჟეებისათვის გადაცემას, თუმცა, საქმის მასალების მიხედვით, ნათესავებმა აღნიშნული თანხა ვერ გადასცეს, რამდენადაც მებაჟეებმა კონტრაბანდული ოქროს გადმოტანაში ხელშეწყობაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. აღნიშნული დაადასტურეს სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაკითხულმა ნათესავებმა.

საბოლოოდ, ფარულმა თანამშრომლებმა თ.ნ. ნახეს მისი ნათესავის ქორწილში და იქ ნასვამ მდგომარეობაში მყოფთან გადაიღეს ვიდეო და ფოტოსურათები. ვიდეო-ჩანაწერის დართვა მოხდა ბრალდების მტკიცებულებად, თუმცა ვიდეო-ჩანაწერის შინაარსის გაშიფვრა ვერ მოხერხდა ხმაურის გამო. ფარული თანამშრომლები აცხადებდნენ, რომ სწორედ ამ დროს მოხდა შეთანხმება კონტრაბანდული საქონლის გადმოტანაზე.

დაკავების შემდეგ, მებაჟეებს ბრალი წაუყენეს სამოხელეო დანაშაულის ჩადენაში. ბრალს საფუძვლად დაედო სწორედ ის ვიდეო, რომელიც გადაღებული იყო ახლობლების ქორწილში, აგრეთვე, მოწმეების (ფარული თანამშრომლების) ჩვენებები, რომ თანხა მათ გადასცეს შუამავლებს (მოხელეების ნათესავებს).



წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობაზე, თუმცა არა დანაშაულის პროვოცირების საფუძველით. არსებითი განხილვის დროს, დაცვის მხარის მიერ არაერთხელ გახმოვანდა პროვოცირების საკითხი, თუმცა სასამართლოს რეაგირება არ მოუხდენია დაცვის დასაბუთებულ შუამდგომლობაზე და არ გამოუკვლევია ეს საკითხი.

საბოლოოდ, საქმე თ.ნ.-სა და ნ.ნ.-ს მიმართ დამთავრდა საპროცესო შეთანხმებით არსებით სხდომაზე.

საქმის შეფასება

- მატერიალური ტესტი

(ა) პირის წინასწარგანწყობა, ანუ ჰქონდათ თუ არა სახელმწიფო ორგანოებს ეჭვის სათანადო საფუძვლები

საქმის მასალების მიხედვით, არ არსებობდა ინფორმაცია, რომ მოხელეს გააჩნდა განზრახვა ან სხვა სახის ინიციატივა მსგავსი დანაშაულის ჩასადენად.

(ბ) დანაშაულის ჩადენის ინიციატივა

დანაშაულის ჩადენის - აკრძალული საქონლის საბაჟო კონტროლისგან თავის არიდებისა და ამისთვის ქრთამის გადახდის ინიციატივა მოდიოდა ფარული თანამშრომლების მხრიდან და წყდებოდა ე.წ შუამავლების (მებაჟეების ნათესავების) ეტაპზე. შუამავლებმა, თავიანთი ჩვენებებითვე დაადსტურეს, რომ მებაჟეები არ დათანხმდნენ დანაშაულის ჩადენაზე და ფარული თანამშრომლების მიერ გადაცემული თანხა თავად გაინაწილეს.

(გ) მოხელეზე ზეწოლის გამოყენების ინტენსივობა

ადგილი ჰქონდა მრავალჯერად მცდელობებს შეხვედრების მოსაწყობად, რათა პირდაპირ და არა შუამავლების მეშვეობით შეეთავაზებინათ ფულადი ანაზღაურება, რომელზეც მებაჟეები არ თანხმდებოდნენ. ხოლო ქორწილში შეხვედრისას, დაცვის მხარის მიხედვით, საერთოდ არ ყოფილა საუბარი რაიმე უკანონო შეთანხმებაზე, მათ შორის ფულად ანაზღაურებაზე უკანონობის ხელშეწყობის სანაცვლოდ და ფარულმა თანამშრომლებმა უბრალოდ ვიდეო გადაიღეს მოხელესთან. აღნიშნულ ვიდეოში არაფერი ისმის ხმამაღალი მუსიკის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ფარული თანამშრომლები აცხადებდნენ, რომ სწორედ აქ მოხდა შეთანხმება, მათი ეს განცხადება საეჭვოა საქმის სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში შეფასებისას. განსაკუთრებით საეჭვოა იკვეთება სასამართლოზე დაკითხული მებაჟეების ნათესავების ჩვენებების გათვალისწინებით. მათ განმარტეს, რომ თანხა ნამდვილად მიიღეს, თუმცა მოხელეებთან არ მიიტანეს, რადგან ამ უკანასკნელებმა უარი განაცხადეს უკანონობის ჩადენაზე.

(დ) ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა მარეგულირებელი წესები

ფარული გადაღება მიმდინარეობდა სასამართლოს ნებართვით, თუმცა ფარული თანამშრომლების სხვა მოქმედებები - ე.წ. შუამავლებზე თანხის გადაცემა, მათთან შეხვედრები, ლეგენდის ფარგლებში სხვა დეტალები, ხორციელდებოდა ყოველგვარი რეგულირების გარეშე (ან რეგულაციებით, რაც საქმის მასალებში არ ასახულა). მხოლოდ საიდუმლო ინსტრუქციები (შესაძლებელია, ფარული თანამშრომლები ასეთი ინსტრუქციების საფუძველზე მოქმედებდნენ) კი, როგორც აღინიშნა, არ არის საკმარისი, ევროპული სტანდარტის თანახმად პროვოცირების განაცხადის გადამოწმების პროცესში.

- საპროცესო ტესტი

არსებითსხდომაზე, დაცვის მიერ მოწმეთა დაკითხვისა და წერილობითი მტკიცებულების გამოკვლევის შედეგად, გამოიკვეთა პროვოცირების საკითხი, თუმცა არსებითი სხდომის მოსამართლეს არ უმსჯელია აღნიშნულზე, არ მოუთხოვია ბრალდების მხარისათვის ეტვირთა პროვოცირების უარყოფის მტკიცების ტვირთი. მეტიც, დაცვის მხარის განმარტებით, მოსამართლემ წინასწარ დააფიქსირა აზრი მოსალოდნელი გამამტყუნებელი განაჩენის თაობაზე, რითიც განაპირობა ბრალდებულების თანხმობა პროკურატურისგან შეთავაზებულ საპროცესო შეთანხმებაზე.

1.7. ა.გ.-ს ბრალდების საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, 2016 წ.)

საქმის აღწერა

ა.გ.-ს ბრალი წარედგინა სსკ-ს 338-ე მუხლით (ქრთამის აღება) გათვალისწინებული დანაშაულისთვის.

ა.გ. იყო საბაჟო სამსახურის თანამშრომელი და ასრულებდა თავის მოვალეობას საქართველო-თურქეთის საზღვარზე, სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე. ერთ-ერთი სამართალდამცავი ორგანოს გეგმითა და დამუშავებული ლეგენდით, შეიქმნა რამდენიმე პირისგან შემდგარი ჯგუფი, რომელსაც თითქოს საზღვარზე უნდოდა გადმოეტანათ აკრძალული ნივთები დეკლარირების გარეშე.

აღნიშნული მიზნით, ერთ-ერთი პირი (ფარული თანამშრომელი) ცდილობდა კონტაქტში შესვლას ა.გ.-სთან, თუმცა ვერ მოახერხა მასთან დაახლოება. აღნიშნულზე საუბრობს ფარული თანამშრომელი მოწმის სახით დაკითხვისას სასამართლოში. ციტატა მისი ჩვენებიდან: „ვერ გავედი პირდაპირ ურთიერთობებზე, ობიექტი რთული იყო. ამიტომაც გავედი ობიექტის ახლობლებზე.“ შესაბამისად, ჯგუფის წევრებმა გადაწყვიტეს მოხელეს ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან დაკავშირება და ახლო ურთიერთობის აგება მათთან. აღნიშნული პროცესი გრძელდებოდა დაახლოებით სამი თვის განმავლობაში. ამ პერიოდში, ცდილობდნენ შეესწავლათ ა.გ.-ს „სუსტი ადგილები“, მათ შორის მისი მატერიალური მდგომარეობა და ა.შ.

შეხვედრის თხოვნაზე რამდენჯერმე უარის მიღების შემდეგ, მოხელესთან შეხვედრა მოხერხდა არაფორმალურ გარემოში, სწორედ მისი საახლოლო წრის მეშვეობით. ერთ-ერთი ფარული თანამშრომელი აღჭურვილი იყო სპეციალური აპარატურით და ახორციელებდა ვიდეო გადაღებას. უკანასკნელი შეხვედრის ამსახველ ვიდეო-კადრში ისმის ფარული თანამშრომლის წინადადება: „ხომ იცი რა პრობლემა გვაქვს?“ რაზეც ა.გ.-ს პასუხია: „პრობლემა არ იქნება.“ ეს არის ბრალდების მხარის ძირითადი მტკიცებულება. ასევე, ბრალდების მხარემ გამოიყენა ფარული თანამშრომლების ჩვენებები, რომლითაც ახსნილია, თუ რა პრობლემაზეა საუბარი ჩანაწერში.

დაცვის მხარემ გამოკითხა მოხელის ახლო გარემოცვა და ოჯახის წევრები, რომლებთანაც ფარულ თანამშრომლებს ჰქონდათ ურთიერთობა. სასამართლოსთვის წარდგენილი გამოკითხვის ოქმებიდან, იკვეთება, რომ აგენტი დაახლოებით სამი თვის განმავლობაში ცდილობდა შესულიყო კონტაქტში მოხელესთან, დაეყოლიებინა იგი და აქეზებდა მეგობრების მეშვეობით დანაშაულის ჩასადენად.

წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ამგვარი მეთოდით მოპოვებული მტკიცებულებების, როგორც პროვოცირებით მოპოვებულის, დაუშვებლად ცნობის შესახებ.



აღსანიშნავია, რომ, შუამდგომლობაზე მოსაზრების გამოთქმისას, ბრალდების მხარემ უპასუხა, რომ ასეთი მეთოდი მიღებული წესია და ეს არ არის კანონდარღვევა, მთავარია ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული. სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის შუამდგომლობა და განჩინებით ბრალდების ყველა მტკიცებულება ცნო დასაშვებად. საგულისხმოა, რომ პროვოცირების საკითხზე სასამართლოს განჩინებით საერთოდ არ უმსჯელია.

საქმის არსებით სხდომაზე განხილვისას გამოიკვეთა, რომ ფარული თანამშრომლების მხრიდან ნამდვილად ადგილი ჰქონდა მოხელის ოჯახის წევრებთან წინასწარ დაახლოებასა და სხვადასხვა ინიციატივებს, რათა მოხელე ჩაებათ დანაშაულში. მოწმეთა ჩვენებებით, აგენტის მოქმედება იყო ძალზედ აქტიური, თუმცა ბრალდების მხარემ შესთავაზა ბრალდებულს საპროცესო შეთანხმება, რაზეც ბრალდებული დათანხმდა.

საქმის შეფასება

- მატერიალური ტესტი

(ა) პირის წინასწარგანწყობა, ანუ ჰქონდა თუ არა სახელმწიფო ორგანოებს ეჭვის სათანადო საფუძვლები

საქმის მასალებში არ არის მტკიცებულება, რომ ბრალდების მხარეს ჰქონდა ეჭვი ან რაიმე ინფორმაცია მოხელის დანაშაულებრივი განზრახვის არსებობის შესახებ.

(ბ) დანაშაულის ჩადენის ინიციატივა

ლევენდის შექმნა და მრავალჯერადი ინიციატივა მომდინარეობდა სახელმწიფოს სამართადაცავი ორგანოებისა და მათი ფარული თანამშრომლების მხრიდან, თავდაპირველად უშუალოდ მოხელესთან შეხვედრების მოსაწყობად, შემდეგ კი, ამ პროცესში, მოხელის საახლოებლო წრის მეშვეობით. დაცვის მხარეს გააჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მთელი ამ პროცესის ფარული ჩანერა ხდებოდა, თუმცა იქ ბრალდების მხარისთვის არასასარგებლო ინფორმაცია იქნებოდა დაფიქსირებული.

(გ) განმცხადებლის მიმართ განხორციელებული ზეწოლის ინტენსივობა

როგორც აღინიშნა, მრავალჯერადი მცდელობების მიუხედავად, ფარულმა თანამშრომლებმა თავდაპირველად ვერ შესძლეს შეხვედრა მოხელესთან, რომელიც არაოფიციალურ შეხვედრებზე უარს ამბობდა. საბოლოოდ კი, არაფორმალურ ვითარებაში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მოხელე ამბობს სიტყვებს („პრობლემა არ იქნება“), რაც ბრალდების მხარეს გამოყენებული აქვს ბრალის დამადასტურებელ მტკიცებულებებში. აღნიშნულ ვიდეოფირში ისმის ფარული თანამშრომლის ხმა, „ხომ იცი რა პრობლემაც გვაქვს,“ თუმცა ამ „პრობლემების“ თაობაზე საკითხი იშლება მხოლოდ ფარული თანამშრომლების დაკითხვისას. აღსანიშნავია, რომ ფარულმა თანამშრომლებმა დიდი ძალისხმევა გასწიეს მოხელის ნდობის მოსაპოვებლად და ამ პროცესში აქტიურად მოქმედებდნენ მოხელის ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან დასაახლოებლად.

(დ) ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა მარეგულირებელი წესები

ფარული გადაღება მიმდინარეობდა სასამართლოს ნებართვით, თუმცა ფარული თანამშრომლების სხვა მოქმედებები - მოხელესთან ურთიერთობის მცდელობები, მოხელის ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან დაახლოების პროცესი, მათთან შეხვედრები, ლევენდის ფარგლებში მნიშვნელოვანი სხვა დეტალები ხორციელდებოდა ყოველგვარი რეგულირების გარეშე ან რეგულაციებით, რაც

საქმის მასალებში არ ასახულა. ორივე შემთხვევა მიუღებელია ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით.

- საპროცესო ტესტი

წინასასამართლო სხდომაზე, დაცვის მხარემ დააყენა საკითხი პროვოცირების არსებობაზე და ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობაზე. სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა, არ გაამახვილა ყურადღება პროვოცირების საკითხზე და არ დააკისრა ბრალდების მხარეს პროვოცირების უარყოფის მტკიცების ტვირთი. სასამართლომ დასაშვებ მტკიცებულებად ცნო ბრალდების მხარის ყველა მტკიცებულება. დაცვის მხარის შუამდგომლობაზე საპასუხოდ, პროკურორმა გააჟღერა აზრი, რომ სამართალდამცავი ორგანოები ასეთი მეთოდებით მუშაობენ და სხვა მეთოდი ჯერ შემუშავებული არ არის.

საბოლოოდ, საქმის განხილვა დამთავრდა არსებით სხდომაზე პროკურატურასა და ბრალდებულს შორის საპროცესო შეთანხმების დამტკიცებით.

1.8. თ.გ.-ს ბრალდების საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, 2016 წ.)

საქმის აღწერა

თ.გ.-ს ბრალი წარედგინა სსკ-ს 221-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის (კომერციული მოსყიდვა).

თ.გ. იყო საფეხბურთო მსაჭი. შსს-ში დაიგეგმა ოპერაცია, რომლის თანახმად, ერთ-ერთ გამომძიებელს (შემდეგში ფარული თანამშრომელი) უნდა მოეპოვებინა საფეხბურთო მსაჭების ნდობა. ამ მიზნისთვის, ფარული თანამშრომელი საწყის ეტაპზე დაუახლოვდა სხვადასხვა პირს, რომლებიც მეგობრობდნენ თ.გ.-სთან. სწორედ ამ მეგობრების მეშვეობით ფარულმა თანამშრომელმა და თ.გ.-მ გაიცნეს ერთმანეთი.

გაცნობის შემდეგ, ფარულმა თანამშრომელმა დიდი დრო და ძალისხმევა გასწია იმისთვის, რომ შემდგარიყო „მეგობრობა“ და, როდესაც ჩათვალა, რომ უკვე არსებობდა მათ შორის ნდობა, დაიწყო გარკვეული თანხების შეთავაზება, რათა თ.გ.-ს მიეღო სუბიექტური გადაწყვეტილებები საფეხბურთო მატჩების დროს. აღნიშნული თანხების შეთავაზება ხდებოდა იმ პერიოდებში, როდესაც თ.გ.-ს პირად ცხოვრებაში თავს იჩენდა მატერიალური პრობლემები. აღნიშნული დასტურდება თავად ფარული თანამშრომლის ჩვენებებში, რომელმაც იცოდა, რომ თ.გ.-ს ჰქონდა ვალები.

მიუხედავად ამისა, თ.გ.-მ რამდენჯერმე უარი განაცხადა შეთავაზებაზე და თქვა, რომ არასოდეს ატარებდა მატჩებს სუბიექტურად, მატერიალური დაინტერესებით. სარგებლის შეთავაზება მისთვის მოხდა მინიმუმ ოთხჯერ. საბოლოოდ, განიცდიდა რა თ.გ. ძლიერ მატერიალურ კრიზისს, დათანხმდა აეღო ათი ათასი ამერიკული დოლარი, გარკვეული რაოდენობის კუთხურებისა და ყვითელი ბარათების დანიშვნის სანაცვლოდ.

ფარული თანამშრომელი ამ დროისთვის ასრულებდა შსს-ში შემუშავებულ გეგმას და აღჭურვილი იყო სპეციალური აუდიო-ვიდეო ტექნიკით. საქმეში ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილია მხოლოდ თანხის გადაცემის ამსახველი ვიდეო-ჩანაწერი. წინასწარი შეხვედრების თაობაზე, ბრალდებულის გარდა, სასამართლოში საუბრობს ასევე თავად ფარული თანამშრომელიც, თუმცა ამ შეხვედრების



ჩანაწერები ბრალდების მხარის მიერ არ წარდგენილა.

საბოლოოდ, სასამართლომ არსებით სხდომაზე დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება.

საქმის შეფასება

- მატერიალური ტესტი

(ა) პირის წინასწარგანწყობა, ანუ ჰქონდათ თუ არა სახელმწიფო ორგანოებს ეჭვის სათანადო საფუძვლები

ბრალდების მხარის მიერ არ ან ვერ იქნა წარდგენილი სასამართლოში შესაბამისი მასალები, რომლითაც დასაბუთდებოდა თ.გ.-ს მიერ მსგავსი დანაშაულის ჩადენის ან მომზადების ფაქტი.

(ბ) დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელი პირის სტატუსი;

თავდაპირველად, საქმის მასალების მიხედვით, შსს-ს, სავარაუდო დანაშაულის ჩადენის შესახებ აცნობა შსს-ს თანამშრომელმა პატაკით. მაგრამ, როგორც საქმიდან ირკვევა, ფარულ თანამშრომელს, ნდობის მოპოვების შემდეგაც კი (დაახლოებით სამი თვის ურთიერთობის შემდეგ), გაუჭირდა თ.გ.-ს დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად. როგორც აღინიშნა, თ.გ.-მ რამდენჯერმე კატეგორიული უარი განაცხადა ფინანსური დაინტერესების გამო არაობიექტური გადაწყვეტილების მიღებაზე.

(გ) დანაშაულის ჩადენის ინიციატივა

საქმეში არსებული მასალებით ვერ დგინდება, რომ დანაშაულის ჩადენის ინიციატივა მომდინარეობდა თ.გ.-სგან. ერთადერთი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებდა აღნიშნულზე, იყო შსს-ს თანამშრომლის პატაკი ხელმძღვანელობის სახელზე, სადაც საფუძვლად მოყვანილია ოპერატიული ინფორმაცია. თუმცა მომდევნო ეტაპებზე აღნიშნული ოპერატიული ინფორმაციის დეტალები, რაც შესაძლებლობას მისცემდა სასამართლოს ემსჯელა ინიციატორზე, გამოძიების მიერ არ გამოკვეთილა.

(დ) განმცხადებლის მიმართ ზეწოლის გამოყენების ინტენსივობა

როგორც აღინიშნა, თავდაპირველად, აგენტმა მოიპოვა თ.გ.-ს მეგობრების ნდობა და მხოლოდ ნდობის მოპოვების შემდეგ გაეცნო თ.გ.-ს, თ.გ.-ს მატერიალური პრობლემების გამოყენებით, ხდება სარგებლის პერმანენტული შეთავაზება არაობიექტური გადაწყვეტილებების მიღების სანაცვლოდ, რა დროსაც აგენტი იღებს კატეგორიულ უარს (მინიმუმ 4-5-ჯერ). აღნიშნულს, ბრალდებულის გარდა, ადასტურებს თავად ფარული თანამშრომელიც. საბოლოოდ კი, ფარულმა თანამშრომელმა მაინც მიაღწია იმას, რომ თ.გ.-ს აეღო თანხა, რა დროსაც მოხდა კიდევ თ.გ.-ს დაკავება.

ე) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შეფასება

ფარული გადაღება მიმდინარეობდა სასამართლოს ნებართვით. თუმცა ფარული თანამშრომლის სხვა მოქმედებები თ.გ.-სთან, მის ახლობლებთან დაახლოების პროცესი, შეხვედრები, შეთავაზებები, თანხის გადაცემა და ფარული გეგმის ფარგლებში მნიშვნელოვანი სხვა დეტალები, ხორციელდებოდა ყოველგვარი რეგულირების გარეშე ან რეგულაციებით, რაც საქმის მასალებში არ ასახულა.

- საპროცესო ტესტი

საქმე თ.გ.-ს მიმართ საპროცესო ტესტის თვალსაზრისით ვერ შეფასდება, რადგან ბრალდების მხარესა და ბრალდებულს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რაც დამტკიცდა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის დროს. წინასასამართლო ეტაპზე პროვოცირების საკითხი არ გაუღერებულა მხარეების მიერ.

1.9. ო.შ.-ს ბრალდების საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, 2016-2017წ.)

საქმის აღწერა

ო.შ.-ს ბრალი წარედგინა სსკ-ს 221-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის (კომერციული მოსყიდვა).

ო.შ. იყო მოქმედი სპორტსმენი. შსს-ში დაიგეგმა ოპერაცია, რომლის თანახმად ერთ-ერთ გამომძიებელს (შემდეგში - ფარული თანამშრომელი) უნდა მოეპოვებინა სპორტსმენების ნდობა. ამისთვის, ფარულმა თანამშრომლებმა საწყის ეტაპზე დაიმეგობრეს ო.შ.-ს მეგობრები. სწორედ მათი მეშვეობით, ფარულმა თანამშრომელმა და ო.შ.-მ გაიცნეს ერთმანეთი.

გაცნობის შემდეგ, ფარულმა თანამშრომელმა დიდი ძალისხმევა გასწია, რომ შემდგარიყო „მეგობრობა“ და როდესაც ჩათვალა, რომ არსებობდა საკმარისი ნდობა, დაიწყო გარკვეული თანხების შეთავაზება, რათა ო.შ.-ს მოეგო კონკრეტული თამაში. ამგვარად, ო.შ. მიიღებდა ფულად ანაზღაურებას თამაშის მოგების შემთხვევაში. ო.შ.-ს უცნაურად მოეჩვენა აღნიშნული შეთავაზება, ვინაიდან, მისი განმარტებით, სწორედ მოგება არის ნებისმიერი სპორტსმენის მიზანი და ამისთვის ცალკე ფულის აღება მისი მხრიდან იქნებოდა არალოგიკური. აღნიშნული შეთავაზებები გრძელდებოდა პერმანენტულად, მაგრამ ო.შ. ყოველთვის აცხადებდა უარს.

მიუხედავად ამისა, ფარულმა თანამშრომელმა, შსს-ში შემუშავებული გეგმის მიხედვით, მაინც დაითანხმა ო.შ. თანხის აღებაზე და გადასცა მას 7000\$. ფარული თანამშრომელი ამ დროისთვის აღჭურვილი იყო სპეციალური აუდიო-ვიდეო ტექნიკით.

შესაბამისად, ბრალდების მხარის პოზიციით, ო.შ.-ს ქმედებაში გამოვლინდა სისხლის სამართლის კანონდარღვევა.

სასამართლოში წარდგენილი ვიდეო-ფაილის მიხედვით, ფარული თანამშრომლის შეთავაზებაზე - მოგების შემთხვევაში თანხის გადახდაზე, ო.შ. პასუხობს, რომ მაინც მოგებაზეა ორიენტირებული და ზედმეტი თანხა რატომ უნდა გადაუხადონ. თუმცა, ფარული თანამშრომლის თქმით, თამაშის მოგების შემთხვევაში, ის მაინც გადაიხდიდა ამ თანხას უარის მიუხედავად.

ო.შ. დაკავებული იქნა თანხის გადაცემის დროს და წარედგინა ბრალი სსკ-ის 221-ე მუხლით.

საქმის წინასასამართლო ეტაპზე, დაცვის მხარემ დააყენა პროვოცირების საკითხი. აღნიშნული მოთხოვნა დასაბუთებული იყო ბრალდებულის მიერ გაკეთებული განმარტებებით. სასამართლომ არ გაამახვილა ყურადღება პროვოცირების საკითხზე და ბრალდების ყველა მტკიცებულება ცნო დასაშვებად. შუამდგომლობა პროვოცირებით მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის თაობაზე არ დამდგარა, მაგრამ თავად პროვოცირების საკითხს დაცვის მხარე აყენებდა, როგორც აღკვეთის ღონისძიების შეფარდების ეტაპზე, ასევე წინასასამართლო სხდომაზე.



ამჟამად მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა, სადაც დაცვის მხარე კიდევ ერთხელ აპირებს, გამოკვეთოს პროვოცირების არსებობა.

საქმის შეფასება

- მატერიალური ტესტი

(ა) პირის წინასწარგანწყობა, ანუ ჰქონდათ თუ არა სახელმწიფო ორგანოებს ეჭვის სათანადო საფუძვლები

ბრალდების მხარის მიერ არ ან ვერ იქნა წარდგენილი სასამართლოში შესაბამისი მასალები, რომლითაც დასაბუთდებოდა ო.შ.-ს მიერ მსგავსი დანაშაულის ჩადენის ან მომზადების ფაქტი.

(ბ) დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელი პირის სტატუსი;

თავდაპირველად, შს სამინისტროს, სავარაუდო დანაშაულის ჩადენის შესახებ აცნობა შსს-ს თანამშრომელმა პატაკით. თუმცა, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია მეტი დეტალი, თუ რა ტიპის ოპერატიული ინფორმაცია გააჩნდათ მათ.

(გ) დანაშაულის ჩადენის ინიციატივა

საქმეში არსებული მასალებით ვერ დგინდება, რომ დანაშაულის ჩადენის ინიციატივა მომდინარეობდა ო.შ.-სგან. ერთადერთი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებდა მსგავსზე, იყო შსს-ს თანამშრომლის პატაკი ხელმძღვანელობის სახელზე, სადაც საფუძვლად მითითებულია ოპერატიული ინფორმაცია, თუმცა მომდევნო ეტაპებზე აღნიშნული ინფორმაცია გამოძიების მიერ გამოკვეთილი არ არის.

(დ) განმცხადებლის მიმართ გეწოლის გამოყენების ინტენსივობა

როგორც აღინიშნა, თავდაპირველად აგენტმა მოიპოვა ო.შ.-ს მეგობრების ნდობა, შემდეგ კი გაეცნო ო.შ.-ს ანუ, მან გასწია ძალისხმევა ნდობის ატმოსფეროს ჩამოსაყალიბებლად. ნდობის მოპოვების შემდეგ, რამდენჯერმე სთხოვა სპორტსმენს თანხა აეღო გამარჯვებაში, რა დროსაც მიიღო კატეგორიული უარი, რადგან ასეთი შეთავაზება სპორტსმენმა არალოგიკურად და ხუმრობადაც კი მიიჩნია. შეთავაზების არალოგიკურობა ის იყო, რომ სპორტსმენს თანხა უნდა აეღო იმ ქმედების გამო, რომელიც მაინც წარმოადგენდა მის მიზანს. საბოლოოდ კი, ფარულმა თანამშრომელმა მაინც დაითანხმა ო.შ. გამარჯვებისას აეღო თანხა, რა დროსაც მოხდა ო.შ.-ს დაკავება.

ე) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შეფასება

ფარული გადაღება მიმდინარეობდა სასამართლოს ნებართვით. თუმცა ფარული თანამშრომლის სხვა მოქმედებები - სპორტსმენთან, მის ახლობლებთან დაახლოების პროცესი, შეხვედრები, შეთავაზებები, თანხის გადაცემა და ფარული გეგმის ფარგლებში მნიშვნელოვანი სხვა დეტალები, ხორციელდებოდა ყოველგვარი რეგულირების გარეშე ან რეგულაციებით, რაც საქმის მასალებში არ ასახულია.

- საპროცესო ტესტი

დაცვის მხარის მიერ წინასასამართლო სხდომაზე მიეთითა, რომ ო.შ.-ს მიმართ აღგილი ჰქონდა დანაშაულის პროვოცირება. ეს საკითხი დაცვის მხარემ აღკვეთის ღონისძიების განხილვის

სხდომაზეც დააყენა, თუმცა წინასასამართლო სხდომაზე პროვოცირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შუამდგომლობა არ დაუყენებია. ევროპული სტანდარტით, სასამართლო ვალდებული იყო, მხარეთა შეჭიბრებითობისა და თანასწორობის ფარგლებში, პროვოცირების უარყოფის მტკიცების ტვირთი დაეკისრებინა ბრალდების მხარისთვის და სრულყოფილად გამოეკვლია პროვოცირების დადგენისა ან უარყოფისათვის აუცილებელი გარემოებები, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების საფუძვლები და აუცილებლობა, სახელმწიფოს სახელით მოქმედი პირების ჩართულობის ინტენსივობა და ო.შ.-ზე განხორციელებული წნეხისა და ზეწოლის ხასიათი.

წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს საერთოდ არ უმსჯელია პროვოკაციის თემაზე, რომლის თაობაზე დაცვის მხარე და სასამართლო პროცესზე წარდგენილი ბრალდების მხარის მტკიცებულებებიც (მათ შორის, ფარული ვიდეო-ჩანაწერები, სადაც ჩანს, რომ ფარული თანამშრომელი დაჟინებით უმეორებს ო.შ.-ს თანხის აღების შესახებ) აშკარად მიუთითებდნენ.

ამჟამად, საქმეს არსებითად იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

1.10. ნ.მ.-ს ბრალდების საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, 2016-2017წ.)

საქმის აღწერა

ნ.მ.-ს ბრალი წარედგინა სსკ-ს 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

ნ.მ. იყო საჯარო მოხელე. ერთ-ერთი პიროვნება (სამართალდამცავი ორგანოს ფარული თანამშრომელი) დაუკავშირდა მის მეგობარს, ისტორიკოსს, ამავდროულად, ერთ-ერთი მუზეუმის დირექტორს და გამოთქვა დაინტერესება მისი გვარის ისტორიითა და წარმომავლობით. ამ საკითხთან დაკავშირებით, ფარულ თანამშრომელსა და მუზეუმის დირექტორს შორის ჩამოყალიბდა საქმიანი ურთიერთობა. ურთიერთობის განვითარებისას, ფარული თანამშრომელი მას გაეცნო გერმანიაში მოღვაწე ბიზნესმენად, რომლის მიზანიც იყო ოჯახთან ერთად საქართველოში დაბრუნება და დამკვიდრება. ამისათვის, მას სჭირდებოდა მინის ნაკვეთები საცხოვრებელი სახლისა და ბიზნეს ინტერესებისათვის. ერთ-ერთი შეხვედრისას, აგენტმა პირდაპირ ჰკითხა მუზეუმის დირექტორს, ხომ არ იცნობდა ვინმეს, ვინც დაეხმარებოდა ამ საკითხის გარკვევაში. მუზეუმის დირექტორმა ფარულ თანამშრომელს გააცნო ნ.მ., მისი ახლო მეგობარი. მისი აზრით, ნ.მ., არა თანამდებობრივად, არამედ პიროვნულად იცნობდა ბევრ ადამიანს და ამიტომ შესაძლოა სცოდნოდა ინფორმაცია, რომელიც აინტერესებდა ფარულ თანამშრომელს და დახმარებოდა.

მართლაც, ფარული თანამშრომლისა და ნ.მ.-ს გაცნობა შედგა მუზეუმის დირექტორის სამუშაო ადგილას. ნ.მ.-მ, თავის მხრივ, დახმარების აღმოჩენის მიზნით, დააკავშირა ფარული თანამშრომელი მინის გამყიდველთან.

მინის ნაკვეთთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში, ნ.მ. მონაწილეობდა როგორც შუამავალი. გარკვეული პერიოდიდან, თავდაპირველი ფარული თანამშრომელი ჩაანაცვლა სხვა ფარულმა თანამშრომელმა, რომელიც იყო ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი. ლეგენდის მიხედვით, ეს უკანასკნელი იყო პირველის წარმომადგენელი და აგრძელებდა მოლაპარაკებებს ნ.მ.-სთან. ფარული თანამშრომელი დაჟინებით სთხოვდა ნ.მ.-ს დარჩენილიყო შუამავლის როლში.

ნ.მ.-სა და ფარულ თანამშრომელს შორის შეხვედრა მოხდა ოთხჯერ, რა დროსაც თანამშრომელი

ცდილობდა გადაეცა ნ.მ.-სათვის თანხა მიწის გამყიდველის სასარგებლოდ, ბე-ს სახით, თუმცა ნ.მ. არ თანხმდებოდა აღნიშნულს. აქვე, საგულისხმოა, რომ გასაყიდი მიწის გვერდით ტერიტორიაზე მდებარეობდა სახელმწიფოს კუთვნილი ნაკვეთები და ფარული თანამშრომელი ითხოვდა ასევე ამ ნაკვეთების აუქციონზე გატანასაც. ნ.მ. უარს ეუბნებოდა, რამდენადაც აუქციონის ჩატარება ხდებოდა ელექტრონულად და გამგეობას, რომლის თანამშრომელიც იგი იყო, ხელი არ მიუწვდებოდა აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ლევენდის თანახმად, ერთ-ერთი მიწის ნაკვეთზე უნდა დაწყებულიყო სასტუმროს მშენებლობა. შეხვედრები ფარულ თანამშრომელსა და ნ.მ.-ს შორის ხდებოდა ორი კვირის განმავლობაში და ფარული თანამშრომელი ცდილობდა მომავალ ინვესტიციასთან დაკავშირებულ საკითხებში ჩართული დაეტოვებინა ნ.მ. ადგილი ჰქონდა არაერთგზის თხოვნებს, რომ ნ.მ.-ს „შუა გზაზე არ მიეტოვებინა“ იგი, დახმარებოდა გამყიდველთან მოლაპარაკებების ბოლომდე მიყვანაში და სხვა. ფარული გადაღებების შესწავლისას, ირკვევა, რომ მრავალჯერ ისმის ფარული თანამშრომლის მსგავსი ფრაზები: „გთხოვთ მეგობრულად, თქვენ მოგვიგვაროთ ეს საკითხი,“ „გამყიდველი უცნაური ტიპია და თქვენ იყავით ბოლომდე რა,“ „გთხოვთ არ მიგვატოვოთ.“ გარდა ამისა, შუამავლობის თხოვნა თავიდან მოდიოდა ნ.მ.-ს მეგობრისგან - მუზეუმის დირექტორისგან, რომელსაც შეექმნა დადებითი შთაბეჭდილება „გერმანიაში მოღვაწე ბიზნესმენზე.“ ასეთ ვითარებაში თავისი თხოვნებით, ფარულმა თანამშრომელმა მიაღწია იმას, რომ ნ.მ. დათანხმდა შუამავლობაზე გამყიდველთან მოლაპარაკებებში. დაცვის მხარის განცხადებით, ნ.მ.-ს ინტერესი იყო ინვესტიციის მხარდაჭერა.

ბოლო შეხვედრის დროს (შეხვედრები ხორციელდებოდა ყოველთვის ფარული თანამშრომლის დაჟინებული თხოვნით), ფარულმა თანამშრომელმა გადასცა თანხა ნ.მ.-ს სიტყვებით - „ეს თქვენი თანხაა.“ მანამდე შემდგარი შეხვედრებიდან ნ.მ.-სათვის ცნობილი იყო, რომ თანხაში მოიაზრებოდა არქიტექტორის ხარჯი, ანაზღაურება მუზეუმის თანამშრომლისთვის მის მიერ პირველი ფარული თანამშრომლის გვარის წარმომავლობის გამოკვლევისათვის და მიწის მესაკუთრისათვის გადასაცემი მიწის საფასურის ბე. ამ დროს ფარული თანამშრომელი აღჭურვილი იყო ვიდეო-გადამღები მოწყობილობით და თანხის გადაცემის მომენტში ნ.მ. დააკავეს შს სამინისტროს თანამშრომლებმა. ვიდეო-ჩანაწერზე ფარული თანამშრომლის მიერ აღარ კონკრეტდება, თუ რა დანიშნულებით გადასცა მან თანხა ნ.მ.-ს.

ბრალდების მხარის ვერსიით ნ.მ.-მ ჩაიდინა სამოხელეო დანაშაული - ქრთამის აღება მიწის გაყიდვასთან დაკავშირებით გაწეული დახმარების სანაცვლოდ. ბრალის დადგენილების მიხედვით, თანხა აღებული იქნა აუქციონის ჩატარების, მომავალში შესაძენი მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემისა და კერძო მიწის სიახლოვეს მდებარე სახელმწიფო მიწის ნაკვეთის ნასყიდობის საკითხებზე დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ.

აღსანიშნავია, რომ პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოში ფარული საგამოძიებო მოქმედების თაობაზე განჩინების გამოტანის მოთხოვნით, თუმცა სასამართლომ არ დააკმაყოფილა იგი დაუსაბუთებლობის გამო. ბრალდების მხარემ, მიუხედავად ამისა, ფარული საგამოძიებო მოქმედება ჩაატარა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე, რაც სასამართლომ კანონიერად ცნო.

წინასასამართლო სხდომაზე, დაცვის მხარემ დააყენა საკითხი პროვოცირების თაობაზე და იშუამდგომლა მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის თაობაზე სწორედ ამ საფუძველით. სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის შუამდგომლობა, თუმცა პროვოცირების საკითხზე არ უმსჯელია და განჩინებაში საერთოდ არ უხსენებია აღნიშნული.

ამჟამად, საქმეს არსებითად განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო.

საქმის შეფასება

- მატერიალური ტესტი

(ა) პირის წინასწარგანწყობა, ანუ ჰქონდათ თუ არა სახელმწიფო ორგანოებს ეჭვის სათანადო საფუძვლები ნ.მ-ს მიმართ

საქმის მასალების მიხედვით არ არის გამოკვეთილი, რომ ნ.მ.-ს მიმართ არსებობდა ინფორმაცია, რომ მზადდებოდა ან ხორციელდებოდა დანაშაული. უფრო მეტიც, თავად სახელმწიფოს წარმომადგენლებს საკმაოდ დიდი დრო დასჭირდათ - დაახლოებით ორი კვირა, რომ გადაეცათ ნ.მ.-სთვის ფულადი თანხა. სანამ ნ.მ.-ს დაუახლოვდებოდა სახელმწიფოს სახელით მოქმედი თანამშრომელი, იგი დაუკავშირდა ნ.მ.-ს მეგობარ ქალბატონს, თითქოს მისი გვარის ისტორიის გამოკვლევის მიზნით. შემდეგ დაახლოვდა ნ.მ.-სთან და სთხოვა მას მეგობრულად დახმარებოდა ქონების მყიდველსა და გამყიდველს შორის ურთიერთობაში. თხოვნა მომდინარეობდა ფარული თანამშრომლის მხრიდან. ნ.მ. დათანხმდა შუამავლობას მოსალოდნელი ინვესტიციის სასარგებლო ეფექტის გამო. საქმეზე არ არის გამოკვეთილი ნ.მ.-ს წინასწარი განწყობა დანაშაულის ჩასადენად ანდა ნ.მ.-ს ამგვარი დანაშაულისკენ ადრინდელი მიდრეკილება.

(ბ) დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელი პირის სტატუსი

დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელი პირი, რომელმაც თავი ნ.მ.-ს და მის მეგობრებს წარუდგინა, როგორც გერმანიაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, იყო სამართალდამცავი ორგანოს ინტერესებში მოქმედი კერძო პირი. დაცვის მხარის მიერ მოხდა ამ პიროვნების იდენტიფიკაცია და გამოიკვეთა ის გარემოება, რომ ეს პიროვნება ჩართული იყო არაერთ, დაახლოებით ათ საქმეში, როგორც სავარაუდო აგენტი-პროვოკატორი. ამ პირისა და მისი სხვადასხვა საქმეებში მონაწილეობის შესახებ სატელევიზიო სიუჟეტიც გავიდა. მოცემულ საქმეში, ხსენებული პირის ჩანაცვლება მოხდა ფინალურ ეტაპზე, თავად საგამოძიებო უწყების გამომძიებლით.

(გ) დანაშაულის ჩადენის ინიციატივა

დანაშაულის ჩადენის ინიციატივა მომდინარეობდა სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან. ფარული თანამშრომლების მოქმედებები ხორციელდებოდა წინასწარ დამუშავებული ლეგენდის მიხედვით. როგორც აღინიშნა, თანხის გადაცემა ნ.მ.-სთვის გართულდა და ეს განხორციელდა მხოლოდ სხვადასხვა პირების მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურების ფორმით. მიუხედავად ამისა, ბოლო შეხვედრის ამსახველ ვიდეო-ფირში, სადაც თანხის გადაცემის პროცესია დაფიქსირებული, ფარული თანამშრომელი აჟღერებს წინადადებას „ეს თქვენი თანხა არის“. სწორედ ამ წინადადებას დაეყრდნო, ბრალდების მხარე ნ.მ.-ს მიერ ქრთამის აღების დასადასტურებლად. მნიშვნელოვანია, რომ ნ.მ. და ფარული თანამშრომლები ერთმანეთს არაერთგზის შეხვდნენ ორი კვირის განმავლობაში, თუმცა აღნიშნული შეხვედრების ამსახველი ვიდეო-აუდიო მასალა საქმეში არ მოიპოვება.

(დ) განმცხადებლის მიმართ გეწოლის გამოყენების ინტენსივობა

როგორც აღინიშნა, „გერმანიაში მოღვაწე ბიზნესმენის“ ლეგენდა შეიქმნა სამართალდამცავ ორგანოში. ლეგენდის თანახმად ფარულ თანამშრომელს დაევალა ჩამოეყალიბებინა კარგი ურთიერთობა ჯერ ნ.მ.-ს მეგობარ ისტორიკოსთან - მუზეუმის დირექტორთან, ხოლო შემდეგ - თავად ნ.მ.-სთან. შემდეგ, ფარული თანამშრომლები არერთგზის თხოვდნენ ნ.მ.-ს ყოფილიყო შუამავალი კერძო ნაკვეთის შეძენის პროცესში. ამ დროს, ნ.მ.-ს მატერიალურ დაინტერესებას ადგილი არ ჰქონია და იგი მონაწილეობდა მოლაპარაკებებში მომავალი ინვესტიციის მხარდასაჭერად, მისი მეგობრის



თხოვნით. საგულისხმოა, რომ გადაცემული თანხა, ნ.მ.-ს წარმოდგენით, იყო სხვა პირებისთვის განკუთვნილი. ფარული თანამშრომლების მოქმედებები ხორციელდებოდა ლეგენდის ფარგლებში, იყო ინტენსიური და მიმართული მოხელის ნდობის მოპოვებასა და ლეგენდის განხორციელებაზე.

ე) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები შეფასება

ფარული გადაღება მიმდინარეობდა სასამართლოს ნებართვით. თუმცა ფარული თანამშრომლების სხვა მოქმედებები - ნ.მ.-სთან, მის მეგობარ მუზეუმის დირექტორთან დაახლოების პროცესი, შეხვედრები, შეთავაზებები, თანხის გადაცემა და ფარული გეგმის ფარგლებში მნიშვნელოვანი სხვა დეტალები, ხორციელდებოდა ყოველგვარი რეგულირების გარეშე ან რეგულაციებით, რაც საქმის მასალებში არ ასახულა და დაცვის მხარისა და სასამართლოსთვის უცნობია.

- საპროცესო ტესტი

დაცვის მხარემ წინასასამართლო სხდომაზე წარადგინა შუამდგომლობა პროვოცირების არსებობისა და პროვოცირების საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობაზე. შუამდგომლობა იყო დასაბუთებული, მოყვანილი იყო გარემოებები, რომლებიც მიუთითებდნენ ფარული თანამშრომლების მიერ სავარაუდო პროვოცირების ჩადენის თაობაზე. შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო, მხარეთა შეჭიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის ფარგლებში, პროვოცირების უარყოფის მტკიცების ტვირთი დაეკისრებინა ბრალდების მხარისთვის და სრულყოფილად გამოეკვლია პროვოკაციის დადგენისა ან უარყოფისათვის აუცილებელი გარემოებები, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების საფუძვლები და აუცილებლობა, სახელმწიფოს სახელით მოქმედი პირების ჩართულობის ინტენსივობა და ნ.მ.-ზე განხორციელებული წნეხისა და ზეწოლის ხასიათი.

ამის საწინააღმდეგოდ, წინასასამართლოს სხდომის მოსამართლეს საერთოდ არ უმსჯელია პროვოცირების არსებობაზე, რომლის თაობაზეც დაცვის მხარე და სასამართლო პროცესზე წარდგენილი ბრალდების მხარის მტკიცებულებები (მათ შორის ფარული ვიდეო-ჩანაწერები) აშკარად მიუთითებდნენ.

ამჟამად საქმეს არსებითად იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

1.11. ა.დ.-ს და ვ.კ.-ს ბრალდების საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო 2014ფ.)

საქმის აღწერა

ა.დ.-ს და ვ.კ.-ს ბრალი წარედგინა სსკ-ს 338-ე მუხლით (ქრთამის აღება) გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

ა.დ. იყო წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ვ.კ. კი წალკის გამგეობის მთავარი სპეციალისტი. მათ დაუკავშირდა პიროვნება, რომელმაც თავი გააცნო ბიზნესმენად. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს პირი წარმოადგენდა ფარულ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში ჩართულ კერძო პირს. იგი დაახლოებით 3-4 თვის განმავლობაში ცდილობდა დაახლოებოდა საჯარო მოხელეებს. ამ მცდელობების შედეგად, გარკვეული პერიოდის შემდეგ, მათ შორის კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. „ბიზნესმენი“ ხშირად აწყობდა ე.წ. „ქეიფს“ და სუფრასთან მეგობრობაზე ამახვილებდა ყურადღებას. „თქვენთან ძმაკაცობა მინდა“ - არაერთხელ აქვს ნათქვამი ვ.კ.-სთვის.

აღნიშნული ურთიერთობა დაახლოებით 4 თვის მანძილზე გრძელდებოდა. ამის შემდეგ ფარული თანამშრომელი დაუკავშირდა ვ.კ.-ს და სთხოვა დახმარება გარკვეული მიწის ნაკვეთის იჯარით აღების საკითხზე, რომელზეც, თითქოს, სურდა გაზგასამართი სადგურის აშენება. აღნიშნულ საკითხზე, „ბიზნესმენს“ ვ.კ.-მ კონსულტაცია გაუწია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყოველგვარი სარგებლის გარეშე, შემდეგ კი შეპირდა დახმარებას იმ საბუთების მომზადებაში, რაც მის უფლება-მოვალეობაში შედიოდა. ვ.კ.-მ ასევე ერთ-ერთ საუბარში ახსენა საკითხის მოგვარების მიზნისთვის საკრებულოს წევრის - ა.დ.-ს ჩართვის შესაძლებლობა და მისი ავტორიტეტის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთის იჯარით აღების პროცედურა არ იყო დაკავშირებული სამართლებრივი ან სხვა სახის პრობლემებთან და შესაძლოა, ჩვეულებრივი განცხადების შეტანით დასრულებულიყო.

ფარულმა თანამშრომელმა წინასწარ შესთავაზა საჩუქრის სახით თანხა მოხელეებს, რაზეც მოხელეები დათანხმდნენ ფინანსური მდგომარეობის გამო. აღსანიშნავია, რომ თანამშრომელმა ზუსტად იცოდა ამ პირების მიძიმე ფინანსური მდგომარეობის თაობაზე. მათ ორივეს ჰქონდათ აღებული საბანკო სესხი და მნიშვნელოვან თანხას იხდიდნენ ვალდებულების დასაფარად. ამასთან, ა.დ. და ვ.კ. წარსულში არასოდეს ყოფილან შემჩნეული ქრთამის ან/და რაიმე საჩუქრის მოთხოვნაში თავის სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით. ყოველ შემთხვევაში, ამის თაობაზე ინფორმაცია სისხლის სამართლის მასალებში არ არსებობს.

მოხელეებმა აიღეს საჩუქრის სახით ფულადი თანხა. ეს პროცესი გადაღებულ იქნა სპეციალურად დამონტაჟებული ვიდეო გადამღები მოწყობილობით ფარული თანამშრომლის მიერ, რაც წარმოადგენდა ბრალდების მხარის მტკიცებულებას.

ამჟამად საქმე დამთავრებულია. სასამართლოს არსებით სხდომაზე ბრალდებულთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რა დროსაც, დანაშაულის პროვოცირების თემაზე დაცვის მხარეს არ გაუმახვილებია სასამართლოში ყურადღება.

საქმის შეფასება

- მატერიალური ტექსტი

ა.დ.-ს და ვ.კ.-ს საქმე ასევე ატარებს იმ ნიშნებს, რაც სახელმწიფოს სახელით მოქმედი ფარული თანამშრომლის მხრიდან დანაშაულის პროვოცირების შემთხვევად განიხილება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით.

(ა) პირის წინასწარგანწყობა, ანუ ჰქონდათ თუ არა სახელმწიფო ორგანოებს ეჭვის სათანადო საფუძვლები

აღნიშნულის დასასაბუთებლად საქმეში წარმოდგენილი არ იყო არც ერთი გარემოება თუ ინფორმაცია. ბრალდების მხარე არ ასაბუთებდა ბრალდებულის წინასწარ განწყობას დანაშაულის ჩასადენად.

(ბ) ფარულ ოპერაციაში მონაწილე პირის სტატუსი

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ ოპერაციაში მონაწილეობდა კერძო პირი, რომელიც, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით ასევე შეიძლება იყოს პროვოცირების განხორციელების სუბიექტი.



(გ) დანაშაულის ჩადენის ინიციატივა

წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ დაახლოების ინიციატივა და შემდგომში თანხის აღების ნაქმება განხორციელდა ფარული თანამშრომლის მიერ. ის არაერთხელ დაუკავშირდა ბრალდებულებს, მოაწყო შეხვედრები, ე.წ. „ქეიფები“, შესთავაზა მეგობრობა და გამოიყენა სხვადასხვა ხერხი ნდობის მოსაპოვებლად. მოგვიანებით კი, ამ ვითარებაში, ნაქმება ისინი დანაშაულის ჩასადენად.

(დ) განმცხადებლის მიმართ გენოლის გამოყენების ინტენსივობა

როგორც აღინიშნა, არაერთი შეხვედრის შემდეგ, მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში, ფარული თანამშრომლის მიერ თანხის შეთავაზებისათვის ისეთი დრო იქნა შერჩეული, როდესაც ბრალდებულებს ფინანსური პრობლემები ქონდათ და უხდებოდათ საბანკო სესხების დაფარვა. აღსანიშნავია, რომ თანხის შეთავაზებას წინ უძღოდა მოხელეებთან დაახლოების ხანგრძლივი პროცესი, ანუ ისეთი ვითარების განზრახ შექმნა, რომელშიც მოხელეებს გაუადვილებოდათ შეთავაზებაზე დათანხმება.

(ე) ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა მარეგულირებელი წესები

ფარული ვიდეო გადაღების, როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედების დაკანონება მოხდა სსსკ-ით გათვალისწინებული წესით. თუმცა ფარული თანამშრომლის მიერ „ბიზნესმენის“ და მისი მოხელეებთან დაახლოების ლეგენდის განხორციელების დეტალები, შეხვედრების ორგანიზება, თანხის შეთავაზება და გადაცემა, რა ღონისძიების და სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში მოხდა, ეს საქმიდან არ ჩანს. ამიტომ, შეუძლებელია გადამოწმდეს, შს სამინისტროს მიერ შემუშავებული ოპერაციის/ლეგენდის დეტალები, მათში ჩართული პირების უფლებამოსილებები და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები, რის გადამოწმებასაც აუცილებლად მიიჩნევს ევროპული სტანდარტი დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის საკითხზე.

- საპროცესო ტესტი

წინასასამართლო სხდომაზე დანაშაულის პროვოცირების საკითხი არ დამდგარა, ხოლო არსებით სხდომაზე ბრალდებულებთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, სადაც დანაშაულის პროვოცირების საკითხი არ დასმულა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გამო. შესაბამისად, სასამართლოს არ უმსჯელია დანაშაულის პროვოცირების საკითხზე. ამდენად, საპროცესო ტესტის შეფასება ამ საქმეში შეუძლებელია.

1.12. გ.ს.-ს ბრალდების საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლო, 2016 წ.)

საქმის აღწერა

გ.ს.-ს ბრალი წარედგინა სსკ-ს 212-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის - ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება.

შს სამინისტროში დაიგეგმა ფარული ოპერაცია, რომლის თანახმად, ერთ-ერთ მოქალაქეს (შემდეგში ფარული თანამშრომელი) უნდა მოეპოვებინა გარკვეული პირების ნდობა, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა გ.ს.-თან დაახლოება. ამ მიზნისთვის ფარული თანამშრომელი საწყის ეტაპზე დაუახლოვდა სხვადასხვა პირებს, რომლებიც მეგობრობდნენ გ.ს.-სთან. სწორედ ამ

ადამიანების მეშვეობით ფარულმა თანამშრომელმა და გ.ს.-მ გაიცინეს ერთმანეთი.

გაცნობის შემდეგ, ფარულმა თანამშრომელმა დიდი დრო და ძალისხმევა გასწია იმისთვის, რომ შემდგარიყო „მეგობრობა.“ ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ფარულმა თანამშრომელმა ბევრჯერ მიიპატიჟა გ.ს. ე.წ. „ქეიფში“ და ა.შ. და როდესაც გაიგო, რომ გ.ს.-ს ფინანსურად ძალიან გაუჭირდა, თავად შესთავაზა ფინანსური დახმარება. კერძოდ, იცოდა რა, რომ გ.ს.-ს სესხი ჰქონდა აღებული საბანკო დანესებულებიდან და უჭირდა ყოველთვიური ვალდებულების დაფარვა, შესთავაზა 1000 აშშ დოლარი, სესხის სახით, უვადოდ. გ.ს. დაეთანხმა სესხის სახით ფულის აღებაზე და გამოართვა აღნიშნული თანხა. ამით ფარულმა თანამშრომელმა მოიპოვა მაქსიმალური ნდობა და მაღლიერება გ.ს.-ს მხრიდან. პარალელურად, სწორედ ამ პერიოდში, ფარულმა თანამშრომელმა სთხოვა გ.ს.-ს, გაეგო, ვინმე ხომ არ აცალბებდა ფულს და თუ გ.ს. ასეთ პიროვნებას ნახავდა, 5000 ყალბი ამერიკული დოლარის მოპოვების სანაცვლოდ მიიღებდა გარკვეულ თანხას, კერძოდ, 2500 ამერიკულ დოლარს. ეს თანხა, მთლიანად ფარავდა გ.ს.-ს მიერ აღებული სესხის ძირითად თანხას.

იმყოფებოდა რა ძლიერი ფინანსური წნეხის ქვეშ, გ.ს. დათანხმდა ფარულ თანამშრომელს, რომ მოიძიებდა ინფორმაციას ფულის გაყალბების შესახებ. გ.ს.-მ მართლაც დაამყარა კონტაქტი მის ნაცნობ პიროვნებასთან, რომელსაც შეეძლო ორგანიზება გაეკეთებინა აღნიშნული ყალბი ფულის მოპოვებისთვის.

მართლაც, აღნიშნულმა პიროვნებამ ყალბი ფული გადასცა გ.ს.-ს, რა დროსაც ორივე მათგანი დააკავეს.

ფარული თანამშრომელი ამ დროისთვის ასრულებდა შს სამინისტროში შემუშავებულ გეგმას და აღჭურვილი იყო სპეციალური აუდიო-ვიდეო ტექნიკით. საქმეში ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილია ვიდეო-ჩანაწერი, როცა გ.ს. ეუბნება თანამშრომელს, რომ მოიპოვა ყალბი ფული და მეორე ჩანაწერი, როდესაც მოხდა თანხის გადაცემა. არ არის წარმოდგენილი ფარული თანამშრომლისა და გ.ს.-ს თავდაპირველი შეხვედრებისა და ურთიერთობის შესახებ ჩანაწერები. ასეთი წინასწარი შეხვედრების თაობაზე, ბრალდებულის გარდა, უთითებს თავად ფარული თანამშრომელიც, თუმცა წინა შეხვედრების ჩანაწერები ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი არ ყოფილა.

საქმის შეფასება

- მატერიალური ტესტი

(ა) პირის წინასწარგანწყობა, ანუ ჰქონდათ თუ არა სახელმწიფო ორგანოებს ეჭვის სათანადო საფუძვლები

ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში არ ან ვერ იქნა წარდგენილი შესაბამისი მასალები, რომლითაც დაასაბუთებდა პირის მიერ მსგავსი დანაშაულის ჩადენის ან მომზადების ფაქტს. საქმეში არსებობს მხოლოდ პოლიციის მუშაკის პატაკი, რომ არსებობს ინფორმაცია გ.ს.-ს დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, თუმცა, არ არის ახსნილი კონკრეტულად რა სახის ინფორმაციაზეა საუბარი, რაც საკმარისი ინფორმაცია იქნებოდა ევროპული სასამართლოს სტანდარტის მიხედვით.

(ბ) დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელი პირის სტატუსი

საქმის მასალების მიხედვით, შსს-ს სავარაუდო დანაშაულის ჩადენის შესახებ აცნობა შსს-ს თანამშრომელმა, რომელმაც მოახსენა ხელმძღვანელ პირს პატაკით, რომელშიც არ კონკრეტდება



ინფორმაციის დეტალები. ხოლო შემდეგ ოპერაციის განხორციელებაში ჩაერთო კერძო პირი სახელმწიფოს სახელით.

(გ) დანაშაულის ჩადენის ინიციატივა

საქმეში არსებული მასალებით, სათანადო წესით ვერ დგინდება, რომ ინიციატივა მომდინარეობდა გ.ს.-სგან. ერთადერთი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებდა აღნიშნულზე, იყო შსს-ს თანამშრომლის პატაკი ხელმძღვანელობის სახელზე, სადაც საფუძვლად მოყვანილია ოპერატიული ინფორმაცია. თუმცა, მომდევნო ეტაპებზე აღნიშნული ოპერატიული ინფორმაციის დეტალები საქმის მასალებში არ ჩაურთავს ბრალდების მხარეს. ამიტომ, შეუძლებელია, კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, იმის თქმა, მართლაც გ.ს.-ს მხრიდან მომდინარეობდა თუ არა ყალბი ფულის მოპოვების ან რაიმე სხვა კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ინიციატივა.

(დ) განმცხადებლის მიმართ ზეწოლის გამოყენების ინტენსივობა

როგორც აღინიშნა, თავდაპირველად აგენტმა მოიპოვა გ.ს.-ს მეგობრების ნდობა, შემდეგ კი გაიცნო გ.ს. ნდობის მოპოვების შემდეგ გ.ს.-ს მატერიალური პრობლემების ფაქტორის გამოყენებით შესთავაზა სარგებელი ყალბი ფულის მოპოვების შემთხვევაში. გ.ს. არ ჩაიდენდა დანაშაულს, ფარულ თანამშრომელს რომ არ შეეთავაზებინა ყალბი ფულის მოპოვება ფინანსური პრობლემისგან თავის დაღწევის გზად და არ დაპირებოდა სარგებელს. ამის საპირისპირო მტკიცებისათვის არავითარი ინფორმაცია, გარდა ზემოთ დასახელებული პატაკისა, არ არსებობს საქმეში. მხოლოდ პატაკი და მასში აღწერილი მწირი ინფორმაცია არ არის საკმარისი, რადგან, საქმის მასალებში არ არის სხვა, საკმარისად დეტალური ინფორმაცია გ.ს.-ს საეჭვო კავშირებზე, დანაშაულებრივ განზრახვაზე ან მანამდე, მსგავს საქმიანობაში ჩართულობაზე.

ე) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შეფასება

ფარული გადაღება მიმდინარეობდა სასამართლოს ნებართვით, თუმცა ფარული თანამშრომლის სხვა მოქმედებები - გ.ს.-ს ახლობლებთან დაახლოების პროცესი, შეხვედრები, შეთავაზებები, თანხის გადაცემა და ფარული გეგმის ფარგლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი სხვა დეტალები, ხორციელდებოდა ყოველგვარი რეგულირების გარეშე (ან რეგულაციებით, რაც საქმის მასალებში არ ასახულა).

- საპროცესო ტესტი

საქმის წინასასამართლო სხდომის ეტაპზე განხილვისას პროვოცირების საკითხი არ გაჟღერებულა დაცვის მხარის მიერ. ამჟამად საქმეს არსებითად განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. დაცვის მხარე გეგმავს დანაშაულის პროვოცირების შესახებ განაცხადის გაკეთებას არსებით სხდომაზე.

2. დანაშაულის პროვოცირების საკითხზე მსჯელობა სასამართლო პრაქტიკაში

კვლევის პროცესში შესწავლილი განაჩენებიდან ირკვევა, რომ, ძირითადად, ქრთამის აღების საქმეებზე ბრალდებულსა და პროკურორს შორის ფორმდება საპროცესო შეთანხმება. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების განაჩენებში არ არის მსჯელობა იმ საკითხზე, ჰქონდა თუ არა დაცვის მხარეს განაცხადი გაკეთებული პროვოცირების შესახებ. ადვოკატების მიერ მოწოდებული საქმეებიდან ვლინდება, რომ საქმეში, რომელზეც გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, დაცვის მხარეს დაყენებული ჰქონდა განაცხადი დანაშაულის პროვოცირების შესახებ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, სასამართლოს განაჩენში არ უმსჯელია დანაშაულის პროვოცირების საკითხზე.

საქართველოს სასამართლოებში არსებითად განხილულ იქნა რამდენიმე საქმე, სადაც სასამართლოს მოუხდა დანაშაულის პროვოცირების საკითხზე მსჯელობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 იანვრის განაჩენში სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია, რომ ბრალდებულების მიმართ აღდგომა ჰქონდა დანაშაულის პროვოცირებას. ამ მიმართებით, სასამართლო ავითარებს შემდეგ არგუმენტაციას: „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ ფარული აგენტის გამოყენება საგამოძიებო პროცესში არ ხელყოფს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში დადგენილ გარანტიას. ზოგადად, ფარული აგენტის მიერ პირის ნაქმება არ გამოირიცხავს მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. დანაშაულის პროვოცაცია არ ათავისუფლებს პროვოცირებულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, იმის გარკვევა, თუ რა როლი ჰქონდა ფარულ თანამშრომელს. პოლიციელებმა/კონფიდენტებმა არ უნდა განახორციელონ პირებზე იმგვარი გავლენა, რომ შემდგომი პასუხისმგებლობის მიზნით ნააქმებონ მათ მიერ დანაშაულის ჩადენა. სასამართლო მიიჩნევს, განსახილველ შემთხვევაში აგენტ-კონფიდენტის მიერ ამგვარი გავლენა განხორციელებული არ ყოფილა.“

განაჩენის აღნიშნული მსჯელობა სრულად არ წარმოაჩენს ევროპული სასამართლოს მიდგომებს პროვოცირების საკითხზე და მხოლოდ ფრაგმენტულად გადმოსცემს ევროპული სასამართლოს ზოგიერთ დასკვნას. ამასთან, განაჩენში არ არის ახსნილი, რატომ გამოირიცხება აგენტ-კონფიდენტების მიერ პროვოცირების ფაქტი და მხოლოდ დასკვნაა გაკეთებული. როგორც ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი წარმოაჩენს, სასამართლო წარმოება უნდა იყოს შეჭიბვებითი, ყოველმხრივი, ამომწურავი და გადამწყვეტი დანაშაულის პროვოცირების საკითხთან დაკავშირებით.²⁰⁷ ევროპული სასამართლო მიერ დადგენილი სტანდარტით, როდესაც ეროვნული სასამართლოს წინაშე პირი აყენებს დანაშაულის პროვოცირების შუამდგომლობას, რაც, თავის მხრივ, არ არის აშკარად დაუსაბუთებელი, დანაშაულის პროვოცირების არარსებობის მტკიცების ტვირთი გადადის ბრალდების მხარეზე.²⁰⁸

აღნიშნულის გათვალისწინებით, ეროვნულმა სასამართლომ სათანადოდ უნდა შეაფასოს გარემოებები, მიიღოს შესაბამისი ზომები თავისი ინიციატივით²⁰⁹ და, შეჭიბვებითობის პრინციპის გათვალისწინებით, „გადადგას ყველა აუცილებელი ნაბიჯი სიმართლის გამოსავლენად.“²¹⁰ ასევე, ევროპული სასამართლოს მიხედვით, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა იმსჯელონ

207 ბანიკოვა, §§57-58.

208 Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a Fair Trial (Criminal Limb), გვ. 29.

209 იხ. მაგ., კონსტანტინი და სტოიანი, §60.

210 რამანუსკასი, §69-70; ხუდობინი, §133; ლაგუტინი, §120.

დანაშაულებრივ ქმედებაში სახელმწიფოს წარმომადგენლების ჩართულობის ინტენსივობასა და განმცხადებლის მიმართ განხორციელებული ნაქმედებისა თუ ზეწოლის ხასიათზე.²¹¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში ასეთი არგუმენტირებული მსჯელობა არ არის და მხოლოდ დასკვნაა გაკეთებული, რომ აგენტ-კონფიდენტის მიერ პროვოცირებას არ ჰქონია ადგილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს კიდევ ერთ განაჩენში²¹² ასევე უარყოფილია პროვოცირების ფაქტი. თუმცა, ამ შემთხვევაში, მოსამართლე არა მხოლოდ აკეთებს დასკვნას, რომ პროვოკაციას ადგილი არ ჰქონია, არამედ მოჰყავს არგუმენტაცია საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე, თუ რატომ არ დადგინდა დანაშაულის პროვოკაცია. მოსამართლის მსჯელობა შემდეგია: „სასამართლო აღნიშნავს, რომ ნებისმიერი კეთილსინდისიერი მოქალაქის მოვალეობაა, შესაძლო დანაშაულის ფაქტის გამოვლენის, ან აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, ითანამშრომლოს გამოძიების ორგანოებთან. კონკრეტულ შემთხვევაში ნ.მ.-მა, მას შემდეგ, რაც მიიჩნია, რომ ჯ. ბ.-ს შეთავაზებიდან გამომდინარე, გარკვეული ფორმით, შესაძლოა, ჩართული ყოფილიყო კორუფციულ გარიგებაში, მიზანშეწონილად ჩათვალა, მიემართა კომპეტენტური ორგანოებისათვის და ნებაყოფლობით გამოთქვა სურვილი, მონაწილეობა მიეღო ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებებში. მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ მოხდა საქმეში სამართალდამცველების ჩართვა და ისიც მხოლოდ ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით, შესაბამისად, დანაშაულის პროვოცირება ცალსახად არ არის სახეზე, მით უფრო, რომ ყველა ძირითადი მოთხოვნა, რომელიც ფულის გადაცემასთან არის დაკავშირებული, უშუალოდ ბრალდებულ ჯ. ბ.-სგან მომდინარეობს და ამ შემთხვევაში ნ. მ. -ს საქმეში მონაწილეობის ხარისხი (თუნდაც დანაშაულის პროვოცირების კუთხით, ასეთის არსებობის შემთხვევაშიც) ძალიან უმნიშვნელო და პასიურია.“

კვლევის პროცესში, ვერ მოხერხდა აღნიშნული საქმის მასალების სრულად შესწავლა. ამიტომ, შეუძლებელია იმის განსაზღვრა, რეალურად, ადგილი ჰქონდა თუ არა პროვოცირებას ან რამდენად სრულყოფილად და ამომწურავად ახორციელებს სასამართლო პროვოცირების საკითხის შესწავლას. შესაბამისად, შეუძლებელია იმის თქმა, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, საკმარისია თუ არა სასამართლოს მსჯელობა პროვოცირების საკითხზე, თუმცა, განსხვავება წინა საქმესთან მიმართებით (2015 წლის 20 იანვრის განაჩენი) თვალსაჩინოა. იმ შემთხვევაში საერთოდ არ არის დასაბუთება და მხოლოდ დასკვნაა წარმოდგენილი. მოცემულ შემთხვევაში კი, სასამართლო აანალიზებს მტკიცებულებებს და ახორციელებს დასაბუთების პროცესს პროვოცირების გამორიცხვის მიზნით.

გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანი გარემოება გამოვლინდა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან“ ფარგლებში ექსპერტ ნანა მჭედლიძის მიერ განხორციელებული კვლევის²¹³ პროცესში, ერთ-ერთ სასამართლო განაჩენში ევროპული სასამართლოს პრეცედენტის არასწორ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. კვლევის მიხედვით, „2016 წლის განაჩენში, ეროვნულმა სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2008 წლის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიღებული იქნა საქმეზე „რამანაუსკასი ლიტვის წინააღმდეგ“:

„ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში პირდაპირ მიუთითებს, რომ ფარული აგენტის გამოყენება საგამოძიებო პროცესში არ ხელყოფს ევროპული

211 რამანაუსკასი, §§71-72; ლაგუტინი, §118.

212 გამოტანილია 2015 წლის 04 ნოემბერს.

213 ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან“, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, 2017 წლის იანვარი.

კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში დადგენილ გარანტიას. ზოგადად, ფარული აგენტის მიერ პირის წაქეზება არ გამოირიცხავს ამ უკანასკნელის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. დანაშაულის პროვოკაცია არ ათავისუფლებს პროვოცირებულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით (*Ramanauskas v. Lithuania*, 74420/01, 2008 წლის 5 თებერვალი)."

აღნიშნული შეფასება არ ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. საქართველოს ეროვნული სასამართლოს შეფასება ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილების ფაქტობრივი გარემოებების აღწერილობით ნაწილში მოცემული ლიტვის უზენაესი სასამართლოს ციტატას, რომელიც შეცდომით სტრასბურგის სასამართლოს დასკვნად არის მიჩნეული.²¹⁴ საბოლოოდ, კვლევაში წარმოდგენილია რეკომენდაცია, რომ „საერთო სასამართლოებმა არ გამოიყენონ ზემოაღნიშნულ საქმეზე ეროვნული სასამართლოს მიერ მცდარად განმარტებული სტანდარტი დანაშაულის პროვოკაციასთან მიმართებით.“²¹⁵

3. დასკვნა

საქართველოს სამართალდამცავი და სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ გამოავლინა, რომ, ხშირ შემთხვევაში, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება არ მიმდინარეობს დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის ევროპული სტანდარტის შესაბამისად. ამის ძირითად მიზეზს, როგორც ჩანს, წარმოადგენს მოძველებული კანონმდებლობა და მის საფუძველზე განვითარებული ოპერატიული ღონისძიების დაგეგმვისა და ჩატარების პრაქტიკა.

როგორც ზემოთ განხილული საქმეებიდან გამოჩნდა, ბევრ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ მათი ინტერესის ობიექტის გარშემო ნდობის გარემოს ხელოვნურ შექმნას, არაერთ შეთავაზებას კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩასადენად და შედეგის მისაღწევად, სხვადასხვა ფსიქოლოგიური ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენებას.

მთელი რიგი მოქმედებები, რასაც ახორციელებენ სახელმწიფოს ფარული აგენტები ოპერატიული ღონისძიების ფარგლებში, არ რეგულირდება საკანონმდებლო ნორმებით. შესაძლოა, ეს მოქმედებები დეტალურად განერილია რაიმე საიდუმლო ხასიათის ინსტრუქციებში, თუმცა მათი გადამოწმება და გამოკვლევა შეუძლებელია სასამართლო პროცესზე.

გამოკვლეული საქმეებიდან ირკვევა, რომ სასამართლო პროცესებზე რიგ შემთხვევაში, არ დამდგარა დანაშაულის პროვოცირების განაცხადი დაცვის მხარის მიერ. სხვა შემთხვევაში, დაცვის მხარემ განაცხადი გააკეთა სასამართლოს საწყის სტადიებზე, თუმცა არსებით სხდომაზე საქმის საპროცესო შეთანხმებით დასრულების გამო, სასამართლოს არ უმსჯელია დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის თაობაზე. რამდენიმე საქმეზე, სასამართლოს, დანაშაულის პროვოცირების განაცხადის მიუხედავად, საერთოდ არ უმსჯელია ამ საკითხზე, ხოლო, ცალკეულ შემთხვევებში სასამართლომ განაჩენით იმსჯელა დანაშაულის პროვოცირების საკითხზე და მინიმუმ, ერთ მათგანში გამოჩნდა, რომ სასამართლოს მსჯელობა იყო ფრაგმენტული და არ მოიცავდა იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რის გამოკვლევასაც ევროპული სასამართლო სავალდებულოდ მიიჩნევს.

214 დასახელებული კვლევა, გვ. 118.

215 იქვე, გვ. 120.



V. კვლევის საბოლოო შეჯამება

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სტრასბურგი ერთმნიშვნელოვნად დაუშვებლად მიიჩნევს დანაშაულის პროვოცირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების ეროვნულ სამართალწარმოებაში გამოყენებას. სპეციალური საგამოძიებო მეთოდების საჭიროება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კონტექსტში აღიარებულია, თუმცა, მე-6 მუხლის დაცვის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია ამგვარი ქმედებების სათანადო სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა და ეროვნული სასამართლოების მიერ საკითხის შესაბამისი სტანდარტის მიხედვით განხილვა.

ევროპული სასამართლო დანაშაულის პროვოცირებად აფასებს ნებისმიერ ისეთ შემთხვევას, სადაც სახელმწიფოს წარმომადგენლები სცდებიან არსებითად პასიური გამოძიების ფარგლებს და ახდენენ ისეთ გავლენას, რომლის გარეშეც დანაშაული არ იქნებოდა ჩადენილი. ამგვარი ქმედება, თავის მხრივ, მიზნად ისახავს დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას.

დანაშაულის პროვოცირებისა და, შესაბამისად, მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის მიზნით, სტრასბურგი მიმართავს ორეტაპიან ტესტს, რომლის ფარგლებშიც იკვლევს მატერიალურ და საპროცესო ასპექტებს. პირველი მათგანი გულისხმობს შეფასებას იმისა, თუ რამდენად მოქმედებდა სახელმწიფო „არსებითად პასიურად“ გამოძიებისას, რაც, თავისთავად, სხვადასხვა გარემოებათა შესწავლას მოიცავს. ამ მიმართულებით, სასამართლოსათვის მნიშვნელოვანია, განსაზღვროს, იყო თუ არა პირი წინასწარგანწყობილი დანაშაულის მიმართ ან დანაშაულის ჩადენის ინიციატორი, არსებობდა თუ არა გამოძიების დაწყების სათანადო სამართლებრივი საფუძვლები, ასევე, განხორციელდა თუ არა პირის მიმართ ისეთი ზეწოლა, რამაც განაპირობა მისი მხრიდან დანაშაულის ჩადენა.

მატერიალური ტესტის მიზნებისათვის, სტრასბურგი განსაკუთრებული სიმკაცრით აფასებს საგამოძიებო ღონისძიებების ავტორიზების, განხორციელებისა და ზედამხედველობის ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს. სასამართლო მოითხოვს, არსებობდეს მკაფიო და განჭვრეტადი რეგულაცია ყველა ამ ასპექტთან დაკავშირებით. უპირველესად, მნიშვნელოვანია, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდეს სპეციალური საგამოძიებო მეთოდების გამოყენების დასაბუთების აუცილებლობას. ამასთან, ეს ღონისძიებები უნდა ექვემდებარებოდეს უწყვეტ კონტროლს სასამართლოს ან, რიგ შემთხვევებში, გამონაკლისის სახით, სხვა ორგანოსა თუ თანამდებობის პირის მხრიდან.

საპროცესო ტესტის ფარგლებში, ევროპული სასამართლო ამოწმებს ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის განხილვის წესს. სტრასბურგი არ მიუთითებს კონკრეტულ რეგულაციაზე - მისთვის გადამწყვეტია, სამართალწარმოება იყოს შეჭიბრებითი, ყოველმხრივი და ამომწურავი პროვოცირების საკითხთან დაკავშირებით, თუმცა მხოლოდ ზოგადი გარანტიების უზრუნველყოფა დანაშაულის პროვოცირების შუამდგომლობის განხილვისას საკმარისი არ არის.

მე-6 მუხლის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია, ეროვნულ სამართალწარმოებაში, პირს ჰქონდეს ეფექტიანი შესაძლებლობა, დააყენოს პროვოცირების საკითხი. მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროვოცირების შუამდგომლობისათვის რელევანტური ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც შეჭიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების მიხედვით იქნება გამოკვლეული. საჭარო ინტერესი ვერ გაამართლებს დაცვის მხარისათვის ისეთი მტკიცებულების გადაცემაზე უარს, რომელიც შესაძლოა ბრალეულობის დადგენისათვის განმსაზღვრელი აღმოჩნდეს.

სტრასბურგი მოითხოვს, ეროვნულმა სასამართლომ შეაფასოს საგამოძიებო მოქმედებების საფუძვლები, მათი ჩატარების აუცილებლობა, დანაშაულში სახელმწიფოს წარმომადგენელთა ჩართულობა და პირზე განხორციელებული ზეწოლის ინტენსივობა. მნიშვნელოვანია, რომ ამ მოვალეობისაგან სასამართლოს არ ათავისუფლებს ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარების ფაქტიც. პროვოცირების დადგენის შემთხვევაში, ამ გზით მოპოვებული მტკიცებულებები უნდა გამოირიცხოს ეროვნული სამართალწარმოებიდან ან დადგეს სხვა ანალოგიური შედეგი.

ამდენად, დანაშაულის პროვოცირების საქმეები ერთ-ერთი იმ გამონაკლისთაგანია, სადაც ევროპული სასამართლო იკვლევს ეროვნული სამართალწარმოების ფარგლებში დადგენილი ფაქტების სისწორეს. აღნიშნული გამომდინარეობს დანაშაულის პროვოცირებისაგან დაცვის აბსოლუტური ხასიათიდან, რაც, თავის მხრივ, მე-6 მუხლით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელი ნაწილია.

რაც შეეხება ქართული კანონმდებლობის მიმოხილვას დანაშაულის პროვოცირების აკრძალვასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობა იცნობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებსა და ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს. იგი ადგენს მათი ავტორიზაციისა და ჩატარების განსხვავებულ წესებსა და საფუძვლებს. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძველია სასამართლოს განჩინება, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში პროკურორის მოტივირებული დადგენილებაც. თუმცა, ასეთ დროს, მოქმედების კანონიერად ჩატარებაზე ხორციელდება სასამართლო კონტროლი.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობების წარმოებას არ სჭირდება სასამართლოს წინასწარი ნებართვა ან შემდგომი დადასტურება. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების პირობების შეფასება ევროპული სტანდარტის შესაბამისად შეუძლებელია, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მწირი რეგულაციების, ავტორიზაციისა და კონტროლის არაეფექტიანი, ევროპულ სტანდარტებთან შეუსაბამო მექანიზმების გამო.

დანაშაულის პროვოცირების ცნების არარსებობა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონში და სსსკ-ში და პროვოცირების არსებობის საკითხის შესაფასებლად საჭირო გარემოებების გამოკვლევის შეზღუდული საკანონმდებლო შესაძლებლობები ამცირებენ სასამართლოების ეფექტიანობას დანაშაულის პროვოცირებით მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის ან სხვა ანალოგიური შედეგის დაყენების თვალსაზრისით.

სასამართლოს უნდა გააჩნდეს სისხლის სამართლის საპროცესო ეფექტიანი შესაძლებლობები დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის უზრუნველსაყოფად, პროვოცირების გზით მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის ან და სხვა ანალოგიური შედეგის მისაღებად.

საქართველოს სამართალდამცავი და სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ გამოავლინა, რომ, ხშირ შემთხვევაში, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება არ მიმდინარეობს დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის ევროპული სტანდარტის შესაბამისად. ამის ძირითად მიზეზს, როგორც ჩანს, წარმოადგენს მოძველებული კანონმდებლობა და მის საფუძველზე განვითარებული ოპერატიული ღონისძიების დაგეგმვისა და ჩატარების პრაქტიკა.

როგორც ზემოთ განხილული საქმეებიდან გამოჩნდა, ბევრ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ მათი ინტერესის ობიექტის გარშემო ნდობის გარემოს ხელოვნურ შექმნას, არაერთ შეთავაზებას კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩასადენად და შედეგის მისაღწევად, სხვადასხვა ფსიქოლოგიური ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენებას.

მთელი რიგი მოქმედებები, რასაც ახორციელებენ სახელმწიფოს ფარული აგენტები ოპერატიული ღონისძიების ფარგლებში, არ რეგულირდება საკანონმდებლო ნორმებით. შესაძლოა, ეს



მოქმედებები დეტალურად განერილია რაიმე საიდუმლო ხასიათის ინსტრუქციებში, თუმცა მათი გადამონმება და გამოკვლევა შეუძლებელია სასამართლო პროცესზე.

გამოკვლეული საქმეებიდან ირკვევა, რომ სასამართლო პროცესებზე რიგ შემთხვევაში, არ დამდგარა დანაშაულის პროვოცირების განაცხადი დაცვის მხარის მიერ. სხვა შემთხვევაში, დაცვის მხარემ განაცხადი გააკეთა სასამართლოს საწყის სტადიებზე, თუმცა არსებით სხდომაზე საქმის საპროცესო შეთანხმებით დასრულების გამო, სასამართლოს არ უმსჯელია დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის თაობაზე. რამდენიმე საქმეზე, სასამართლოს, დანაშაულის პროვოცირების განაცხადის მიუხედავად, საერთოდ არ უმსჯელია ამ საკითხზე, ხოლო, ცალკეულ შემთხვევებში სასამართლომ განაჩენით იმსჯელა დანაშაულის პროვოცირების საკითხზე და მინიმუმ, ერთ მათგანში გამოჩნდა, რომ სასამართლოს მსჯელობა იყო ფრაგმენტული და არ მოიცავდა იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რის გამოკვლევასაც ევროპული სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს.

VI. რეკომენდაციები

აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებების და დამატებების შეტანა დანაშაულის პროვოცირების აკრძალვის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის. კერძოდ, საჭიროა:

- განისაზღვროს დანაშაულის პროვოცირების ცნება და მოხდეს მისი პირდაპირი აკრძალვა კანონში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ და, ასევე სსსკ-ში;
- ფარული საგამოძიებო მოქმედების მსგავსად, კანონში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ დადგინდეს დანაშაულთა კატეგორია, რომლის ფარგლებშიც იქნება შესაძლებელი ღონისძიების განხორციელება. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, დადგინდეს, რომ ღონისძიების განხორციელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც მიღებულია განცხადება ან შეტყობინება, რომ მზადდება, ხდება, მოხდა ან მომავალში იქნება ჩადენილი დანაშაული, რომლისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ან მეტი ვადით.
- ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონით უნდა დადგინდეს პროკურორის ან გამომძიებლის დავალების - ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ერთ-ერთი საფუძველის, დასაბუთების ვალდებულება;
- ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონი უნდა ითვალისწინებდეს დებულებას, რომლითაც ოპერატიული ღონისძიების განმახორციელებელი ორგანო, ღონისძიებაში ჩართული თანამშრომელი და ხელშემწყობი პირი ვალდებული იქნება დოკუმენტურად, წერილობითი ფორმით ასახოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში განხორციელებული ყველა მოქმედება და ოპერაციის განხორციელებისას მომხდარი შემთხვევები. აღნიშნული რეგულაცია დამატებით გარანტიას შექმნის ოპერაციის კონტროლის მიზნით;
- უნდა გაიზარდოს პროკურატურის როლი და ფუნქციები ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების კონტროლის პროცესში და მიენიჭოს მას უფლებამოსილება ზედამხედველობა გაუწიოს ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის ინფორმაციის მოპოვების მეთოდებს, ტაქტიკასა და ორგანიზაციას კონკრეტული ოპერატიული თანამშრომლის/ფარული აგენტის ვინაობის განსაიდუმლოების გარეშე; ამ მიზნით უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება პროკურატურის შესახებ კანონში და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონში;
- ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონი შეიცავს მწირ რეგულაციებს და პროცედურულ გარანტიებს დანაშაულის პროვოცირების წინააღმდეგ. ცალკეული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების პირობების უფრო დეტალური განწერა და ეფექტიანი პროცედურული გარანტიების გათვალისწინება კანონმდებლობაში აუცილებელია პროვოცირების გამორიცხვისა და სასამართლოზე პროვოცირების განაცხადის გადამოწმების მიზნებისთვის;

■ კვლევის პროცესში ვერიფიკაცია მოძიებული უწყებრივი აქტები, რომლებიც აწესრიგებენ ცალკეული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების დეტალურ წესებს. ასეთ აქტებს, არსებობის შემთხვევაში, როგორც ჩანს, მინიჭებული აქვთ გრიფი „საიდუმლო,“ გამოიყენება მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების შიდა უწყებრივი დანიშნულებით და საზოგადოებისათვის, ასევე, სასამართლო პროცესზე მხარეებისა და სასამართლოსთვის მათი რეგულაციები დაფარულია. მნიშვნელოვანია, რომ ცალკეული ოპერატიული ღონისძიების ჩატარების წესები გათვალისწინებულ იქნას არა მხოლოდ შიდა უწყებრივი გამოყენების საიდუმლო დოკუმენტებში, არამედ კანონშიც ან სხვა აქტში, რომლის ტექსტიც ხელმისაწვდომი იქნება დანაშაულის პროვოცირების საკითხის განხილვის პროცესში;

■ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით უნდა დაფუძნდეს პროვოცირების განაცხადის გამოკვლევის სპეციალური შესაძლებლობა სასამართლოზე;

■ სსსკ-ში უნდა გაჩნდეს ჩანაწერი, რომ დანაშაულის პროვოცირების უარყოფის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს;

■ წინასასამართლო სხდომაზე პროვოცირების განაცხადის ან ამ საფუძვლით მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, ბრალდების მხარეს დაეკისროს პროვოცირების უარყოფის ვალდებულება, მათ შორის დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის გზითაც;

■ სასამართლოს მიენიჭოს დისკრეცია, პროვოცირების განაცხადის გადამოწმების პროცესში მოითხოვოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შესახებ დამატებითი ინფორმაცია, რომლის გამოკვლევა მოხდება სასამართლო პროცესზე მხარეთა მონაწილეობით;